„თქვენი აფხაზეთი" A6
არავითარი ხალხი, არავითარი ქვეყანა A8
ევროისტორია B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 9 ივნისი, 2004 წელი. №135 (684) | ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**კანდიდატთა ვინაობა ცნობილია**

აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია მთელი დღის მანძილზე პარტიული სიების მისაღებად მზად იყო. თუმცა დღის პირველ ნახევარში იქ არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ გამოჩენილა. პარტიები საღამოს გააქტიურდნენ.

A3

### ეკონომიკა

**გსეკ-ი ცხინვალის რეგიონში შედის**



ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის სასუქის დარიგების შემდეგ ხელისუფლება რეგიონის ელექტროენერგეტიკულ პრობლემატიკას მიუბრუნდა. გუშინ რეგიონს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) გენერალური დირექტორი დინ უაითი ეწვივნენ.

A2

### უცხოეთი

**რუსეთი ტაჯიკეთში "დარჩენას" ცდილობს**



4 ივნისს, სოჭში შეხვედრის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და ტაჯიკეთის პრეზიდენტმა იმომალი რახმანოვმა მიღწეული შეთანხმებების თაობაზე განცხადება გააკეთეს.

A5

### პროექტი

**"საიდუმლო" კონცეფცია, რომელზეც ყველა მსჯელობს**

26 მაისის შემდეგ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებს ფედერალური მოწყობა შესთავაზა, ოპოზიციურად განწყობილმა გარკვეულმა ძალებმა ყველაფერი ერთ კონცეფციას დააბრალეს და იგი ყველანაირ უარყოფით კონტექსტშიც მოიხსენიეს.

A6

### სამართალი

**თბილისის პროკურორი ექსპერტ-ფსიქიატრებს არ ინდობს**



დაახლოებით ორი თვის წინათ თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი მკვლელობაში თუ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირთა ფსიქიატრიული ექსპერტების მიერ შეურაცხადად გამოცხადების პრობლემაზე ალაპარაკდა.

A7

### ამინდი

| | 9/06 | 10/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 24 |
| ქუთაისი | 21 | 19 |
| ბათუმი | 18 | 15 |
| სოხუმი | 17 | 18 |
| ფოთი | 19 | 16 |
| თელავი | 27 | 23 |
| ზუგდიდი | 21 | 19 |
| გორი | 23 | 19 |
| ახმეტა | 27 | 23 |
| ჭიათურა | 22 | 18 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3685 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5388 |
| რუბლი | 0.0662 |

# მინისტრების გადანაცვლებით კურსი არ იცვლება

*მინისტრთა კაბინეტს ნდობის ვოტუმის მიღება, პრაქტიკულად, გარანტირებული აქვს. ამდენად, პარლამენტში კაბინეტის ცალკეულ წევრთა "დაკითხვა" ფორმალობას წარმოადგენს - ყველამ იცის, რომ "მწვანე შუქი" უკვე ანთებულია. მიუხედავად ამისა, მინისტრები მაინც მორჩილად ასრულებენ კანონის მოთხოვნას და დეპუტატებს ანგარიშს აბარებენ. მათი გამოსვლების ტექსტი სტანდარტულია: ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელები წინამორბედებს, გაწეული მუშაობისთვის, მადლობას უხდიან და პირობას დებენ, რომ რეფორმატორული კურსიდან არ გადაუხვევენ.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

ირაკლი ოქრუაშვილს, ზურაბ ადეიშვილს, გიორგი ბარამიძეს, ვანო მერაბიშვილს და გიორგი პაპუაშვილს გუშინ სამ კომიტეტში (იურიდიულ საკითხთა, თავდაცვისა და უშიშროების, ადამიანის უფლებათა დაცვის) "უმასპინძლეს". დღის ბოლოს მინისტრები მემარჯვენე ოპოზიციამ "გადაიპატიჟა", თუმცა, "მრეწველებიახლების" გუნდმა მომავალი მინისტრთა კაბინეტის წევრებთან შეხვედრა რატომღაც გაასაიდუმლოა და მას ჟურნალისტები არ დაასწრო.

"შესანიშნავი ხუთეულიდან" სიტყვაუხვობით ყოფილი გენპროკურორი და ამჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი გამოირჩეოდა.

ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ახალ პოსტზე საქმიანობას საკადრო და სტრუქტურული ცვლილებებით დაიწყებს. კერძოდ, თანამდებობას დატოვებს მინისტრის ყველა მოადგილე (ირაკლი კლდიაშვილის გარდა, რომელიც საკადრო საკითხებს კურირებს). საგრძნობლად შემცირდება რიგით პოლიციელთა რაოდენობაც - 55 ათასიდან 40 ათასამდე. მინისტრი აპირებს, გეზი პოლიციის სრულ მუნიციპალიზაციაზე აიღოს, ოღონდ, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ოპერატიულ-სამძებრო სისტემა არ დაზარალდეს. ოქრუაშვილის განცხადებით, განსაკუთრებული აქცენტი წვრილმან დანაშაულებთან და ავტომანქანების ქურდობასთან ბრძოლაზე გაკეთდება, რადგან რიგითი ადამიანები დღეს ყველაზე მეტად სწორედ ამ კუთხით ზარალდებიან.

ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ ე.წ "გარიგების ინსტიტუტის" არეალი უნდა გაფართოვდეს და იგი გამოიყენებოდეს არა მხოლოდ მაღალჩინოსნების, არამედ დაბალი რანგის დამნაშავეთა მიმართაც. ოქრუაშვილის აზრით, ამ ინსტიტუტის ეფექტურად ამუშავების შემთხვევაში, პოლიციას უკვე აღარ დასჭირდება დამნაშავეთა მიმართ ისეთი უკანონო ქმედების განხორციელება, როგორიც არის იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აჭარის საბიუჯეტო პრივილეგიებს ვადა გასდის

*სამი წლის წინათ მიღებულ კანონს, რომელიც საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების ტერიტორიულ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის განაწილებას ეხება, წლის ბოლოს გასდის ვადა. რამდენიმე მუხლის მოქმედების ვადა კი 1 ივლისს იწურება. როგორ განაწილდება საშემოსავლო, მოგების, საბაჟო, აქციზისა და დამატებითი ღირებულების გადასახადები ხსენებული კანონის ვადების გასვლის შემდეგ? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი დღეს არც აღმასრულებელ და არც საკანონმდებლო ხელისუფლებაში არ გააჩნიათ.*

ეთერ მამულაშვილი

როცა პარლამენტმა ხსენებული კანონი მიიღო, ხელისუფლების ოპოზიციონერები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ამ ნორმატიული აქტის ამოქმედება შევარდნაძე-აბაშიძის მორიგი გარიგების შედეგი იყო.

"აჭარის ექსლომი" ცენტრალური ხელისუფლებისგან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის აპელირებით ითხოვდა ერთგვარ საბიუჯეტო შეღავათებს.

ამ საბიუჯეტო შეღვათების არსი, კანონის თანახმად, შემდეგში მდგომარეობს: აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ დამატებული ღირებულების გადასახადიდან და აქციზიდან მობილიზებული თანხების 40 პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტს რჩებოდა.

აჭარის ბიუჯეტში ირიცხებოდა საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული დღგ-ს 30 პროცენტი. ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილება იყო საბაჟო გადასახადიდან შემოსული თანხის 50 პროცენტიც.

2001 წელს შემოღებული ეს შეღავათები დღემდე მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე ვრცელდება, რითაც რეგიონს თვეში საშუალოდ 2 მილიონამდე ლარი რჩება. საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან ამოღებული აქციზის, დღგ და საბაჟო გადასახადები, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ტიპის გადასახადები, მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება; თუმცა ეს მხოლოდ დროებითია, საბიუჯეტო თანხების განაწილების შესახებ ნორმატიულ აქტს ძალა წლის ბოლოს ეკარგება. თუ როგორ განაწილდება აჭარაში ზემოთ ხსენებული გადასახდებისგან მობილიზებული თანხები 2005 წლის 1 იანვრიდან, ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩეჩენი ლტოლვილები რუსებს კვლავ უნდობლობას უცხადებენ

*მიუხედავად დიდი მცდელობისა, რუსებსა და პანკისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს შორის რამდენიმე თვის წინ დაწყებული მოლაპარაკება, მათი სამშობლოში დაბრუნების თაობაზე, უშედეგოდ დასრულდა. ერთადერთი, რისი მიღწევაც გუშინ რუსეთის დელეგაციამ მოახერხა, არის ის, რომ მათ მიერ შარშან ჩატანილი ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც მაშინ ლტოლვილებმა უკან გააბრუნეს, სამსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, მიიღეს. თუმცა, ლტოლვილები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური ფარსია.*

ზვიად რუაძე

ამ ბოლო დროს პანკისის ხეობა კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. მოვლენების არასახარბიელოდ განვითარება გაერო-ს ლტოლვილთა განსახლების სამსახურის დანაპირების - ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გასვლა - შეუსრულებლობამ გამოიწვია. ამ ფაქტმა კი, როგორც ჩანს, რუსეთის სასარგებლოდ იმოქმედა. პუტინის ხელისუფლება პანკისში ჩასახლებული ლტოლვილების გასახლებას საქართველოდან თავად გეგმავს და ამით რუსეთის მთავრობა ჩეჩნებს, თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ჰპირდება. **"რაც შეეხება ხელშეუხებლობის გარანტიებს, ამას მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოგცემთ და, ჩვენ რომ დაგპირდეთ, ტყუილი იქნება,"** - განუცხადა ლტოლვილებს რუსეთის მიგრაციის სამსახურის უფროსმა იგორ იუნაშიმ.

მაგრამ რუსები ლტოლვილებისგან, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც შეურაცხყოფას ილებდნენ. პანკისელი ჩეჩნების თქმით, მათ ამის საფუძველი ნამდვილად აქვთ. **"ჩვენ მათგან არანაირი გარანტია არა გვაქვს, რომ უსაფრთხოდ ვიქნებით. რუსებს ჩეჩენი ერის განადგურება უნდათ.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# "დიდი რვიანის" სამიტი დაიწყო

## და მეტწილად ერაყის თემას მიეძღვნება

აშშ-ში მსოფლიოს რვა უდიდესი ინდუსტრიული ქვეყნის მეთაურები შეხვდნენ. სამიტი, რომელიც ყოველწლიურად იმართება, ჯორჯიის შტატის კუნძულ სი-აილენდზე გუშინ დაიწყო და 10 ივნისამდე გასტანს.

უკანასკნელ წლებში ლიდერების შეხვედრების კურორტებზე, წყნარ ატმოსფეროში გამართვა ტრადიციად იქცა. ასე იყო შარშან ევიანში (საფრანგეთი), ხოლო შარშანწინ კანანასკისში (კანადა). ეს სახელმწიფოთა ლიდერებს საშუალებას აძლევს, წყნარ სიტუაციაში განიხილონ თანამედროვეობის მეტ-ნაკლებად აქტუალური საკითხები, საფუძველი არ მისცენ რადიკალურ ანტიგლობალისტურ მოძრაობებს, მათი მყუდროება მანიფესტაციებითა და ხმაურიანი გამოსვლებით დაარღვიონ.

კუნძული სი-აილენდი ამერიკელ მილიონერთა ერთ-ერთი საყვარელი კურორტია. ნიშანდობლივია, რომ ბავშვობაში აქ ისვენებდა თავად პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ხოლო მისმა მშობლებმა ამ კუნძულზე თაფლობის თვეც კი გაატარეს.



*გაერო-ში აშშ-სა და საფრანგეთის წარმომადგენლები უკვე შეთანხმდნენ.*

სამიტისათვის კუნძულზე რამდენიმე მომცრო ვილა გაარემონტეს, სადაც მაღალი რანგის სტუმრები იცხოვრებენ. შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მხოლოდ მოწვეული დელეგაციები და ადგილობრივი მაცხოვრებლები დაიშვებიან. ასე რომ, მსოფლიოს წამყვან ლიდერებს ორი დღის განმავლობაში ვერავინ შეაწუხებთ.

აშშ-ს პრეზიდენტს დიდი იმედი აქვს, რომ სამიტს უმნიშვნელოვანესი მიღწევით, ერაყის შესახებ გაერო-ს რეზოლუციით ხელდამშვენებული გახსნის. ბუშმა უშიშროების სფეროში მრჩევლის, კონდოლიზა რაისის მეშვეობით მიმართა გაერო-ს, რათა რეზოლუციის ბოლო ვარიანტისათვის დროულად ეყარათ კენჭი. აღნიშნულ ვარიანტში ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნა და, როგორც ჩანს, იგი მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე გავა უშიშროების საბჭოში. მთავარი მოწინააღმდეგეები - საფრანგეთი და რუსეთი დადებითად აფასებდნენ რეზოლუციაზე მუშაობას და აღნიშნავდნენ, რომ ურთიერთკონსულტაციებმა და ინტერესთა შეჯერებამ კარგი შედეგები გამოიღო, ანუ შინაარსობრივად ახალი დოკუმენტის მიღებას თითქმის აღარაფერი უშლის ხელს. სამშაბათს დილით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიშელ ბარნიემ განაცხადა, რომ პარიზი მხარს დაუჭერს ამერიკულ-ბრიტანულ ვარიანტს, რადგან "მისი (საფრანგეთის) მრავალი მოთხოვნა იქნა მხედველობაში მიღებული". პარიზში რეზოლუციაზე კენჭისყრას სამშაბათსვე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ოთხშაბათს ელიან. ამის შესახებ ბარნიემ რადიოსადგურ "ფრანს-ინტერ"-თან საუბრისას განაცხადა. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, იგი პრეზიდენტმა პუტინმა მექსიკაში ვიზიტისას გაახმოვანა. "გაერო-ს უშიშროების საბჭოში შეტანილმა რეზოლუციამ, შეთანხმებების შედეგად მთელი რიგი ცვლილებები განიცადა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პროექტი | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ძველი ახალი სახელმძღვანელოები



ლევან ბერძენიშვილი, ზურაბ ჟვანია და კახა ლომაია.

გუშინ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელთა კავშირმა და თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა მოაწყვეს. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი.

განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სასკოლო სახელმძღვანელოების ახალი ნუსხა დაამტკიცა. მასში შევიდა ყველა სახელმძღვანელო, რომელსაც დღემდე მინიჭებული ჰქონდა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფი. ეს სახელმძღვანელოები ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გამოქვეყნებამდე ერთნაირი, "დროებითი სახელმძღვანელოს" გრიფით ისარგებლებენ. სამინისტრომ, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელთა კავშირმა ერთობლივად შეადგინეს მასწავლებლებთან შეხვედრის გრაფიკი, რათა ახალ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით პედაგოგებს ახსნა-განმარტება და სემინარები ჩაუტარდეთ.

სკოლების დირექტორებს დაურიგდათ სამინისტროს მიერ შემუშავებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პროექტი, რომელსაც ისინი, განსახილველად და რეკომენდაციების მოსამზადებლად, სკოლის პედკოლექტივებს წარუდგენენ. განათლების მინისტრმა საზოგადოებას დაბეჯითებით მოუწოდა, რომ ჩაერთოს დოკუმენტის განხილვაში და ორი კვირის შემდეგ, საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისგან სამინისტრო დოკუმენტის შეფასებას ელოდება.

**"გთხოვთ, თქვენი რეკომენდაციები მოგვაწოდოთ განათლების და მეცნიერების სამინისტროში, სკოლის ბეჭდით დამოწმებული პედსაბჭოს სხდომის ოქმის ფორმით, 21 ივნისამდე. განათლების და მეცნიერების სამინისტრო თითოეული სკოლის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს და შენიშვნებს ყურადღებით შეისწავლის. ყველა წინადადება გაანალიზდება და საქართველოს მთავრობას დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, სწორედ მიღებული გამოხმაურების გათვალისწინებით წარედგინება განსახილველად,"** - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ.

*24 საათი*

## სარეკლამო აბრების განთავსება დროებით შეჩერდა

თბილისის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის გადაწყვეტილებით, დედაქალაში რეკლამებისა და ბილბორდების განთავსება მანამდე შეჩერდება, ვიდრე ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექცია ყველა უსახურ და უკანონო ბილბორდს არ ჩამოხსნის.. თუმცა, კოსმეტიკური ღონისძიებების გარდა, თბილისის ხელმძღვანელი ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძირეულ ცვლილებებსაც აპირებს.

ქალაქისთვის მისაღებ სარეკლამო აბრის შინაარსზე, გარეგნულ მხარესა და კანონიერებაზე სამი უწყება აგებს პასუხს. ენის სახელმწიფო პალატა - სარეკლამო აბრაზე განთავსებულ წარწერას, არქიტექტურის საქალაქო სამსახური კი ბილბორდის გარეგნულ მხარეს ამოწმებს, ხოლო მერია აბრის განთავსების ადგილსა და ზომას ადგენს; ნებართვა მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა. სარეკლამო აბრებიდან საბიუჯეტო შემოსავლის ამოღება კი ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის კომპეტენციაა. ამდენი მაკონტროლებელი უწყების მიუხედავად, დედაქალაქში ამჟამად განთავსებული 2000-მდე ბილბორდიდან 274 უნებართვოა, დიდი ნაწილი კი - უსახური და ენობრივად გაუმართავი წარწერებით "დამშვენებული."

ქალაქის პრემიერის გადაწყვეტილებით, უნებართვო და უსახური სარეკლამო აბრების დემონტაჟს ადმინისტრაციული ინსპექცია 9 ივნისიდან დაიწყებს და სამი კვირის განმავლობაში დაასრულებს. ამის პარალელურად, თბილისის ხელმძღვანელობა კანონმდებლობის შეცვლას, უპირველესად კი, სარეკლამო აბრების ფასების ზრდასა და დიფერენცირებას აპირებს. **"დღეს ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებში რეკლამების განთავსება ერთი და იგივე ფასი ჯდება. ღირებულების დიფერენცირება აუცილებელია,** - აცხადებს ბრეგაძე და სარეკლამო საქმიანობიდან შემოსული თანხის კონტროლის გამკაცრებასაც მოითხოვს: **ქალაქში განთავსებული რეკლამებიდან ბიუჯეტში შემოსავლების დიდი ნაწილი არ შედის. ხშირია შემთხვევა, როცა ფირმა, რომელიც ბილბორდს ათავსებს, სარეკლამო სააგენტოს თანხას უხდის, მაგრამ ეს ფული ბიუჯეტამდე აღარ მიდის".**

პრემიერი სარეკლამო სააგენტოებსა და სარეკლამო საქმიანობით დაკავებულ ბიზნესმენებს ქალაქის მერიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული საქმიანობისკენ მოუწოდებს.

*ნანა ქადაგიშვილი*

## ზესტაფონის წიდა - ბნელი გვირაბები

პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთში დათო მუმლაძემ გუშინ ზესტაფონში არსებული წიდის მოპოვების ინსპექტირება მოაწყო. აღნიშნულ რაიონში წიდას, ყოველგვარი ნორმების დარღვევით 1992 წლიდან მოიპოვებენ, რის გამოც ამ პროცესს 23 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამჟამად ზესტაფონის ტერიტორიაზე რამდენიმე ჰექტარი მიწისქვეშა გვირაბებითაა დაქსაქსული, სადაც ადამიანის სიცოცხლეს ყოველ დღე საფრთხე ემუქრება.

ექსპერტების განცხადებით, ზესტაფონში თავდაპირველად 2 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების წიდა ეყარა, რომელთა დიდი ნაწილი მომპოვებელმა ფირმებმა და მათმა ლობისტმა ჩინოვნიკებმა გაინაწილეს. ამის თქმის უფლებას მათ მიერ საბიუჯეტო შენატანები იძლევა, ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ბიუჯეტს, წიდის ბიზნესიდან ახსოვს 130 00 ლარია. ხელისუფლებამ აღნიშნულ პრობლემას ახლახან მიაქცია ყურადღება. როგორც ამბობენ, ამჟამად ზესტაფონის ტერიტორიაზე დაახლოებით 5 მილიონი ლარის წიდაა დარჩენილი. აღნიშნული მადანის ერთ-ერთ მსხვილ მომპოვებლად, ყოფილი პარლამენტარის მერაბ სამადაშვილის ფირმა სახელდება.

ზესტაფონში წიდა ანუ სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების შემდეგ გაჩნდა. არსებობს ორი სახის წიდა - 60 და 40 პროცენტის შემცველობით.

ზესტაფონში სილიკომანგანუმის ეგრეთ წოდებული ნაგავსაყრელები ათობით ჰექტარზე იყო განთავსებული. ზოგან წიდის ფენების სისქე 20 მეტრს აღწევდა. დღეს კი მისგან მხოლოდ მცირე მარაგიღაა დარჩენილი. სახელმწიფოს კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ბიზნესისგან მინიმალური შემოსავლები აქვს მიღებული. ზოგიერთ "წიდასაყრელზე" ამჟამად სხვადასხვა სავაჭრო თუ სამრეწველო ობიექტია განთავსებული. ამიტომაც მოსახლეობას მადნის მოპოვება გვირებების გათხრის გზით უწევდა, რაც არაერთი ადამიანის სიკვდილით დასრულებულა. გარდა ამისა, ხელისუფლებას არ გააჩნია სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანი დაავადდა, თუმცა ზესტაფონელების განმარტებით, ყველას, ვინც წიდის მოპოვებას გვირაბებში ეწევა, ჯანმრთელობა შერყეული აქვს. მოპოვებაზე კი, მამაკაცებთან ერთად, ქალები და ბავშვებიც მუშაობენ. მუშების შემოსავალი, მოპოვებული მადანის მიხედვით ფასდება. კილო მადანში მუშებს 1 ან 2 თეთრს უხდიან. მათი საშუალო შემოსავალი დღეში ათიდან ოც ლარამდე მერყეობს.

**"მე სამი შვილი მყავს. ოჯახში პურის ფული რომ შევიტანო, იძულებული ვარ, აქ ვიმუშაო. დღეში ას კილომდე წიდას მოვიპოვებ და თვეში სამას ლარამდე გამოვიმუშავებ. მაგრამ ძალიან გვავიწროებენ, პოლიცია ხან სამუშაო იარაღებს გადაგვიყრის, ხანაც მადანს გვართმევს... ორი კვირის წინ ბელტი ჩამოვარდა და ჩემს თვალწინ ადამიანი მოკლა,"** - განაცხადა ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც წიდის მოპოვებას უნებრთვო გვირაბში აწარმოებს. მან არ იცის, თუ ვინ დგას იმ ფირმის უკან, რომლიც მას გვირაბში ამუშავებს. **"ერთი-ორი კვირის წინ გავრცელდა ხმა, რომ მომპოვებელი ფირმა სამადაშვილის არისო. ამის გამო შეიქმნა ერთი არეულობა. საწყალი ხალხი გვირაბებიდან გამოდევნეს, არ ამუშავებდნენ. შემდეგ კი ტელევიზიით მოვისმინე, რომ, თურმე, სილიკომანმაგნუმი მუმლაძის სიძეს ეკუთვნისო,"** - განაცხადა იგივე ქალბატონმა რწმუნებულთან საუბრისას. ამის გამომგონე გუბერნატორს კი - ესღა მაკლდაო - აღმოხდა.

**"არავის ვაპატიებ, რომ ზესტაფონში შავი ფული აკეთონ. ტერიტორია, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, სახელმწიფოსია. ნაწილი ფირმებისა, ვინც წიდის მოპოვებით არის დაკავებული, გადასახადებს იხდის, დიდი ნაწილი კი აბსოლუტურად კრიმინალურია. ნახეთ, რა სიცივეა გვირაბში, ყოველ წამს არის ჩამონგრევის საშიშროება. გაზულუქებული ადამიანები კი ამ საცოდავი ხალხის ხარჯზე ათობით მილიონს შოულობენ და ეს მდგომარეობა დიდი ხანია გრძელდება. წინა ხელისუფლება აქედან ათობით ათას დოლარს იღებდა, ბიუჯეტში კი არც ერთი თეთრი არ შედიოდა. ჩემი მოსვლის მიზანია, რომ ეს ბიზნესი გამჭვირვალე და ადამიანებისათვის უსაფრთხო გავხადო,"** - განაცხადა დათო მუმლაძემ.

ზესტაფონის გამგებლის განმარტებით კი, ბოლო პერიოდში ლიცენზირებული ფირმებიდან შემოსავალმა იმატა და სამი თვის განმავლობაში 131 000 ლარი შეადგინა. ზესტაფონში წიდის მომპოვებელი ერთ-ერთი ლიცენზირებული ფირმა ყოფილ პარლამენტარს, მერაბ სამადაშვილს ეკუთვნის. თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ ლიცენზირებულთან ერთად, მას რამდენიმე არალეგალური გვირაბიც აქვს. თუმცა მერაბ სამადაშვილის ძმა, რომლიც გუშინ ზესტაფონში რწმუნებულსაც ესაუბრა, აღნიშნულ ხმებს უარყოფს და აცხადებს, რომ გადასახადებს პატიოსნად იხდის.

დათო მუმლაძემ ზესტაფონის ხელმძღვანელობას ორი კვირის ვადაში წიდის მოპოვებაზე ტენდერის პირობების შემუშავება დაავალა. **"სულ მალე გამოცხადდება ტენდერი კონკრეტული პირობებით. ნებისმიერმა, ვისაც სურს, რომ ამ ბიზნესში ფული გააკეთოს, თანხა ქალაქის გალამაზებასა და განაშენიანებაშიც უნდა ჩადოს და მუშა ხელის უსაფრთხობაზეც იზრუნოს,"** - განაცხადა მუმლაძემ.

*ბექა სისაური, ზესტაფონიდან*

## ვახტანგ აბაშიძე გადადგა

გუშინ საღამოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

მარეგულირებელ კომისიაში ამ ინფორმაციას ადასტურებენ. თავად აბაშიძე კომენტარისგან თავს იკავებს და გადადგომის მიზეზს არ ასახელებს. გადადგომის მიზეზზე არც მარეგულირებელ კომისიაში საუბრობენ.

უკვე ცნობილი გახდა მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატის ვინაობა - ამ პოსტზე ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დიმიტრი ქიტოშვილის კანდიდატურას ასახელებენ.

*24 საათი*

## ვისია უკანონო კორპუსები?



უკანონო მშენებლობა ჭავჭავაძის გამზირის მეორე ჩიხში.

*თბილისის საკრებულოს წევრმა, ფრაქცია დემოკრატების თავმჯდომარემ, დავით ხუციშვილმა გუშინ ჭავჭავაძის გამზირის მეორე ჩიხში უკანონო მშენებლობა მოინახულა, რომელსაც გაურკვეველი წარმოშობის ამხანაგობა ახორციელებს. როგორც ჩიხის აღშფოთებული მაცხოვრებლები აცხადებენ, უკანონო მშენებლობას, რომელიც დანგრევის საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ კორპუსებს, მფარველობას უწევს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მამა - ანზორ ბურჯანაძე, რომელიც აღნიშნული ამხანაგობის თანამონაწილეა.*

**" ერთი თვეა, ვცდილობთ, გავარკვიოთ, ვინ და რატომ ახორციელებს ამ მშენებლობას. ერთი ვიცი, რომ პროექტი უკანონოა და მასზე არ არის ლიცენზია გაცემული. მიმდინარე მშენებლობაზე არაფერი იციან ქალაქის არქიტექტურისა და "არქმშენინსპექციის" სამსახურებში",** - განაცხადა ფრაქცია დემოკრატების თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა, რომელიც პასუხისმგებლობას აღნიშნულ სამსახურებს აკისრებს.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ მშენებარე კორპუსი ეკუთვნის ჭავჭავაძის 17 ნომერს, მისი მიმდებარე ტერიტორია კი მეორე ჩიხის ეზოშია, სადაც პატარა სკვერის გაშენება იყო დაგეგმილი.

**"ამ მშენებლობაზე მხოლოდ ის ვიცით, რომ მას გაურკვეველი ამხანაგობა აშენებს, რომლის ერთ-ერთი წევრი ანზორ ბურჯანაძეა. მას, როგორც ამბობენ, ახალ სახლში რამდენიმე ბინა ექნება. არქიტექტორია ვინმე დავით აბულაძე",** - შეშფოთებას ვერ მალავს ეზოს მცხოვრები ქეთევან ცისკაძე. მისი თქმით, მშენებლებმა მოჭრეს 100-წლოვანი ჭადრის ხე, ასევე, "მზიური"-ს ტერიტორიაზე გაჩეხეს უამრავი ნარგავი.

ფრაქცია დემოკრატების ხელმძღვანელმა დავით ხუციშვილმა მოსახლეობას აღუთქვა, რომ უახლოეს დღეებში შესაბამის სამსახურებთან ერთად მოიპოვებს ყველა დოკუმენტს არსებული მშენებლობის შესახებ და ერთად გადაწყვეტენ, საერთოდ, რომელი მშენებლობაა კანონიერი და რომელი უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ.

*ნინო ბერელიძე*

## მესაქონლეობა და კომპიუტერიზაცია - ეუთო-ს ახალი მისია კონფლიქტის ზონაში?

საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი ელჩი როი რივი, მისი მოადგილე ვესელინ ნიკოლაევი და ეუთოს სხვა წარმომადგენლები შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილენი, ცხადია, კონფლიქტის თემას გვერდს ვერ აუვლიდნენ და თავდაპირველად სწორედ 1 ივნისს მომხდარ ფაქტზე გამახვილდა ყურადღება, როდესაც საქართველოს პირველი ლედი ცხინვალში არ შეუშვეს. შემდეგ როი რივმა რწმუნებულს სთხოვა, იმ სფეროებზე ესაუბრათ, რომელშიც ეუთო-ს დახმარების გაწევა შეუძლია. ამასთან, ისიც გაიხსენა, რომ გორში პირველად დაახლოებით 1970 წელს იყო. "თქვენ რომ დაიბადეთ, ალბათ, იმ დროს," - მიმართა მან მიხეილ ქარელს, რომელმაც დააზუსტა - იმ დროს ჯერ არ ვიყავი დაბადებულიო.

ამ ერთგვარი ლირიული გადახვევის შემდეგ მიხეილ ქარელმა სწორედ იმ საკითხებზე დაიწყო საუბარი, რაშიც, მისი აზრით, ეუთო-ს დახმარების გაწევა შეუძლია. ესაა სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც, როგორც თავად აღნიშნა, შიდა ქართლში პრიორიტეტულია, ძირითადად კი - მესაქონლეობა, მეხილეობა და მევენახეობა. დიდხანს ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ეს დარგები ადრე, რომ ძირითადი ბაზარი იყო რუსეთი, რომ თუ აღდგება ხილის გადამამუშავებელი მრეწველობა, დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. **"უამრავი პროფესიონალი გვყავს. მართალია, საწარმოები განადგურებულია, მაგრამ ადამიანური რესურსი არის. ამხელა უნარი და ნიჭი იკარგება ბაზრობებზე, სადაც ეს ხალხი დგას. თუ შესაძლებელია, რომ ოსი და ქართველი მოსახლეობა ჩავრთოთ ამ პროცესში და ერთად გავაკეთებინოთ მათ საქმე, შედარებით ადვილი იქნება კონფლიქტის დარეგულირება"** - აღნიშნა მიხეილ ქარელმა.

**"თქვენი სტრატეგიული გეგმა ვაჩვენოთ ჩვენს ეკონომიკის ექსპერტებს, რამდენად შეიძლება ეკონომიკური საკითხები მიესადაგოს კონფლიქტის დარეგულირების სქემას. დიდი სიამოვნებით ჩავრთავ ჩვენს მრჩეველებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავად არა ვართ დონორები, შეგვიძლია მოვიზიდოთ უამრავი დონორი, დავაინტერესოთ,"** - განაცხადა ბატონმა ელჩმა.

რადგან რწმუნებულის საუბარი სოფლის მეურნეობას და ეკონომიკას არ გასცილებია, მისიის ხელმძღვანელმა თავად აღნიშნა, რომ წელს ეუთო-ს ერთ-ერთი პრიორიტეტი განათლების სისტემაა და ამ სფეროშიც შეიძლება დახმარების გაწევა. მიხეილ ქარელმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ კონფლიქტის ზონაში სკოლების ინვენტარიზაცია და კომპიუტერებით აღჭურვა საშური საქმეა. **"ინტერნეტი ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის,"** - განუცხადა ქარელმა ბატონ ელჩს. მაგრამ, ინტერნეტამდე პრეზიდენტის რწმუნებულს ალბათ ის უნდა გახსენებოდა, რომ ბევრ სოფელში სკოლა დანგრევის პირასაა და ზოგან ბავშვებს ვაგონებში უხდებათ სწავლა. ამასთან, დაცვის გარანტია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ ქალაქის სკოლებსაც კი არა აქვთ და უკვე არაერთი კომპიუტერული ცენტრი გაიქურდა.

პრეზიდენტის რწმუნებულის კაბინეტიდან ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეშურა.

*ვასილ გულეური*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ევროსაბჭოს გენერალური მდივნობის კანდიდატი ტერი დევისი ჩამოდის. იგი, წინასაარჩევნო ტურნეს ფარგლებში, შეხვედრებს გამართავს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პარლამენტარებთან. წინასწარი ინფორმაციით, ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაცია სწორედ დევისის კანდიდატურას დაუჭერს მხარს. მისი კონკურენტი ამჟამინდელი გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი იქნება, თუმცა ბოლო დროს გართულებული ურთიერთობის გამო, იგი საქართველოს წარმომადგენლების მხარდაჭერას არ უნდა ელოდოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების საინფორმაციო ბიუროს მონაცემებით, პირველი ივნისიდან ბიუროდან უკვე გატანილია 40-მდე დეკლარაცია. განაცხადები მათ მიღებაზე, ძირითადად, ჟურნალისტებს შეაქვთ და ისინი ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წევრების საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციებით ინტერესდებიან. ეს მონაცემები, ფაქტობრივად, ემთხვევა გასული წლის ამავე პერიოდში გატანილ დეკლარაციათა რაოდენობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში მოქმედ 100-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის გაუქმებით ემუქრება, თუ ისინი თავიანთ საქმიანობას გამჭვირვალეს არ გახდიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ცხინვალის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გააქტიურებულ მოქმედებებთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალან ფლიევი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდა და მათგან საქმიანობის გამჭვირვალობა კატეგორიულად მოითხოვა. იმავე წყაროს ცნობით, ალან ფლიევმა არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეახსენა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გაითვალისწინებენ ხელისუფლების მოთხოვნას, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო უახლოეს დღეებში დაგეგმილი ხელახალი რეგისტრაციისას მათ რეგისტრაციაში არ გაატარებს და საქმიანობას აუკრძალავს. **ინტერ-პრესი**

## გსეკ-ი ცხინვალის რეგიონში შედის

### ხელისუფლება ცხინვალის რეგიონის ელექტრომომარაგების საქართველოს კანონმდებლობაში მოქცევას აპირებს

*ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის სასუქის დარიგების შემდეგ ხელისუფლება რეგიონის ელექტროენერგეტიკულ პრობლემატიკას მიუბრუნდა. გუშინ რეგიონს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) გენერალური დირექტორი დინ უაითი ეწვივნენ. მათ "იუგოოსეტინენერგოს" გენერალურმა დირექტორმა ბორის გაგლოევმა უმასპინძლა. გილაური გაგლოევთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ენერგეტიკის მინისტრი აცხადებდა, რომ მალე რეგიონში ერთმეგავატიანი "კეხვიჰესი" ამოქმედდება, რომელიც, "იუგოოსეტინენერგოს" დენთან შედარებით იაფი ელექტროენერგიით, ქართულ სოფლებთან ერთად, ოსურ სოფლებსაც მოამარაგებს.*

"24 საათი" არაერთხელ წერდა, რომ დღემდე დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მდებარე ქართული სოფლების ელექტრომომარაგება მთლიანად ცხინვალზე, კერძოდ კი, ენერგოკომპანია "იუგოოსეტინენერგოზე" იყო დამოკიდებული, რომელიც "რაო ეეს როსიისგან" შეძენილ დენს სალიახვოს ქართულ სოფლებზე 8,5 თეთრად ყიდის. როგორც "იუგოოსეტინენერგოს" გენერალურმა დირექტორმა ბორის გაგლოევმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, მიუხედავად სიიაფისა, ოსური მხარე საქართველოს საბითუმო ბაზრიდან 8-თეთრიანი დენის შესყიდვის შესაძლებლობას არ განიხილავს: "სამაგიეროდ, ჩვენ რუსეთი დენს 24 საათის განმავლობაში გვაწვდის," - განაცხადა მან.

თუმცა, "კეხვიჰესის" ამოქმედების შემდეგ, რეგიონის 24-საათიანი მომარაგების პრობლემა არც ქართულ მხარეს ექნება. 1-მეგავატიანი "კეხვიჰესის" აღდგენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლის განხორციელებასაც ენერგეტიკის სამინისტრო დიდი ლიახვის ხეობაში გეგმავს. სადგურს, რომელსაც 1998 წლის შემდეგ გამართულად არ უმუშავია, დიდი ლიახვის ხეობის ყველა სოფლის - მათ შორის, ქართული და ოსური სოფლების ენერგომოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება შეუძლია.

ელექტროსადგურის მდგომარეობის შესასწავლად, გუშინ ნიკა გილაურს თან თბილისელი ჰიდროენერგეტიკოსებიც ახლდნენ. წინასწარმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ჰესზე ვითარება რთულია. თუმცა, გილაურის თქმით, ამ ჰესის აღდგენაც, სულ რაღაც, სამიოდე თვეში იქნება შესაძლებელი. "ამ ჰესის ამუშავების შემდეგ რეგიონის მოსახლეობას დენის პრობლემა მთლიანად მოეხსნება," - აცხადებდა გუშინ ენერგეტიკის მინისტრი. მისივე თქმით, განიხილება არა მხოლოდ ჰესის რეაბილიტაციის საკითხი, არამედ მისი გაძლიერების შესაძლებლობაც.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ერთმეგავატიანი "კეხვიჰესის" ტურბინების შეცვლის შემთხვევაში, შესაძლოა, სადგურის სიმძლავრემ ორ მეგავატამდეც კი მოიმატოს.

ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, სადგურმა იაფი ქართული დენით ოსური სოფლების საკმაოდ დიდი ნაწილი მოამარაგოს.

დღემდე "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ამ რეგიონში თავისი 8-თეთრიანი დენის გაყიდვას იმის გამო ვერ ახერხებდა, რომ დიდი და პატარა ლიახვის ენერგოკომპანიები მის შემადგენლობაში არ შედიოდნენ და არც ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია გააჩნდათ.

თუმცა, მალე დიდი და პატარა ლიახვის ხეობას საქართველოს კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცეული საკუთარი ენერგოკომპანიაც ექნება, რომელიც გსეკ-ის ფილიალად დარეგისტრირდება და, შესაბამისად, რეგიონის 4400 აბონენტის ელექტრომომარაგებასაც თავად იკისრებს. ამ შემთხვევაში, ეს ენერგოკომპანია საქართველოს საბითუმო ბაზრიდან იაფი დენის შესყიდვასაც შეძლებს.

გსეკ-ის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა და ტექნიკური სამსახურის უფროსმა მაიკლ ჰეინიმ გუშინ რეგიონში არსებული ვითარება გულდასმით შეისწავლეს. "ვითარება რთულია, მაგრამ საქმეს აუცილებლად მოევლება და, თანაც, მინიმალურ დროში," - აცხადებდა გუშინ გსეკ-ის გენერალური დირექტორი.

ნიკა გილაურის ინფორმაციით, ამ რეგიონის გამრიცხველიანება სამიოდე თვეშია შესაძლებელი. იმისათვის კი, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობები გსეკ-მა საბოლოოდ მოაწესრიგოს, სავარაუდოდ, 500 000 დოლარი იქნება საჭირო.

*მაია ურუშაძე*

## კემოროვოს ოლქი ცხინვალის ქარხნით დაინტერესდა

კემოროვოს ოლქის გუბერნატორმა ამან ტულეევმა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოევმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. კემოროვის დელეგაცია ცხინვალში ამ დღეებში იმყოფებოდა. ხელშეკრულების გაფორმებამდე მათ მოინახულეს კვაისას თუთიის საბადო, სამთო-საშახტო მოწყობილობათა ქარხანა, "ელექტროვიბრომანქანა" და კიდევ რამდენიმე მცირე საწარმო. როგორც კემოროვოს ოლქის გუბერნატორმა განაცხადა, "სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის აღდგენას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, თუმცა დახმარებისთვის ოლქი მზად არის". მისივე თქმით, საქმე ეხება არა ჰუმანიტარულ დახმარებასა და სპონსორობას, არამედ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას, პროდუქციის დამზადებაზე შეკვეთების მიცემას, ზემოაღნიშნულ საწარმოებთან საქმიანი ხელშეკრულებების გაფორმებას.

ტულეევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამშრომლობა წარიმართება საქართველოსა და რუსეთს შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც 2000 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა.

*მედია-ნიუსი*

## ნავთობი გაიაფდა

7 ივნისს ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობი 37,75 ბარელით გაიაფდა. ფიუჩერული კონტრაქტების ფასმა ნიუ-იორკში ზღვრულთან შედარებით 38 დოლარით დაიწია. გასულ ორშაბათს ერთი ბარელის ფასმა ბარჟაზე რეკორდულს მიაღწია -42,45 დოლარი. ფასების დაწევა გამოწვეულია "ოპეკი"-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც ივლისიდან ყოველდღიურად ორი მილიონი ბარელის მოპოვებაზე კვოტების მომატებას ითვალისწინებს.

*მედია-ნიუსი*

### ოფიციოზი

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №472

*2004 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი*

გ. თურმანიძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გურამ თურმანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის გამგებლად.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №473

*2004 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი*

კ. ბოჭორიშვილის ტყიბულის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს კონსტანტინე ბოჭორიშვილი ტყიბულის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №474

*2004 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი*

ნ. ჟუჟუნიაშვილის გორის რაიონის ერედვის თემის გამგებლად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ნოდარ ჟუჟუნიაშვილი გორის რაიონის ერედვის თემის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

*მიხეილ სააკაშვილი*


საააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია

"საქნავთობი"

**აცხადებს ღია კონკურსს კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად**

კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- უმაღლესი განათლება საინჟინრო, საფინანსო, ეკონომიკურ, ბიზნესის მართვის ან ბიზნესის სამართლის დარგში;

- გამოცდილება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მართვაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ავტობიოგრაფიული მონაცემები, განათლების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად (არაუმეტეს 2 გვერდისა).

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2004 წლის 30 ივნისი, 16:00 სთ.**

მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. No 65, "საქნავთობი", მე-4 სართ. სამეთვალყურეო საბჭოს ოფისი. ტელ: 33-53-94; 33-34-90; ფაქსი: 33-51-43; e-mail: saknavtobi@gol.ge

კონკურსის დასკვნით ეტაპზე დაშვებულმა კანდიდატებმა ა.წ. 15 ივლისამდე დამატებით უნდა წარმოადგინონ 3 სარეკომენდაციო წერილი ვაკანტური თანამდებობისთვის მათი შესატყვისობის დასაბუთებით და გაიარონ გასაუბრება საკონკურსო კომისიაში.

*ს.ს. "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭო*



გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მინისტრების გადანაცვლებით კურსი არ იცვლება





ვანო მერაბიშვილი (ახალი მინისტრი) უწყებაში ცვლილებებს არ აპირებს და ტკბილად ესაუბრება ძველ პირველ მოადგილეს; გიორგი ბარამიძე კი საქართველოს სამხედრო ძალების შემცირებას გეგმავს.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

პირველი გვერდიდან

**"პროფესიონალიზმი პოლიციაში ძალიან დაბალ დონეზეა. იმაზე მძიმე მუშაობა მელის, ვიდრე აქამდე ვეწეოდი,"** - ახალი თანამდებობით სულაც არ არის აღფრთოვანებული ირაკლი ოქრუაშვილი.

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის მსგავსად, მის წინამორბედსაც "ხელქვეითების" რაოდენობის შემცირება აქვს გადაწყვეტილი (ახალ სამსახურში): გიორგი ბარამიძე შეიარაღებული ძალების 15 ათას კაცამდე დაყვანას აპირებს. გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს თავდაცვის მინისტრმა თავისი უწყების კიდევ რამდენიმე სხვა პრიორიტეტიც დაასახელა. კერძოდ, გაგრძელდება ნატოსთან დაახლოების კურსი და გამოირიცხება დსთ-ს ფარგლებში სამხედრო ხასიათის რაიმე ალიანსში შესვლა; გაძლიერდება შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი; ყურადღება გამახვილდება ადამიანის უფლებათა დაცვაზე...

ოქრუაშვილისა და ბარამიძისგან განსხვავებით, სახელმწიფო უშიშროების ახალი მინისტრი ვანო მერაბიშვილი თავისი უწყების შიგნით რაიმე სერიოზულ ცვლილებებს არ გეგმავს. **"ყველა ხელმძღვანელი თავის თანამდებობაზე დარჩება,"** - აცხადებს მერაბიშვილი, რომელიც ახალ გენერალურ პროკურორს განსაკუთრებით ემადლიერება.

**"უშიშროების სამინისტროში ზურაბ ადეიშვილის მისვლამდე, ეს უწყება თითქმის არ არსებობდა და რამდენიმე ჯგუფად დაშლილ დაწესებულებას წარმოადგენდა. ადეიშვილმა საქმე, ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო,"** - თავისი წინამორბედის მიმართ მადლობის სიტყვებს არ იშურებს მერაბიშვილი.

რაც შეეხება თავად ზურაბ ადეიშვილს, თავის მხრივ, ისიც ოქრუაშვილის მიერ აღებული კურსის გაგრძელებას აპირებს. მისი განცხადებით, დამნაშავეების შეურაცხადად გამოცხადება მოდაში შემოვიდა და იგი ამ ტენდენციას აუცილებლად აღკვეთს.

**"ბევრი ექიმი, პოლიციელი, პროკურორი და მოსამართლე გისოსებს მიღმა აღმოჩნდება,"** - ოქრუაშვილის ლექსიკა ახალ გენერალურ პროკურორს უკვე კარგად აქვს ათვისებული. ზურაბ ადეიშვილის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი კი უწყებრივი პროკურატურების გაუქმება იქნება - სამხედრო და ტრანსპორტის პროკურატურების არსებობა, როგორც ჩანს, მალე წარსულს ჩაბარდება.

გუშინდელი მოსმენების დროს იუსტიციის მინისტრი შედარებით ჩრდილში იყო მოქცეული. მისთვის მხოლოდ ელენე თევდორაძემ "მოიცალა", რომელმაც გიორგი პაპუაშვილს შეახსენა, რომ პენიტენციალურ სისტემაში გამეფებულია კორუფცია, ძალიან დაბალ დონეზეა აღსრულების სამსახური და ა.შ.

"შესანიშნავი ხუთეულის" პარლამენტში სტუმრობა, მთლიანობაში, წარმატებული აღმოჩნდა: იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებში მათ "10-ბალიანი შეფასება" მიიღეს (ანუ, ახალ თანამდებობებზე დანიშვნას კომიტეტის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი). თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში იგივე შედეგის ჩვენებას კი გოჩა ფიფიამ შეუშალა ხელი - ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მისცა ხმა.

# ჩეჩენი ლტოლვილები რუსებს კვლავ უნდობლობას უცხადებენ



პეტრე ცისკარიშვილის მონაწილეობით, რუსეთის დელეგაციის მძიმე საუბარი ჩეჩენ ლტოლვილებთან სამ საათს გაგრძელდა.

პირველი გვერდიდან

**საუკეთესო პირობებიაო, რომ ამბობენ, თუ ასეა, პანკისიდან წასული ჩეჩნები ისევ ხეობაში რატომღა ბრუნდებიან?"** - კითხულობენ იმედგაცრუებული ლტოლვილები.

პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ამ შეხვედრას ინციდენტი არ მოჰყოლია, თუმცა რუსებთან შესახვედრად ჩეჩნების უმრავლესობას არც ამჯერად შეუწუხებია თავი. ხოლო ისინი, ვინც მათთან მისვლა გადაწყვიტა, მხოლოდ ერთ კითხვაზე პასუხის გაცემას ითხოვდნენ: რატომ დასჭირდა საქართველოს ხელისუფლებას პანკისელი ჩეჩნების გასახლება რუსეთის დახმარებით? ამ კითხვაზე პასუხი მათ ვერც ერთი მხარისგან ვერ მიიღეს. **"მაინტერესებს, რისთვის ჩამოხვედით აქ? ჩვენ სამშობლოში მაშინ დავბრუნდებით, როცა ჩეჩნეთი რუსი ოკუპანტებისგან გათავისუფლდება",** - აცხადებენ ჩეჩენი ლტოლვილები. იმის გამო, რომ პანკისში დაუპატიჟებელი სტუმრების ასეთი დიალოგი უშედეგო აღმოჩნდა, რუსეთის დელეგაციამ ჩეჩნების შემორიგება ჰუმანიტარული ტვირთით სცადა, მაგრამ მათ ლტოლვილებისგან აქაც წინააღმდეგობა შეხვდათ. **"თუ დახმარება უნდათ, ტვირთი საქართველოს ხელისუფლებას გადასცენ და ქართული მხარე გაანაწილებს, მაგრამ მათ ამის აფიშირება იმიტომ სურთ, რომ მსოფლიოს დაანახონ, თითქოს ჩეჩნებთან კარგი დამოკიდებულება აქვთ. ეს ყველაფერი პოლიტიკური ფარსია",** - განაცხადა ჩეჩნების უფლებების დამცველმა პანკისში ასლანბეკ აბდურ ზაკოვმა.

რუსეთისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლებმა, კახეთის გუბერნატორთან პეტრე ცისკარიშვილთან ერთად, დახურულ კარს მიღმა სამ საათს ისაუბრეს. ბოლოს კი, ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაზე შეთანხმდნენ. **"მივაღწიეთ იმას, რომ ვისაც სურვილი ექნება, ჩვენგან დახმარებას ის მიიღებს. ტვირთს ჩეჩნებით დაკომპლექტებული კომისია გააკონტროლებს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს საქმეთა კურატორმა ვლადიმირ პასტუხოვმა. იგი იქვე იმასაც აცხადებს, რომ ლტოლვილების გასახლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდება.

ეს ყველაფერი ჩეჩნებში არაერთ ეჭვს იწვევს. ისინი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არ გამორიცხავენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, რუსების გულის მოგების მიზნით, ხეობაში რევოლუცია მოახდინოს და პანკისიდან ჩეჩენი ლტოლვილები გააძევონ. საგულისხმოა, რომ ამ დროისთვის ხეობაში ასამდე ჩეჩენილაა დარჩენილი.




# კანდიდატთა ვინაობა ცნობილია

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სიების შეტანის პროცესი დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კომისიაში მონაცემების შესვლა მხოლოდ საღამოს ხუთი საათიდან დაიწყო. ანუ ტრადიცია, რომელიც კარგა ხანია, დამკვიდრდა, არც ამჯერად დაირღვა და პარტიების წარმომადგენლებმა საარჩევნო კომისიაში მისვლა მხოლოდ საღამოს ინებეს. თუმცა, ეს ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში იმდენად მიღებული პრაქტიკაა, გასაკვირი ის იქნებოდა, პარტიული სიების შესვლა კომისიაში დილიდანვე რომ დაწყებულიყო.

ამის მიუხედავად, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია მთელი დღის მანძილზე პარტიული სიების მისაღებად მზად იყო. თუმცა, როგორც ვთქვით, დღის პირველ ნახევარში იქ არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ გამოჩენილა. პარტიები საღამოს გააქტიურდნენ.

შეგახსენებთ, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში 30 დეპუტატია ასარჩევი. (მათ შორის 18 - პროპორციული, ხოლო 12 - მაჟორიტარული სისტემით). სულ არჩევნებში ცხრა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერთი საარჩევნო ბლოკი იღებს მონაწილეობას. მათ შორის არიან - "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა", "რესპუბლიკური პარტია", "ლეიბორისტული პარტია", "ახალი კომუნისტური პარტია", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "მწვანეთა პარტია", "ერთიანი კომუნისტური პარტია", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", "დემოკრატიული სიმართლის პარტია" და საარჩევნო ბლოკი "ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის", რომელშიც "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" და "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია" შევიდნენ.

გუშინ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პირველები "ბერძენიშვილი - რესპუბლიკელები" გამოჩნდნენ. მათ ფეხდაფეხ მიყვნენ "მერაბ კოსტავას საზოგადოების", "დემოკრატიული სიმართლის პარტიის", "ახალი კომუნისტური პარტიის", "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის", "მწვანეთა პარტიისა" და "ერთიანი კომუნისტური პარტიის" რწმუნებულები.

რაც შეეხება თავად პარტიულ სიებს, არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა პირველი თვრამეტეული ასე გამოიყურება:

"სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა":

**მიხეილ მახარაძე, კობა ხაბაზი, მალხაზ სიორიძე, ლალი ზაქარაძე, კახაბერ მიქელაძე, პეტრე ზამბახიძე, მერაბ ქიძინიძე, კახაბერ სურგულაძე, მირზა მსუქნიშვილი, ეკატერინე ხერხეულიძე, ომარ ავალიანი, ოთარ მიქელაძე, ლეილა ჩხეიძე, ხათუნა სამანიძე, მალხაზ კალანდაძე, თამაზ ხოზრევანიძე, მირიან ნუმანიშვილი, თეიმურაზ ცეცხლაძე.**

"ბერძენიშვილი - რესპუბლიკელები":

**მურმან დუმბაძე, გიორგი მასალკინი, იმედო ხაჩიშვილი, გოდერძი ტოტოჩავა, ვახტანგ აბულაძე, თეიმურაზ ყურაშვილი, ევგენი თავდგირიძე, ირაკლი ჩავლეიშვილი, ვახტანგ ბერიძე, მალხაზ მახარაძე, გიორგი თავმაიშვილი, ქეთევან გიორგაძე, ომარ ჟიჟალაძე, მარინა გიორგაძე, რევაზ უზუმაძე, ზებურ იაკობიძე, სულიკო თედიძე, გურამ ყურსუბაძე.**

"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს":

**როსტომ დოლიძე, თემურ ჯაში, ირაკლი ჯაში, ირმა სეფერთელაძე, ამირან ხარაზი, მამუკა ჯაში, თევართ დიასამიძე, ზურაბ ქათამაძე, მალხაზ ბალაძე, ჯამბურ შარაბიძე, კობა ზაქარაია, გურამ ბერიძე, თემურ ართმელაძე, ციალა სურმანიძე, არჩილ ზირაქიშვილი, გურამ აბაშიძე, ჯემალ გოგიტიძე, გოჩა აბაშიძე.**

"ლეიბორისტული პარტია":

**თემურ თურმანიძე, თემურ დავითაძე, ბიძინა დუმბაძე, ფატიმა ფხაკაძე, ანზორ ბალათურია, არჩილ ბერიძე, ამირან საგინაძე, ფატი ბაგრატიონი, ზურაბ თურმანიძე, ოთარ შარაშიძე, რობერტ უტიაშვილი, ნონა ბახტაძე, ეკატერინე შერვაშიძე, ნოშრევან დავითაძე, მარინა ნაკაშიძე, ისაკ აბაშიძე, ნუნუ ჯანელიძე.**

ბლოკი "ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის":

**ილია ვერძაძე, ზურაბ ცინცქალაძე, ზაზა დავითაძე, თეიმურაზ ბასილაძე, მანუჩარ შერვაშიძე, თამილა დოლიძე, იაკობ აბაშიძე, ტარიელ დიასამიძე, ედნარ ხიმიკაძე, ირაკლი ვოლკოვი, თენგიზ ჩავლეიშვილი, როსტომ ბერიძე, რეზო ხინიკაძე, ხათუნა ქათამაძე, ამირან დევრისაძე, ალექსანდრე სუხაია, ნანა სხილაძე, ნაილი ვერძაძე**

"ახალი კომუნისტური პარტია":

**ანზორ დავითაძე, იაკობ გოგოტიძე, ნონა ბეჟანიძე, თენგიზ ღალაიშვილი, რუსუდან შეროზია, ხემიდ თედიძე, ალექსანდრე ჩხაიძე, თენგიზ ხალვაში, ავთანდილ ცისკარიძე, ულანი მელიქსეთიანი, დავით ანთაძე, ალი მენიშიში, ამირან არდენაძე, მიხეილ ზოიძე, დარეჯან ანანიძე, ჯუმბერ ძოწენიძე, პავლე ქართველიშვილი.**

"ერთიანი კომპარტია":

**თემიურაზ სამნიძე, ზურაბ გონცელიძე, ილია თევზაძე, შოთა მელაძე, ნაზი ღამურაძე, მზიური ნაგეურაძე, მერაბ სურმანიძე, თეიმურაზ დიასამიძე, ალექსანდრე ძირკვაძე, მიხეილ კეჟერაძე, შოთა ტულუში, ზურაბ მაკარაძე, დომენტი ფუტკარაძე, ამირან ნანიძე, ლევან დავითაძე, სულეიმან ბალაძე, ამირან ბალაძე, შალვა შავაძე, მურმან ზაქარაძე.**

"მერაბ კოსტავას საზოგადოება":

**როინ დიასამიძე, მალხაზ ელიაშვილი, გურამ დიასამიძე, ემენ დავითაძე, ელგუჯა თავართქილაძე, თამაზ ხახუტაიშვილი, ალიოშა დიასამიძე, ნატო შეროზია, ტარიელ გოგიჩაიშვილი, გურამ ღოღობერიძე, სიენიე ოლგვაქე, ბეჟან კოროშინაძე, რამაზ ზაქარაძე, ბაგრატ გორგილაძე, ამირან გორგილაძე, ამირან დიასამიძე, სოლომონ კაკულია, ჯუმბერ დუმბაძე.**

"მწვანეთა პარტია":

**გია სიხარულიძე, ნუგზარ შარაძე, გოჩა მიქელაძე, ჯემალ სურმანიძე, ნუკრი კუპრეიშვილი, გიორგი ბლიაძე, ირმა ვეტეიშვილი, მანანა ჯორბენაძე, ემზარ ნაგეროვაძე, ლელა სიხარულიძე, გურამ ოსანაძე, კახაბერ კომახიძე, ლია ელიაძე, გიორგი ჯაიანი, ლიანა დოლიძე, ზოია ზოზიაშვილი, ლამზირა თედიძე, სულიკო საკანდელიძე.**

"დემოკრატიული სიმართლის პარტია":

**ლევან ქიძინიძე, ტარიელ მამულაიშვილი, ზაურ ბაქსაძე, ლევან სურმანიძე, ედუარდ ნიჟარაძე, ჯემალ მაკარაძე, ოთარ დავითაძე, ნუგზარ ბაკურაძე, ლევან თურმანიძე, მიხეილ ზოზიძე, რევაზ ჭაღალიძე, თამაზ წულუკიძე, იოსებ მამულაძე, ილია თურმანიძე, ბადრი ტაკსაძე, მალხაზ ჟოჟაძე, ბიჭიკო აბაშიძე, ჯემალ ბასილაძე.**

# არ ჩამოსულა, ასეთი ამბავია, რომ ჩამოსულიყო, მაშინ რა იქნებოდა?!

ოზურგეთის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმულმა შენიშვნებმა და მისი მოსალოდნელი ვიზიტის ამბავმა ცივი შხაპივით იმოქმედა ქალაქისა და რაიონის მესვეურებზე. ქალაქის ცენტრში, დარშიც და ავდარშიც, მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები, ძირითადად კოსმეტიკური ხასიათისა.

რაც შეეხება საკუთრივ სამუშაოებს, ქალაქში ალაგ-ალაგ გამაგრდა ან შეიცვალა აცვენილი ფილაქანი, თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნა შადრევნების კომპლექსმა, რომელიც ოზურგეთელებს აღარც ახსოვთ, რა ფერისა იყო, მაგრამ ახლა დაბანილ-დარეცხილი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. მართალია, ეს შადრევანი უმოქმედოა, რადგან უწყლობით გაწამებულ ქალაქში იმთავითვე "ყელის სიმშრალე" დაებედა. ასევე იერი იცვალა რაიონის გამგეობის შენობამ და წინამდებარე ბაღმა, რომელიც ერთ დროს კულტურისა და დასვენების პარკადაც მოიხსენიებოდა და იმჟამად, ახალანდელისაგან განსხვავებით, თავის სახელსაც ამართლებდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ალაგ-ალაგ შეიღება ბორდიურები და კირით შეთეთრდა ხეები.

პრეზიდენტის შენიშვნა ოზურგეთის მოუწყობლობის შესახებ, საოქმო ენით რომ ვთქვათ, ცნობად იქნა მიღებული, შესმენილი და ერთგვარი რეაგირებაც მოჰყვა.

გავრცელებული ხმები კი პრეზიდენტის ოზურგეთში შესაძლო ვიზიტის შესახებ, ცოტა გადაჭარბებული აღმოჩნდა. თუმცა, მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ პრეზიდენტი მაინც ჩამოვა და ეს იმედი არ დაემსგავსება გოდოს მოლოდინს.

**თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან**

## მოკლედ

### გლდანი-ნაძალადევის საგადასახადო ინსპექციამ გეგმა შეასრულა

რამდენიმე დღის წინათ "24 საათში" გამოქვეყნდა სტატია ბოლო ხუთი თვის საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულების შესახებ, სადაც აღნიშნული გახლდათ, რომ, საბოლოო ჯამში, გეგმის გადაჭარბების მიუხედავად, ცალკეულმა რაიონებმა გეგმა ვერ შეასრულეს. გუშინ "24 საათს" დაუკავშირდა გლდანი-ნაძალადევის საგადასახადო ინსპექციის უფროსი, რომელმაც განაცხადა, რომ მათმა რაიონმა გეგმა შეასრულა. **"იქ ნახსენები იყო, რომ გლდანი-ნაძალადევმა ვერ შეასრულა გაგმა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ლაპარაკი იყო ერთი თვის ერთ-ერთ გადასახადზე - ადგილობრივი ბიუჯეტი შესრულდა 99,8 პროცენტით. რაც შეეხება დანარჩენ მაჩვენებლებს, ხუთი თვის ბიუჯეტი შესრულებული 106, 1 პროცენტით, სახელმწიფო - 107,8 პროცენტით, ცენტრალური - 102,8 პროცენტით, ადგილობრივი - 103,2 პროცენტით, საგზაო - 169 პროცენტით, სოციალური - 106,6 პროცენტით. რაც შეეხება მაისს, იგი თითქმის მთლიანად არის შესრულებული. ადგილობრივი ბიუჯეტის ვერშესრულება კი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა. ბანკის "რესპუბლიკა" გლდანი-ნაძალადევის ფილიალში მოხდა 6069 ლარის ოცდათერთმეტ რიცხვში გადარიცხვა, რომელიც, რატომღაც, პირველში "დაჯდა". იმის გამო, რომ ეს თანხა არ აისახა ოცდათერთმეტში, ადგილობრივი ბიუჯეტი შესრულდა ვითომ 99,8 პროცენტით, ანუ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას 1300 ლარი დააკლდა, რაც არ არის სიმართლე",** - დააზუსტა მან.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე დღეს 15 253 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს საფონდო ბირჟაზე განუცხადეს, სავაჭროდ წარდგენილი ექვსი კომპანიის აქციებიდან გარიგება ოთხის აქციებზე დაიდო; კერძოდ, გარიგება დაიდო ტრანსმშენის, საქართველოს ბანკის, ფოთის წისქვილქარხნის და გაერთიანებული ქართული ბანკის აქციებზე. გარიგებების ჯამურმა მოცულობამ - 26 842 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ღირებულებამ კი 15 253 ლარი შეადგინა. დღეს საფონდო ბირჟაზე რიგით N45-ე ვაჭრობა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანიას, რომელიც საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენს ემსახურება, გიგი ქოიავა უხელმძღვანელებს. როგორც "ინტერ-პრესისთვის" გახდა ცნობილი, გაზის საერთაშორისო კორპორაციის დაქვემდებარებაში მყოფი გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორს კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭო მომავალ კვირას დანიშნავს. ქოიავა აქამდე "საქთხევადგაზის" დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. აღნიშნული ინფორმაცია არ უარყო თავად ქოიავამ, თუმცა განაცხადა, რომ ეს საკითხი მომავალ კვირას გაირკვევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების საინფორმაციო ბიუროს მონაცემებით, პირველი ივნისიდან ბიუროდან უკვე გატანილია 40-მდე დეკლარაცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 8 ივნისს გამართული ვაჭრობის შედეგად ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შემდეგნაირად დაბალანსდა: 1 აშშ დოლარი - 1,9200 ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავრობის წარმომადგენლები და საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობა 8 ივნისს ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა განაცხადა, რომ საუბარი ეხებოდა თბილისის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემუშავების საკითხებს, თბილისის მერიის სამსახურების იმ პროგრამების განხილვას, რომლებიც უნდა წარადგინონ თბილისის მთავრობის წინაშე. ამის შემდეგ კი გაწერილი იქნება ბიუჯეტი. სავარაუდოდ, ამ დღეებში თბილისის მთავრობა ბიუჯეტს განსახილველად გადასცემს საკრებულოს და ეს უკანასკნელი მას ორი კვირის განმავლობაში დაამტკიცებს. სხდომაზე დაისახა პრიორიტეტებიც. **მედია-ნიუსი**

# აჭარის საბიუჯეტო პრივილეგიებს ვადა გასდის

პირველი გვერდიდან

პარლამენტარებს, მთავრობის წევრებსა და ეკონომიკის ექსპერტებს ამ საკითხზე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი ფიქრობს, რომ აქციზი, საბაჟო და დამატებითი ღირებულების გადასახადი საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება, რომელთა ასივე პროცენტი ცენტრალური ბიუჯეტის საკუთრება უნდა იყოს. **"პრაქტიკულად, ასეც არის, თუ არ ჩავთვლით აჭარის რეგიონს. ახლა, როცა აჭარაში აბაშიძე და მისი რეჟიმი წარსულს ჩაბარდა, ვფიქრობ, რომ ეს ნორმატიული აქტი გასაუქმებელია",** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ "24 საათთან" საუბრის დროს.

ზუსტად ასევე ფიქრობს პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე, რომელიც ირწმუნება, რომ აჭარა ბიუჯეტთან მიმართებაში არაფრით უნდა განსხვავდებოდეს საქართველოს სხვა დანარჩენი რეგიონებისგან. განსხვავებული მოსაზრება აქვს გოცირიძის კოლეგას და თანაფრაქციელს ლადო პაპავას. ეკონომიკის ექსმინისტრი ფიქრობს, რომ საბიუჯეტო შეღავათები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ვრცელდებოდეს. **"ეს არის ის მიდგომა, რომელიც უნდა იყოს მთელ საქართველოში, თუ გვინდა, რომ ქვეყანა იყოს შეკრული და ერთიანი, მათ შორის - საბიუჯეტო თვალსაზრისით. თუ რა თანაფარდობით - ეს უკვე განისაზღვრება იმის მიხედვით, ვის რა სტატუსი ექნება",** - გვითხრა ლადო პაპავამ.

ეკონომიკის ექსპერტი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე როინ ლამპარაძე აჭარისთვის საბიუჯეტო შეღავათების დატოვების მომხრეა, თუმცა, მისი აზრით, დღეს არსებული განაკვეთები საკმაოდ მაღალია და საჭიროა მისი შემცირება. ლამპარაძე ამბობს, რომ განაკვეთების შემცირებას მხარს მხოლოდ ერთი პირობით დაუჭერს: **"თუკი ეს თანხა სახელმწიფო ვალის დაფარვას მოხმარდება. აჭარაში დარჩენილი თანხები კი რეგიონის განვითარებას უნდა მოხმარდეს. სასურველია, თუკი ასეთი მიდგომა საქართველოს კიდევ რამდენიმე რეგიონში გავრცელდება."**

რაც შეეხება აჭარაში მოკრეფილ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებს, ადგილობრივ ბიუჯეტს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში 99 პროცენტი რჩება. რაც შეეხება სხვა ტერიტორიულ ერთეულებს - ამ გადასახადის მხოლოდ 85 პროცენტია მათი კუთვნილება. კანონის ამ მუხლს, რომელიც საშემოსავლო და მოგების გადასახადების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესს ეხება, ვადა დაახლოებით სამ კვირაში ეწურება. ფინანსთა სამინისტროს ინიციატივითა და პარლამენტის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე ხსენებული გადასახადების ასივე პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტებში დარჩება.

# თელაველები ელექტროკავშირის 50-ლარიანი ტარიფისაგან გათავისუფლებას მოითხოვენ

სოფო თბილელი

*"თელავის ელექტროკავშირის" აბონენტები ახალ ციფრულ სადგურზე გადართვისათვის გადასახდელი 50-ლარიანი ტარიფისაგან გათავისუფლებას ითხოვენ. "ელექტროკავშირს" კი ტარიფის უკანონოდ, მოტყუებით, უსამართლოდ დარიცხვასა და ახალ ქსელებზე იძულებით გადართვაში ადანაშაულებენ.*

**"რის საფუძველზე მოხდა 50-ლარიანი ტარიფის გაანგარიშება და სამართლებრივად მოხდა თუ არა აბონენტების ახალ ციფრულ-ელექტრონულ სადგურზე გადართვა?"** - გუშინ, "ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ამ კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. ეროვნული კომისია გადაწყვეტილებას ორდღიანი შესვენების შემდეგ - ხუთშაბათს, 10 ივნისს მიიღებს. გუშინ კომისია მხარეების - ერთი მხრივ, "ელექტროკავშირისგან" "მოტყუებული" აბონენტების, ასოციაცია "კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელის", საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის და მეორე მხრივ, "ელექტროკავშირის" - პოზიციებს და არგუმენტებს გაეცნო.

სხდომაზე მოწვეულმა ტექნიკურმა, იურიდიულმა და ეკონომიკურმა ექსპერტებმა, რომლებმაც კომისიის დავალებით დეტალურად შეისწავლეს თელავში მოსახლეობის ახალ ციფრულ სადგურზე გადაყვანის საკითხები, საკუთარი დასკვნები წარმოადგინეს. საბოლოო დასკვნა ასეთია - 50 ლარი გადაჭარბებული და ხელოვნურად გაბერილია. აბონენტების გადართვა ახალ ციფრულ სადგურზე მათი ინფორმირების გარეშე და, ნაწილობრივ, იძულების წესით მოხდა. **"ტელეფონები გაგვითიშეს და გვითხრეს, ახალ ქსელებზე უნდა გადაერთოთო. ვინც არ გადაერთვება, იმას ნომერს გავუყიდითო. არავის უთქვამს ჩემთვის, რომ ახალ სადგურზე გადართვაში 50 ლარი უნდა გადამეხადა, თორემ როგორ გადავიდოდი, როცა ფული არა მაქვს. ისე გააკეთეს, რომ 3-იანიდან (ანუ ძველი ინდექსით, ციფრულ სადგურზე გადასვლის შემდეგ ინდექსი 3-იანი 7-იანით შეიცვალა) ვერსად ვეღარ ვრეკავდით. იძულებული გავხდი, განცხადება დამეწერა. აბა, უტელეფონოდ ხომ არ დავრჩებოდი. 50 ლარი რომ უნდა გადამეხადა, ეს მას მერე გავიგე, როცა უკვე ციფრულ სადგურზე ვიყავი გადართული",** - გვითხრა ერთ-ერთმა თელაველმა ქალბატონმა, რომელიც, მისივე მტკიცებით, ჩვეულებრივი "აფიორის" მსხვერპლია. დაახლოებით, ასეთივე იყო გუშინ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შეკრებილი 15-მდე თელაველის არგუმენტები. ისინი ელექტროკავშირს ერთი მოთხოვნით მიმართავენ - 50-ლარიანი ტარიფისაგან გაათავისუფლონ და უკვე გადახდილი თანხები დაუბრუნონ.

"ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ შესაძლოა, აბონენტების ინფორმირებისას კომპანიამ მართლაც დაუშვა შეცდომა, თუმცა "ელექტროკავშირის" დირექტორმა მერაბ კანკავამ იქვე ისიც დასძინა, რომ კომპანია კანონის ჩარჩოებში მოქმედებს და 50-ლარიანი ტარიფის განსაზღვრაც კანონმდებლობის ფარგლებში მოხდა.

აუდიტორულ დასკვნაში კი აღნიშნულია, რომ თელავში ერთი აბონენტის გადართვა კომპანიას 8,19 ლარი დაუჯდა, თუმცა ისიც მითითებულია, რომ ეს რიცხვი დაზუსტებას საჭიროებს.

"ელექტროკავშირის" იურიდიული სამსახურის უფროსმა უჩა სეთურმა ექსპერტებს უნდობლობა გამოუცხადა და კომისიის წინაშე ახალი ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობა დააყენა.

ოთხსაათიანი მუშაობის შემდეგ კომისიამ ორდღიანი შესვენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. დააკმაყოფილებს თუ არა "ელექტროკავშირის" შუამდგომლობას და ვის სასარგებლოდ მიიღებს კომისია გადაწყვეტილებას, ეს ცნობილი ხვალ გახდება.

**P.S. შეგახსენებთ, რომ მსგავსი პრობლემები აქვს "ელექტროკავშირს" გორის, ხაშურისა და სენაკის აბონენტებთან, რამაც კომპანიას, მისი ხელმძღვანელების განმარტებითვე, უკვე 10 ათასობით დოლარის ზიანი მიაყენა.**



# "დიდი რვიანის" სამიტი დაიწყო

პირველი გვერდიდან

მისი დებულებები უკეთესობისკენ შეიცვალა და სრული საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ მასზე მუშაობა დადებითი შედეგით დასრულდება," - განაცხადა რუსმა ლიდერმა.

წლევანდელი სამიტი უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებითაც იყო აღსანიშნავი. სრუტეში, რომელიც კუნძულს მატერიკისაგან ყოფს, მუდმივად პატრულირებს სასაზღვრო დაცვის გემები, მობილიზებულია საჰაერო თავდაცვაც. წინასწარი მონაცემებით უსაფრთხოების უზრუნველყოფაში 20 ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

სამიტის დღევანდელი ფორმატი წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. პირველად, მსგავსი შეხვედრა 1975 წელს, საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის, ვალერი ჟისკარ დესტენის ინიციატივით გაიმართა და მონაწილეთა რაოდენობაც ნაკლები იყო. ხუთი ქვეყნის - საფრანგეთის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის - ლიდერთა შეხვედრა, მართლაც, არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა, ძალიან უბრალო იყო და მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ თემებს ეხებოდა. მოგვიანებით, ინდუსტრიულ სახელმწიფოთა ჯგუფს იტალია და კანადა შეუერთდა, ხოლო გასული წლის შემდეგ, მანამდე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე რუსეთი სრული უფლებებით აღიჭურვა. დროთა განმავლობაში ასეთი შეხვედრები გრანდიოზულ გაქანებას იღებდა და აპოგეას 2000 წელს ოკინავას სამიტზე მიაღწია. იაპონიამ მაშინ სამიტის ორგანიზებისთვისაც 750 მლნ. აშშ დოლარი დახარჯა.

ამჯერად, ამერიკის მხარემ გადაწყვიტა მაქსიმალური ეკონომია გაეწია და სამიტის ორგანიზაცია კერძო ფირმას დაავალა. შედეგად, მომსახურების უმეტესი ნაწილი ფასიანი გახდა.

# რადიკალური მუსლიმური ორგანიზაციები ინდონეზიაში

ლაშა გიორგიძე

დღეს ტერორისტული დაჯგუფებები ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას დიდ პრობლემებს უქმნიან. თუმცა, იმავე მთავრობებს ხშირად არ სურთ, რომ საკუთარი ქვეყნის ბანდ-ფორმირებების შესახებ ღიად ისაუბრონ და მსოფლიოს თვალში არასტაბილური და საშიში სახელმწიფოს იმიჯი დაიმკვიდრონ. რამდენიმე დღის წინ ინდონეზიაში მომხდარი გახმაურებული ფაქტი - ამერიკელი ანალიტიკოსის სიდნეი ჯოუნსის ქვეყნიდან გაძევება სწორედ ამას უკავშირდება. იგი ადგილობრივი შეიარაღებული ჯგუფების და ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობით იყო დაინტერესებული. როგორც სიდნეი ჯოუნსი აცხადებს, არაოფიციალურ საუბრებში იგი ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციაში დაადანაშაულეს, ოფიციალურად კი ვიზასთან დაკავშირებული პრობლემები დაასახელეს. ქალბატონი ჯოუნსი მსოფლიოში ცნობილი ანალიტიკური ცენტრის "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის" წარმომადგენელი და ინდონეზიის ფილიალის ხელმძღვანელია. მისი ბოლოდროინდელი მოხსენებები ისლამურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან ინდონეზიის ხელისუფლების კავშირებს ეხებოდა. ამერიკელი ექსპერტი ასევე ისეთი შეიარაღებული დაჯგუფებით იყო დაინტერესებული, როგორიც "ჯემააჰ ისლამიაა". ეს ფორმირება დასავლეთის სამიზნეების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებშია ეჭვმიტანილი. "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის" ხელმძღვანელმა გარეთ ევანსმა აღნიშნული ფაქტი "სამართლიანი კრიტიკის ჩახშობად" მიიჩნია, რაც "კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პოლიტიკური თავისუფლების არსებობას პრეზიდენტ მეგავატის მთავრობის მმართველობის დროს."

დღევანდელი პრეზიდენტი მეგავატი სუკარნოპუტრი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. ბევრი ექსპერტი მას დამარცხებას უწინასწარმეტყველებს. სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, უდიდესი სიმწვავით დგას მუსლიმური შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობა ქვეყანაში, რომელიც ნამდვილად ვერ აღკვეთა ინდონეზიის დღევანდელმა ხელისუფლებამ. უფრო მეტიც, ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი სწორედ ასეთ ექსტრემისტულ ფორმირებასთან კავშირშია ეჭვმიტანილი.

უკვე არა მარტო ახლო აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნებისათვის, არამედ ყველა აზიური ისლამური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი გახდა რელიგიის რადიკალური ფორმებით გამოვლინება, რაც შეიარაღებულ თავდასხმებში, ტერორისტულ აქტებში და სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა დევნაში გამოიხატება. როგორც ჩანს, ამ მხრივ გამონაკლისი არც ინდონეზიაა. ამ ქვეყანაში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური მუსლიმური დაჯგუფება "ჯემააჰ ისლამიაა", რომლის საქმიანობითაც დაინტერესებული იყო ამერიკელი ექსპერტი. ამ ორგანიზაციას რამდენიმე წლის წინ კუნძულ ბალიზე განხორციელებულ აფეთქებაში ადანაშაულებენ, რასაც ორასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ეს დაჯგუფება, რომლის სახელწოდებაც ითარგმნება, როგორც "ისლამური საზოგადოება", ინდონეზიის ხელისუფლებამ ოსამა ბინ-ლადენის "ალ-ქაიდას" ქსელთან კავშირში დაადანაშაულა. თავის დროზე, დიდმა აიათოლა ხომეინიმ ირანის პოლიტიკა ისლამის რელიგიასთან გააიგივა და მის ექსპორტს შეეცადა. მსგავსი მიზნები დღეს "ისლამურ საზოგადოებას" გააჩნია. ამ ორგანიზაციის მთავარ მიზანს პან-ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს, რომელიც მალაიზიას, ინდონეზიას, სინგაპურსა და სამხრეთ ფილიპინებს მინდანაოს კუნძულებთან ერთად გააერთიანებს.

დაჯგუფების სულიერ ლიდერად აბუ ბაქარ ბაასირი სახელდება. ერთი წლის წინ იგი სასამართლოს წინაშე წარსდგა, რადგან ბრალად ედებოდა ინდონეზიის კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობა. მოგვიანებით, იგი ეკლესიებში მომხდარ აფეთქებებში იყო ეჭვმიტანილი, რომელიც ქრისტეშობის ღამეს განხორციელდა და 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იმ მოტივით, რომ ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის მკვლელობა მან დაგეგმა, რათა მუსლიმებით დასახლებული ყველაზე დიდი ქვეყანა ისლამურ სახელმწიფოდ გადაექცია, მას 18-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სასულიერო პირი ყველანაირ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მას მხოლოდ მეჩეთში "ქადაგება შეუძლია". მის მიერ ყველა ბრალდების უარყოფის მიუხედავად, ეჭვს ბადებს მისი გამონათქვამები მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტზე: "მე მხარს ვუჭერ ოსამა ბინ-ლადენის ბრძოლას, რადგან იგი ისლამის გაძლიერების ჭეშმარიტ მიზანს ემსახურება და არა ტერორს. ტერორისტები ამერიკა და ისრაელია." მართალია, იგი ღიად უჭერს მხარს ბინ-ლადენს, მაგრამ უარს აცხადებს ნებისმიერი კავშირის შესახებ მასთან ან, ზოგადად, ტერორიზმთან.

რადიკალურად განწყობილ მუსლიმთა შორის აბუ ბაქარ ბაასირი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად რჩება. გარდა მუსლიმური სკოლისა, რომელიც მან ქალაქ ჯავაში დააარსა, მან ასევე ჩამოაყალიბა "მოჯაჰედთა საბჭო" იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ინდონეზიის შარიათული კანონებით მართვის მომხრეები არიან. ინდონეზიის ეს რადიკალი მუსლიმი 1970-იანი წლებიდან ქვეყნის დიქტატორის სუჰარტოს მიერ იდევნებოდა. 13 წლის განმავლობაში კი მალაიზიას აფარებდა თავს. ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი თავისი იდეის ერთგული დარჩა და დღემდე აცხადებს, რომ "ისლამურმა საზოგადოებამ ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის წინაპირობა უნდა შექმნას."

ისლამისტური ორგანიზაციის "ჯემააჰ ისლამიას" ერთ-ერთ წამყვან ფიგურად რიდუან ისამუდდინი ითვლება, რომელიც ჰამბალის სახელითაა ცნობილი. მას აშშ-ს სპეცსამსახურები სამხრეთ აზიელ ბინ-ლადენს უწოდებენ. ჰამბალი ავღანეთშიც იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დღესდღეობით კი ორგანიზაციის ყველა ოპერაცია მის მიერ არის მომზადებული. ქვეყნის ხელისუფლებამ, თავის დროზე, საკმაოდ მკაცრი ზომები მიიღო ბალიში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით და 30-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრა, რომელთაც "ჯემააჰ ისლამიასთან" ჰქონდათ კავშირი. რადიკალური ისლამის ექსპორტის საფრთხე იგრძნეს ინდონეზიის მეზობელმა ქვეყნებმა მალაიზიამ და სინგაპურმა, სადაც, აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მოტივით, 100-მდე პიროვნება იქნა დაკავებული.

კიდევ ერთ რადიკალურ ისლამურ ორგანიზაციად ქვეყანაში "ისლამის დამცველთა ფრონტი" ითვლება, რომელიც რამდენიმე ღამის კლუბსა და გასართობ ცენტრში მომხდარ აფეთქებაშია ეჭვმიტანილი. სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებებისაგან განსხვავებით, ეს ორგანიზაცია ინდონეზიის ისლამური სახელმწიფოს შექმნას არ მოითხოვს, მაგრამ იმისათვის იბრძვის, რომ ქვეყანაში მკაცრი შარიათის კანონები მოქმედებდეს. "ისლამის დამცველთა ფრონტის წევრები", რომელთა რაოდენობაც რამდენიმე ათასს აღწევს, ყველა იმ ადამიანსა თუ ორგანიზაციას ებრძვიან, რომლებიც ისლამური კანონების არსებობას ეწინააღმდეგებიან. ჯერ კიდევ 2001 წელს ჯგუფის წევრები დასავლეთის ქვეყნებს დაემუქრნენ, რომ ავღანეთში ამერიკელთა შეჭრის საპასუხოდ, ისინი ვაშინგტონის მოკავშირეებზე შეტევას განახორციელებდნენ. მართალია, მათი დაპირება სისრულეში არ იქნა მოყვანილი, თუმცა, ამის საშიშროება დღემდე არსებობს.

ინდონეზიაში მოქმედი მუსლიმური ორგანიზაციებიდან ერთ-ერთი პირველი "დარ ალ-ისლამი" შეიქმნა. მართალია, ძნელია იმის მტკიცება, აქვს თუ არა მას კავშირი "ალ-ქაიდას" ტერორისტულ დაჯგუფებასთან, თუმცა, ფაქტია, რომ ეს ორგანიზაცია მოხალისეებს აშშ-ს წინააღმდეგ საბრძოლველად ავღანეთში აგზავნიდა. "დარ ალ-ისლამი" ინდონეზიაში მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებში ჩამოყალიბდა და თავდაპირველად პარტიზანული მოძრაობით გაითქვა სახელი. მართალია, მისი მიზანიც ისლამური სახელმწიფოს შექმნაა, თუმცა, მხოლოდ ინდონეზიის საზღვრებში.

ინდონეზიაში შექმნილი რადიკალური ისლამური ორგანიზაციები დაკავებულნი არიან არა მხოლოდ ყოველივე დასავლურისა და ამერიკულის განადგურებითა და შეურაცხყოფით, არამედ მათი ბრძოლა ხშირ შემთხვევაში წმინდა რელიგიურ დაპირისპირებაში გამოიხატება. სხვა რელიგიისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები ამ ორგანიზაცის წევრების მიერ საშინლად იდევნებიან. უფრო ხშირად მათი მსხვერპლი ქრისტიანები ხდებიან.

ქრისტიანების წინააღმდეგ ყველაზე დაუნდობელ მებრძოლებად "ლაშქარ ჯიჰადის" ორგანიზაციის წევრები გამოდიან. 2000 წელს ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა თავიდანვე წმინდა ომის - ჯიჰადის წარმოება დაისახა მიზნად და ათასობით ადამიანი გაგზავნა სხვადასხვა რეგიონში, რათა "წმინდა მუსლიმური მისია" შეესრულებინათ. ამ მისიის წარმატებაზე მათი საქმიანობაც მიგვანიშნებს: ღამის კლუბებში მომხდარი აფეთქებები, სადაც ერთ-ერთი აფეთქების დროს 200 ადამიანი დაიღუპა, შეიარაღებული შეტევა ქრისტიანებზე, რომელმაც 2001-2002 წლებში გახშირებული ხასიათი მიიღო. ორგანიზაციის ლიდერი ჯაფარ უმარ თალიბი რელიგიური შეუწყნარებლობის გამო დააპატიმრეს. ბოლო დროს დაჯგუფებამ თავისი პოზიციები ოდნავ შეარბილა. 2002 წლის მაისში ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის ჰამზა ჰაზის სტუმრობა ბატონ თალიბთან ციხეში ბევრი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ჰამზა ჰაზი "გაერთიანებული განვითარების პარტიას" ხელმძღვანელობს, რომელიც ინდონეზიის ყველაზე დიდი მუსლიმური პოლიტიკური პარტიაა.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებთან ერთად, როგორც ჩანს, არანაკლები საფრთხე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდანაც მომდინარეობს, სადაც ყველანაირი წინაპირობა იქმნება ახალი ისლამური და, შეიძლება, რადიკალური ისლამური სახელმწიფოს ჩამიყალიბებისათვის. დღეს ინდონეზიაში, მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ სახელმწიფოში, მუსლიმური ექსტრემიზმი განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს.

# რუსეთი ტაჯიკეთში "დარჩენას" ცდილობს

რევაზ ბახტაძე

4 ივნისს, სოჭში შეხვედრის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და ტაჯიკეთის პრეზიდენტმა იმომალი რახმანოვმა მიღწეული შეთანხმებების თაობაზე განცხადება გააკეთეს. მათი შესრულების შემთხვევაში, რუსეთის სამხედრო ყოფნა ტაჯიკეთში გაძლიერდება. მხარეებს საბოლოო ხელშეკრულებაზე ხელი, ჯერჯერობით, არ მოუწერიათ, რადგან შეთანხმების დეტალები დამუშავებას მოითხოვს.

რუსებმა ტაჯიკების დასაყოლიებლად ორი ეკონომიკური ბერკეტი გამოიყენეს: რუსეთის მიმართ დუშანბეს დავალიანება და რუსეთში მომუშავე ტაჯიკების სტატუსი.

სოჭის შეთანხმების თანახმად, ტაჯიკეთმა რუსებს უნდა გადასცეს მიწის ფართობი, რომელიც რუსეთის არმიის ბაზის შესაქმნელად იქნება გამოყენებული. ამას გარდა, ტაჯიკეთმა მოსკოვს ის სამხედრო ობიექტები უნდა გადასცეს, რომელსაც ამჟამად რუსები იყენებენ. შეთანხმების თანახმად, მიწა და ობიექტები "უფასოდ და უვადოდ" უნდა გადაეცეს რუსებს. შესაძლოა, გადასახადი ტაჯიკეთის ვალიდან გამოიქვითოს. ამ გეგმის განხორციელება რუსეთს საშუალებას მისცემს, 201-ე მოტომსროლელი დივიზია ტაჯიკეთში დატოვოს.

არადა, ცოტა ხნის წინ სერიოზულად განიხილებოდა რუსი სამხედროების ტაჯიკეთიდან მთლიანად გამოსვლის შესაძლებლობა.

დღემდე ამ დივიზიას ლეგალური სტატუსი არ გააჩნია. აღნიშნულ დივიზიას 1999 წლამდე დსთ-ს მშვიდობისმყოფელთა სტატუსი ჰქონდა. ბოლო დროს ტაჯიკეთი სულ უფრო ხშირად მოითხოვდა კომპენსაციას რუსების მიერ გამოყენებული მიწისა და რესურსების სანაცვლოდ.

სოჭის შეთანხმების თანახმად, ტაჯიკეთში ავღანეთის საზღვრის მონაკვეთზე რუსი მესაზღვრეების ყოფნის ვადაც გახანგრძლივდა. ახალი შეთანხმებით, ტაჯიკები საზღვრის ამ მონაკვეთის გაკონტროლებას 2006 წლის დეკემბრიდან დაიწყებენ და არა 2005 წლის მაისიდან, როგორც ეს ადრე იყო შეთანხმებული. 2007 წლიდან რუსეთს ტაჯიკეთში რუსი მესაზღვრეების "ოპერატიული ჯგუფი" ეყოლება. ამ ჯგუფის მიზნები ორმხრივი შეთანხმებების გზით უნდა განისაზღვროს.

ამას გარდა, ტაჯიკეთმა რუსეთს მფლობელობაში უნდა გადასცეს ნურეკში არსებული კოსმოსური ცენტრი. ამ ცენტრის მშენებლობა ჯერ კიდევ 1980 წელს დაიწყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეჩერდა. ამ ცენტრმა მუშაობა მხოლოდ 2003 წელს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ამ ობიექტის ექსპლუატაციისას გამოყენებული ელექტროენერგიის საფასურს არ გადაიხდის.

ამ დათმობების მიუხედავად, ტაჯიკეთის 299 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი არ შემცირდება. სოჭში მოილაპარაკეს, რომ ის საწარმოები შეირჩევა, რომლებიც ვალის სანაცვლოდ რუსეთს გადაეცემა. სახელმწიფო ვალის დაფარვის ეს მეთოდი რუსეთმა უკვე წარმატებით გამოიყენა სომხეთში, სადაც, ფაქტობრივად, მთელი ენერგეტიკული სისტემა უკვე მოსკოვის ხელშია. ამავე შეთანხმების მიხედვით, "რაო ეეს როსსიი" სანგტუდას ჰიდროელექტროსადგურს ააგებს, რომლის საკონტროლო პაკეტი ამ რუსული სახელმწიფო კომპანიის ხელში იქნება.

პრეზიდენტმა რახმანოვმა ვლადიმირ პუტინი ტაჯიკეთში დაპატიჟა, მაგრამ რუსები ამ ვიზიტისაგან თავს იკავებენ მანამ, სანამ დუშანბე ყველა შეთანხმების შესრულებას არ დაიწყებს, პირველ ყოვლისა, სამხედრო სფეროში.

ამავდროულად, სოჭში არაფერი თქმულა რუსეთში მომუშავე ტაჯიკების სტატუსზე. რუსეთში მყოფი ტაჯიკების მიერ გამოგზავნილი ფული სამშობლოში ქვეყნის ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამ ხელშეკრულების არარსებობა კი რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, მათი უფლებები შელახოს და მათი ბედით ივაჭროს კიდეც.


**ს.ს. "თელასი"**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:**

**ჭანჭიკი, ქანჩი, საყელური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | M12X40 | - | 45კგ |
| 2. | M12X50 | - | 60კგ |
| 3. | M12X60 | - | 60კგ |
| 4. | M14X40 | - | 20კგ |
| 5. | M14X50 | - | 20კგ |
| 6. | M14X60 | - | 25კგ |
| 7. | M16X40 | - | 50კგ |
| 8. | M16X60 | - | 20კგ |
| 9. | M16X70 | - | 30კგ |
| 10. | M20X50 | - | 30კგ |
| 11. | M20X80 | - | 30კგ |
| 12. | M20X100 | - | 50კგ |
| 13. | M6X30 | - | 3კგ |
| 14. | M6X40 | - | 1,5კგ |
| 15. | M6X50 | - | 2კგ |
| 16. | M8X30 | - | 6კგ |
| 17. | M8X40 | - | 11კგ |
| 18. | M8X50 | - | 7კგ |
| 19. | M10X30 | - | 25კგ |
| 20. | M10X40 | - | 30კგ |
| 21. | M10X50 | - | 35კგ |

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 ივნისი.


# აშშ სამხრეთ კორეიდან ჯარების გამოყვანას გეგმავს

შეერთებული შტატების სარდლობას გადაწყვეტილი აქვს, რომ 2006 წლისთვის სამხრეთ კორეაში განლაგებული 37 000 ამერიკული სამხედრო კონტინგენტიდან 12 500 უკან გამოიწვიოს.

ამის შესახებ ამერიკის მაღალი თანამდებობის პირებმა სამხრეთკორეელ კოლეგებს სეულში მოლაპარაკებების დაწყების წინ აცნობეს. მოლაპარაკებები სამხრეთ კორეისა და შეერთებული შტატების სამხედრო კავშირის მომავალს შეეხება.

სამხრეთ კორეიდან გამოყვანილი ნაწილებიდან 3600 ჯარისკაცს ერაყში გააგზავნიან. აშშ-ს მტკიცებით, ჯარების გამოყვანა სამხრეთ კორეიდან ამერიკული არმიის მოდერნიზების პროგრამის ნაწილია. სეულში კი შიშობენ, რომ ამერიკული ჯარების სწრაფი გაყვანა ჩრდილოეთ კორეის თვალში სამხრეთ კორეას უფრო სუსტად წარმოაჩენს.

პენტაგონის განცხადებით, სამხრეთ კორეაში ამერიკის შეიარაღებული ძალების შემცირება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას არაფერს მოაკლებს, რადგან ცოცხალი ძალა უკეთესი იარაღითა და აღჭურვილობით იქნება კომპენსირებული, რომელსაც ამერიკელები სამხრეთ კორეაში შეიტანენ.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო მუ-ჰიუნმა, რომელიც ამერიკაზე დამოკიდებულების შემცირების მომხრეა, განაცხადა, რომ ქვეყნის უშიშროებას ეს საფრთხეს არ შეუქმნის.

"საკუთარი ძალებით თავდაცვისა და შეერთებულ შტატებთან ალიანსის კონცეფციებს ერთმანეთის შევსება შეუძლიათ," - განაცხდა მან სატელევიზიო გამოსვლისას.

თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, სამხრეთ კორეას სურს, რომ ამერიკული არმიის ნაწილები ქვეყანაში მანამ დარჩეს, სანამ ჩრდილოეთ კორეა თავისი ბირთვული პროგრამის შეწყვეტაზე არ დათანხმდება. სეულს ურჩევნია, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები სამხრეთ კორეიდან, მომავალი ათი წლის განმავლობაში, თანდათან გავიდეს.

რეგიონში შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები 1950-1953 წლების კორეის ომის შემდეგ არის განლაგებული.





# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

აფხაზური ისტორიები

## თალგამი

*ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ცნობილია, რომ პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით. პროექტი პარალელურია და რიგითი ადამიანების მიერ ჩაწერილი "ცხოვრებისეული ისტორიები" თბილისსა და სოხუმში გადაიცემა. ცოტა ხნის წინ, აფხაზმა კოლეგებმა პროექტის ქართველ კოორდინატორს აფხაზეთში ჩაწერილი რამდენიმე აუდიოდღიური გამოუგზავნა, რომელშიც რიგითი აფხაზები თავიანთ ყოფით პრობლემებზე, განწყობებზე, წარსულსა და აწმყოზე საუბრობენ. აუდიოდღიურები თავად პროექტის მონაწილე აფხაზი ჟურნალისტების მიერ არის დასათაურებული. ჩვენ ქართველ მკითხველს უკვე ოთხი აფხაზური დღიური გავაცანით. დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ უკანასკნელ, მეხუთე დღიურს. მისი გმირი - პატარა აფხაზი გოგონაა.*

მე დიანა მქვია, გვარად ბაღათელია ვარ. ვსწავლობ პირველ კლასში. ახლა მე სახლში ვარ დედასთან ერთად. დედაჩემი საქმიანობს - "შპალერს" აკრავს კედლებზე. ჩვენთან სინესტეა და კედლები არცთუ ლამაზი გვაქვს. ამიტომ, ცოტა ხნის წინ, დედამ ოთახის გალამაზება და განახლება გადაწყვიტა. მას ამაში მისი მეგობარიც ეხმარება, რომელიც ჩვენთან სტუმრად არის მოსული. ისინი ერთად აკრავენ "შპალერს". გასაკრავი "შპალერი" მე ძალიან მომწონს, რადგან დედამ სპეციალურად ლამაზი ქაღალდი შეარჩია.

მალე მე და, ან ძმა მეყოლება. ეს ამბავი ძალიან მიხარია. ისე, მე მინდა, რომ დაიკო მყავდეს. მე ბევრი სხვადასხვანაირი სათამაშო მაქვს. მე ზოგიერთი ჩემი სათამაშოს "მოსმენაც" კი შემიძლია (ისმის სათამაშო კატის კნავილი). აი, ასე კნავის ჩემი ფისუნია. მართლაც, ბევრი სათამაშო მაქვს, საბავშვო "ფერიაც" კი მაქვს. მაგრამ მაინც მეტი სათამაშო მინდა...

მე სკოლაში კარგად ვსწავლობ - ოთხებზე და ხუთებზე. სიამოვნებით დავდივარ სკოლაში, რადგან იქ ყოფნა ძალიან მომეწონა. თავდაპირველად არ მინდოდა სკოლაში სიარული, სულ დედასთან, სახლში ყოფნა მინდოდა, მაგრამ მერე ძალიან შემიყვარდა სკოლა, ჩემი ამხანაგები.

სულ პატარა რომ ვიყავი, საბავშვო ბაღში დავდიოდი, მაგრამ იქაურობა არ მიყვარდა, რადგან ყოველდღე ერთსა და იმავე საჭმელს გვაჭმევდნენ, არც აფხაზურ ენას არ გვასწავლიდნენ. სკოლაში მეორე კლასიდან უკვე ვისწავლით აფხაზურ ენას. მე აფხაზურს ვისწავლი, ჩემი მეგობარი კი - რუსულს.

მე ძალიან მიყვარს ზღაპრები. განსაკუთრებით მიყვარს ზღაპარი თალგამზე, იმიტომ, რომ საინტერესოა. მე ეს ზღაპარი თითქმის ზეპირად ვიცი და ახლა თქვენც მოგიყვებით...

"დარგო მოხუცმა თალგამი. გაიზარდა თალგამი დიდი, დიდზე დიდი. წავიდა მოხუცი ბოსტანში, თალგამის ამოსაღებად. ეწევა, ეწევა და ვერაფრით ვერ ამოიღო მიწიდან. დაუძახა თავის ცოლს - ბებიას... ახლა ორივე ეწევა, ეწევა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ ამოწიეს... დაუძახეს შვილიშვილს... სამივე ეწევა, ეწევა თალგამს და მაინც ვერ ამოიღეს...

დაუძახეს თავიანთ ძაღლს... ყველანი - ბაბუა, ბებია, შვილიშვილი და ძაღლი, ყველანი ექაჩებიან თალგამს და ვერაფრით ვერ ამოიღეს... დაუძახეს კატას... ყველანი - ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, ძაღლი და კატა ერთად ექაჩებიან და მაინც ვერ ამოიღეს... დაუძახეს პატარა წრუწუნას. ექაჩებიან - ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, ძაღლი, კატა და თაგვი... ექაჩებიან, ექაჩებიან და, როგორც იქნა, ამოიღეს თალგამი მიწიდან...

აი, სულ ეს არის...ზღაპარიც დამთავრდა. ვინც მისმენდა, ყველას დიდი მადლობა!"

***რუბრიკას უძღვება***
***ლელა მარგიანი,***
***რადიოპროექტი –***
***"ცხოვრებისეული ისტორიები"***
***ხორციელდება ბრიტანული***
***საერთაშორისო ორგანიზაციის***
***"შერიგების რესურსების" მიერ.***
***ჩანაწერები მოგვაწოდა***
***რადიოპროგრამა***
***"პოსტფაქტუმმა".***

მოკლედ

## ჯვარი და ერთიანობა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დარწმუნებულია და სჯერა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში ერთიანი და სრულყოფილი სახელმწიფო იქნება.

მისი თქმით, ამის იმედს საქართველოს პატრიარქს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და, ამავდროულად, საქართველოს დროშაზე გამოსახული ჯვარი აძლევს.

როგორც კათოლიკოს-პატრიარქი აცხადებს, დროშებზე ჯვრის გამოსახვა ჯერ კიდევ მე-V საუკუნიდან დაიწყო და ეს ნიშანია იმისა, რომ ქვეყანა, გარკვეულწილად, ღვთის მადლის მატარებელიც არის.

*ინტერ-პრესი*

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# "საიდუმლო" კონცეფცია, რომელზეც ყველა მსჯელობს

ზაზა ფაჩუაშვილი

*26 მაისის შემდეგ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებს ფედერალური მოწყობა შესთავაზა, ოპოზიციურად განწყობილმა გარკვეულმა ძალებმა ყველაფერი ერთ კონცეფციას დააბრალეს და იგი ყველანაირ უარყოფით კონტექსტშიც მოიხსენიეს. საქმე ეხება ექსპერტთა 7-კაციანი ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ შარშან შექმნილ კონცეფციას, რომელიც წელს გასაცნობად გადაეცა სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავას. კონცეფცია დაგმეს ძველმა არაფორმალებმაც, ხოლო პრორუსულმა ოპოზიციამ მას კონფედერაციის იარლიყიც კი მიაკერა. ვითვალისწინებთ მრავალთა ინტერესს და ვიდრე კონცეფცია ოფიციალურად გამოქვეყნდებოდეს, მისი რაობის შესახებ ვესაუბრებით ერთ-ერთ ავტორს პაატა ზაქარეიშვილს.*



*პაატა ზაქარეიშვილი: "კონცეფციაში მოცემულია აფხაზეთის ფართო ავტონომიის შინაარსი. ჩვენ თამამად შეგვიძლია აფხაზებს შევთავაზოთ და მსოფლიო თანამეგობრობას წარვუდგინოთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების არგუმენტირებული, პოლიტიკურად და სამართლებრივად დასაბუთებული ვარიანტი."*

თემურ სუხიტაშვილის ფოტო

**- ბატონო პაატა, როგორ შეიქმნა ეს კონცეფცია?**

- კონცეფცია თავის დროზე ძველი ხელისუფლების ინიციატივით შეიქმნა. მოგეხსენებათ, იყო მუდმივი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით არავითარი დოკუმენტი არ არსებობდა. ამიტომ, მაშინდელმა უშიშროების საბჭომ ჩვენ, ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შემოგვთავაზა, ამ მიმართულებით გვემუშავა. ასეთი პირობითი შეთანხმების შედეგად შევქმენით 7-კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც კონცეფციაზე ერთი წლის განმავლობაში იმუშავა. დავასრულეთ შარშან მარტში, მაგრამ დაიწყო რევოლუციური პროცესები და კონცეფცია ჩვენვე შეგვრჩა ხელში. დაახლოებით 2 თვის წინათ ეს კონცეფცია, გაცნობის მიზნით, ბატონ გოგა ხაინდრავას გადავეცით.

**- ოპონენტები ამბობენ, რომ რაღაც საიდუმლოდ ხდება და კონცეფციას საზოგადოებას უმალავენ.**

- არავინ არავის არაფერს უმალავს, უბრალოდ, კონცეფციისთვის საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მოიცალეს.

**- კონცეფცია დღემდე რატომ არ გამოქვეყნდა?**

- აჭარის საკითხის გადაწყვეტას ველოდებით. მანამდე ამ კონცეფციის გამოქვეყნება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რომ არ მოხდეს რაღაც პარალელების გავლება აჭარის საკითხთან და არ გაჩნდეს უსაფუძვლო ბრალდებები კონცეფციისა და მის ავტორთა მიმართ (მით უმეტეს, რომ კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფის ორი წევრი დღეს უკვე ხელისუფლების წევრია - პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და დეპუტატი ივლიანე ხაინდრავა - და მათ პოლიტიკური ოპონენტებიც ჰყავთ). ცხადია, რომ აჭარისა და აფხაზეთის საკითხი ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება. ამიტომ ჩვენ ველოდებით, საბოლოოდ რას შესთავაზებს აჭარას ცენტრი.

**- კაკუბავა, რომელიც კონცეფციას უკვე ეწინააღმდეგება, აცხადებს, რომ იგი ინტერნეტში ნახა.**

- ჩვენ ეს კონცეფცია არ გამოგვიქვეყნებია და არც ინტერნეტში გაგვითავსებია. შეიძლება რაღაც ფრაგმენტი იყო, მაგრამ ამით მსჯელობა სრულიად შეუძლებელია. ჩვენ, ავტორები, თითქმის, ყოველ კვირა ვიკრიბებით და, ახალი რეალობების გათვალისწინებით, კონცეფციაში ცვლილებები შეგვაქვს. შესაბამისად, დღევანდელი ვარიანტი პირვანდელი სახისაგან განსხვავდება. ამიტომ კონცეფციის ავ-კარგიანობაზე მსჯელობა ოფიციალურ გამოქვეყნებამდე ფუჭი გარჯაა.

**- ოპონენტებმა კონცეფციას კონფედერაციის იარლიყიც მიაკერეს.**

- აქ არავითარ კონფედერაციულ მოწყობაზე საუბარი არ არის და არც შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო, ვინაიდან კონფედერაცია დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ასე მოიხსენიებენ, შვეიცარიაა, მაგრამ სინამდვილეში მას კონფედერაციასთან არანაირი კავშირი არ აქვს. თავის დროზე, კონფედერაციული იყო სსრკ, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია, მაგრამ დღეს კონფედერაციის მაგალითს მსოფლიოში ვერავინ მაჩვენებს. ამიტომ ამაზე საუბარი უნდა დავივიწყოთ.

**- გამოქვეყნებამდე იქნებ ორიოდე სიტყვით გვეთქვა, რას წარმოადგენს ეს კონცეფცია?**

- ჩვენი კონცეფცია შეიცავს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ერთეულს შორის პოლიტიკურ-სამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც დამახასიათებელია ფედერაციული ურთიერთობებისათვის. მსოფლიოში ფედერაციული მოწყობის არაერთი მაგალითი არსებობს - ესპანეთი, გერმანია, ბელგია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, და არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს. ჩვენ საერთაშორისო გამოცდილებას ვეყრდნობით და ყურადღებას, განსაკუთრებით, ესპანურ მოდელზე ვამახვილებთ. ეს არის ცენტრსა და კატალონიას შორის ურთიერთობების დაახლოებული ვარიანტი. ოპონენტებს ვთხოვ, ნახონ კატალონიის კონსტიტუცია და მერე გვაკრიტიკონ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი კონცეფცია არ არის კოპირება. პირიქით, ჩვენ საზოგადოებას ფედერალიზმის უნიკალურ ქართულ მოდელს ვთავაზობთ, სადაც აფხაზების ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. ეს არის საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის აღიარება.

ჩვენ აწონილ-დაწონილი გვაქვს ყველა რესურსი და ყველა რისკი, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ კონცეფციის განხორციელებას და ყველაფერი მინიმუმამდე გვაქვს დაყვანილი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აფხაზების ზურგს უკან არ არის ისეთი რამ, რაც ამ კონცეფციის ხორცშესხმას შეუძლებელს გახდიდა. ამიტომ, ამ კონცეფციის მიღების შემდეგ მსჯელობა მოუწევთ რუსებსა და აფხაზებს. აქამდე ფაქტის წინაშე ყოველთვის ისინი გვაყენებდნენ. დღეს აფხაზებს ისეთ კონცეფციას ვთავაზობთ, რომ ისინი არგუმენტირებულ უარს ვერ გვეტყვიან. ვერც რუსეთი იტყვის ვერაფერს, ვინაიდან სათქმელი არაფერი ექნება. იმ ხარისხის ავტონომიას, რასაც ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ, რუსეთი თავის ტერიტორიაზე არასოდეს დათანხმდება. ამიტომ, ჩვენ ამ კონცეფციით, აფხაზეთის საკითხიდან რუსეთის ფაქტორს, ბოლოს და ბოლოს, გამოვრიცხავთ.

კონცეფციაში მოცემულია აფხაზეთის ფართო ავტონომიის შინაარსი. ჩვენ თამამად შეგვიძლია აფხაზებს შევთავაზოთ და მსოფლიო თანამეგობრობას წარვუდგინოთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების არგუმენტირებული, პოლიტიკურად და სამართლებრივად დასაბუთებული ვარიანტი. აქ არის ორი ძირითადი დოკუმენტის პროექტი ("შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ" და "საქართველოს კონსტიტუციური კანონი, ფედერალური შეთანხმება აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ") და დაწვრილებითაა ასახული საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი და ძირითადი პრინციპები. აგრეთვე, დოკუმენტების ამოქმედებისა და რეალური განხორციელების გზები. აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი ეფუძნება საქართველოს სახელმწიფოსა და მის შემადგენლობაში მყოფი აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ერთეულს შორის ფედერაციული ურთიერთობების, უფლებამოსილებების გამიჯვნის პრინციპებს.

კონცეფციის თანახმად, შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ძალაში შედის მხარეთა, აგრეთვე, გაერო-სა და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების ხელმოწერისთანავე. იგი მოკლედ და კონკრეტულად განსაზღვრავს კონფლიქტის მოწესრიგების ძირითად და სამართლებრივ პრინციპებს - მხარეები უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე და სურთ კონფლიქტის სამართლებრივი მოწესრიგება, აღიარებენ ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვან სახელმწიფო ტრადიციებს და ა.შ.

მეორეა - დევნილების ზუსტი აღრიცხვიანობა და მათი ნებაყოფლობითი დაბრუნება აფხაზეთში. ჩვენ ვცდილობთ, რომ დევნილების დაბრუნება არ იყოს სპეკულაციის საგანი, ისე, როგორც ყოფილი ხელისუფლების დროს, ჯერ დევნილები დავაბრუნოთ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

პირიქით, ჯერ უნდა შევქმნათ უსაფრთხოების გარანტიები და სათანადო პირობები იმისათვის, რომ დაბრუნება ყველა მსურველისთვის შესაძლებელი იყოს და უსაფრთხო - აფხაზებისთვის. ჩვენ უნდა დავანახოთ აფხაზებს, რომ ჩვენთვის მთავარია კონფლიქტის მოგვარება, ანუ აფხაზებისა და ქართველების უფლებების თანაბარი დაცვა. აფხაზებმა უნდა დაინახონ, რომ დევნილების დაბრუნება მათ მშვიდობიან არსებობას საფრთხეს არ შეუქმნის, ვინაიდან მათ უსაფრთხოებას კანონი და კონსტიტუცია დაიცავს. ეს იქნება ის მიმზიდველი გარემო, რაზეც დღემდე არავინ საუბრობდა. ბევრ აფხაზს უთქვამს ჩემთვის, დამოუკიდებლობას მირჩევნია, დევნილები არ დაბრუნდნენო. აფხაზებს ქართული რევანშიზმის შიში აქვთ. ამ დოკუმენტში კი ჩადებულია აფხაზი ერის დაცვისა და განვითარების გარანტიები, ისე, რომ ამ პროცესს ხელს ვერავინ შეუშლის. ამის გარანტიას ქართული მხარე თავის თავზე იღებს.

შეთანხმების შემდეგ, აფხაზეთში საერთო-სახალხო რეფერენდუმი ტარდება და თუ ხალხი მეორე დოკუმენტს მიიღებს, ძალაში შევა ფედერალური შეთანხმება, კონსტიტუციური კანონი, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციების განუყოფელი ნაწილია. დოკუმენტში ჩადებულია დაცვის ისეთი მექანიზმები, რომ ერთმანეთის თანხმობის გარეშე მხარეები გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. მაგალითად, აფხაზურ დეპუტაციას უფლება ექნება, აფხაზეთის საკითხში ვეტო დაადოს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას.

ჩვენ აფხაზეთი წარმოგვიდგენია, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული საქართველოს შემადგენლობაში. მას ექნება ყველა უფლება, გარდა ერთისა - ის არ იქნება საერთაშორისო სუბიექტი.

ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს კონსულტაციები გვქონდა მსოფლიო დონის ექსპერტებთან და ყველამ აღნიშნა, რომ ასეთი ეფექტური და მოქნილი კონცეფცია, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს ითვალისწინებს, მათ პრაქტიკულად არ უნახავთ.

**- ხომ არ იცით, როგორი რეაქცია მოჰყვა აფხაზეთში მიხეილ სააკაშვილის 26 მაისის განცხადებას?**

- ეს იყო ძალიან ნორმალური და დადებითი განცხადება. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აფხაზების ინტერესების გათვალისწინებით აპირებს შექმნას ფედერალურ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო. ამ განცხადებაზე რეაქცია აფხაზეთში, პრაქტიკულად, არ ყოფილა იმიტომ, რომ უცებ ყველა ცხინვალზე გადაერთო.

სხვათა შორის, ცხინვალში მიმდინარე პროცესები პირდაპირ მოქმედებს აფხაზებზე. აფხაზები უკვე საუბრობენ ქართველების მოსალოდნელ აგრესიაზე და მობილიზაციას ახდენენ. ასეთ პირობებში კი აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს ყველაზე ანტიქართული განწყობილების მქონე კანდიდატი. ამიტომ, ჩემი აზრით, აფხაზეთის არჩევნებამდე ცხინვალის მიმართულებით პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება არ შეიძლება. მანამდე ერგნეთის ჩაკეტვა სავსებით საკმარისია.

# მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

### სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო, 1992 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან, ანუ მას შემდეგ, რაც სასტუმრო "ივერიაში" აფხაზეთიდან დევნილები ჩაასახლეს, პერიოდულად იწყებოდა საუბარი ამ სასტუმროდან დევნილების გასახლების შესახებ, მაგრამ ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელი დარჩა. "ივერიაში" ჩასახლებულ დევნილებს გვესმის, რომ სასტუმროს იერსახე მართლაც მძიმე სანახავია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიშენებული აივნები და სხვა "სიმახინჯენი" წარმოადგენს არა დევნილების მიერ ესთეტიკური სილამაზისა და სისუფთავის აღქმის უუნარობის შედეგს, არამედ ეს არის იმ პოლიტიკის ნაყოფი, რომელმაც დევნილებსა და სრულიად საქართველოს აფხაზეთი მოჰკვეთა. მთლიანობაში კი, "ივერიის" იერსახე უტყუარი და თვალსაჩინო ძეგლია იმ უსამართლობისა, რომელშიც ჩვენი ხალხი იმყოფება. აფხაზეთიდან დევნილებს გვესმის, რომ შესაძლებელია დედაქალაქის მოსახლეობისათვის ძალზე მძიმე და აღმაშფოთებელიც იყოს ამ მდგომარეობაში მყოფი "ივერიის" ხილვა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელია, რომ ვიდრე აღნიშნული პიროვნებები აღშფოთდებოდნენ "ივერიის" იერსახით, მანამ თვითონ ჩვენ ვიყავით და ვართ, რბილად რომ ვთქვათ, აღშფოთებულნი იმით, რომ გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გულრიფშსა და გალში ცხოვრების ნაცვლად, ცხოვრებამ და წინა ხელისუფლებამ "ივერიაში" დევნილად ყოფნა გვარგუნა ბედად, რაც, უმძიმეს მორალურ და ფსიქოლოგიურ ტრავმასთან ერთად, "ივერიის" ერთ ოთახში 7-8 სულის ცხოვრებასაც ნიშნავს. მრავალწლიანი გაუსაძლისი ყოფის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ვიდრე აფხაზეთს არ დავიბრუნებთ, "ივერიიდან" და დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების სხვა ადგილებიდან დევნილები არ უნდა იქნენ გასახლებულნი თუნდაც იმიტომ, რომ "ივერიასთან" გავლის დროს, "ამ სიმახინჯის" შემხედვარე ქართველობას კიდევ ერთხელ გაახსენდეს დასაბრუნებელი სამშობლო აფხაზეთი.

თუ საქართველოსა და დედაქალაქის ხელმძღვანელობა მაინც მიიჩნევს, რომ "ივერია" დევნილებისაგან უნდა დაიცალოს და ეს იქნება წინსვლა, ჩვენ, დევნილები, თანახმა ვართ დავტოვოთ "ივერია" და თუ საჭირო გახდა, რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის, სხვა ასეულ ათასობით ქართველის მსგავსად - თბილისი და საქართველოც.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის 1999 წლიდან ცნობილია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შინაარსი და ის ვალდებულებები, რაც საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს აიღო (საქართველოს განაცხადი ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ დასკვნა №209 - 1999 წლის 27 იანვარი, ქვეთავი 11; ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით; პუნქტი g) და რაც 1990-1994 წლებში მიმდინარე კონფლიქტების დროს დაზარალებული ადამიანებისათვის საკუთრების უფლების აღდგენასა და კომპენსაციების გაცემას ითვალისწინებს. დღემდე არც ერთ დევნილს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაცია არ მოუთხოვია. ეს მოხდა არა იმის გამო, რომ დოკუმენტის შინაარსი ჩვენთვის უცნობი იყო, არამედ იმის გამო, რომ ჩვენ საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს ვითვალისწინებდით და არ გვსურდა, ჩვენი მოთხოვნებით რაიმე დარტყმის ქვეშ დაგვეყენებინა ქვეყანა. ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებისა და ამ დოკუმენტის შემუშავებისას ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე თქვენ ბრძანდებოდით და ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ეს პუნქტი დევნილებზე ზრუნვის მიზნით შეიტანეთ დოკუმენტში.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ხელისუფლებასა და სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ დევნილთა შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა შედგება.

ბატონო პრეზიდენტო, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები თქვენ უნდა გამოასწოროთ და აფხაზეთიდან დევნილები უნდა დაგვაბრუნოთ მშობლიურ მხარეში, ხოლო რაც შეეხება სასტუმრო "ივერიიდან" დევნილთა გასახლებას, ამ პროცესის ერთადერთ გზად ჩვენ გვესახება შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

1. სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილებისა და პირადად პრეზიდენტის მიერ დანიშნული 7-7 წარმომადგენლისაგან შეიქმნას შემთანხმებელი კომისია;

2. აღნიშნულმა კომისიამ დევნილთა მოთხოვნებისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს იმ თანხის ოდენობა, რომელიც (სახელმწიფოსა თუ ინვესტორის მიერ) "ივერიაში" მცხოვრებ დევნილებზე იქნება გაცემული, რათა მათ შეძლონ საცხოვრებლად სხვა ადგილას გადასვლა;




*ბატონო პრეზიდენტო, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები თქვენ უნდა გამოასწოროთ და აფხაზეთიდან დევნილები უნდა დაგვაბრუნოთ მშობლიურ მხარეში.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

3. სასტუმრო "ივერიიდან" დევნილების გამოსახლების და საამისოდ გამოყოფილი თანხების სამართლიანად განაწილების მთლიანი პროცესის მონიტორინგისა და გამჭვირვალობის მიზნით, შემთანხმებელი კომისიის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ მასმედიის, აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, თბილისის მერიის, საკრებულოს წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა;

4. გავრცელებულ აზრს, "ივერიაში" მცხოვრები დევნილებისათვის სასტუმროს დაცლის სანაცვლოდ ერთოთახიანი ბინებისა თუ სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართის შესყიდვას სახელმწიფოსა თუ კერძო ფირმების მიერ, განვიხილავთ როგორც არაკონსტრუქციულსა და მიუღებელს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ დედაქალაქის იერსახის უკეთესობისაკენ შეცვლის ლამაზი იდეის განხორციელება ისედაც გაუბედურებულ ხალხს დევნილობაში ორგზის დევნილად არ გვაქცევს.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ გულისხმიერებით მოეკიდებით ხალხის მოთხოვნებს. სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრები დევნილები იყვნენ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც რევოლუციის დღეებში თქვენს გვერდით იდგნენ და 2004 წლის 4 მარტს თქვენ ნდობა გამოგიცხადეს, როგორც საქართველოს ღირსეულ პრეზიდენტს და გვჯერა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ.

ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული დიალოგისათვის და გვაქვს პირადად თქვენი იმედი.

***უღრმესი პატივისცემით***
***სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრები***
***დევნილები - 335 ხელმოწერა.***
***საკონტაქტო პირები:***
***მერი მალანია - ტელ: 93 06 80; 93 07 58.***
***კობა ჩოფლიანი - ტელ: 93 04 61; მობ. 8 99 96 12 92.***

P.S. აღნიშნული მიმართვა პრეზიდენტის კანცელარიას ჩავაბარეთ ა.წ. აპრილში, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ მიგვიღია. ჩვენთვის უცნობია, პირადად გაეცნო თუ არა მას ბატონი პრეზიდენტი, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, კანცელარიიდან წერილი დაეწერა პრემიერ-მინისტრს, რომელმაც გადაუგზავნა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დააწერა თავის მოადგილეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ დააწერა სამმართველოს უფროს, სამმართველოს უფროსმა - თავის მოადგილეს, სამმართველოს უფროსის მოადგილემ - განყოფილების უფროსს, განყოფილების უფროსმა - თავის მოადგილეს, განყოფილების უფროსის მოადგილემ - სპეციალისტს, ხოლო სპეციალისტს (სავარაუდოდ, სახტად დარჩენილს), ალბათ, "საკითხი ჯერ არ შეუსწავლია". ხოლო მანამდე კი, წლების განმავლობაში ისედაც გაუბედურებულ-გამწარებული დევნილების ბედი კვლავ მათ გარეშე წყდება.

# თბილისის პროკურორი ექსპერტ-ფსიქიატრებს არ ინდობს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დაახლოებით ორი თვის წინათ თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, სხვა საკითხებთან ერთად, ფსიქიატრიული ექსპერტების მიერ მკვლელობაში თუ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირთა მიმართ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით შეურაცხადად გამოცხადების პრობლემაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასეთი კატეგორიის 61 დამნაშავე ფსიქიურად შეურაცხადად არის გამოცხადებული.*

თამარ კაციტაძე

**"სამწუხაროდ, ეს მანკიერი და ანგარებიანი პრაქტიკა დღესაც გრძელდება",** - განაცხადა მაშინ ქალაქის პროკურორმა და ექსპერტები კატეგორიულად გააფრთხილა, თავად არ გამხდარიყვნენ დამნაშავენი.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და თბილისის პროკურორმა პრესკონფერენცია კვლავ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტების თემას მიუძღვნა, თუმცა ამ შემთხვევაში კონკრეტულ ფაქტებზე ისაუბრა.

ვალერი გრიგალაშვილმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტ-ფსიქიატრები სამედიცინო დასკვნის გაყალბებაში დაადანაშაულა. პროკურორის განცხადებით, ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით, ადამიანის გატაცებისთვის განსასჯელი პიროვნება შეურაცხადად არის გამოცხადებილი, რაც ეჭვს ბადებს.

**"ცამეტი ექსპერტიდან მხოლოდ ორმა განაცხადა, რომ გამოსაკვლევი პირის მხრიდან სიმულაციას ჰქონდა ადგილი, თერთმეტი ექსპერტი კი ასკვნის, რომ თითქოს სამსიანი არის შეურაცხადი. არადა, საქმეში არსებობს ორი ფსიქიატრიული დასკვნა, რომლის თანახმადაც, სამსიანი შერაცხადია. ვფიქრობ, ახალი დასკვნა ანგარებითია და ამის გამო სისხლის სამართლის საქმე აღვძარით",** - აცხადებს გრიგალაშვილი.

საქმე ეხება ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებაში ბრალდებულ გოჩა სამსიანს.

მას თბილისის საოლქო სასამართლოში ასამართლებენ. მისთვის განმეორებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მისმა ადვოკატმა სასამართლოზე მოითხოვა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სამსიანის შესახებ გაცემულ ექსპერტიზის ახალ დასკვნას გაითვალისწინებს, მას პატიმრობას ვერ მიუსჯიან და იძულებით მკურნალობას შეუფარდებენ.

სამსიანს და მასთან ერთად განსასჯელ იოსებ გაზდელიანს ბრალი ედებათ 2002 წლის 20 თებერვალს თბილისიდან ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებაში. გამტაცებლებმა კორტავას ოჯახის წევრებს გამოსასყიდად 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს, რის გადახდის შემდეგაც ბიზნესმენი ტყვეობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.

აღნიშნულ გატაცებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, ირაკლი კორტავა ადამიანის გატაცებაზე მომუშავე "სვანების დაჯგუფებამ" გაიტაცა. იმავე ინფორმაციით, გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერი არის მურმან ტვილდიანი, მეტსახელად - "ხალვა", რომელსაც სამართალდამცველები განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ მიიჩნევენ და იგი "კანონიერი ქურდის" - ტარიელ ონიანის ნათესავია. კორტავას გატაცების შემდეგ ტვილდიანი სწორედ ავტორიტეტულ კრიმინალთან, ესპანეთში აფარებდა თავს. სხვათა შორის, ტვილდიანი ინტერპოლმა ესპანეთის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში დააკავა, თუმცა მისი ექსტრადიცია არ განხორციელებულა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ტარიელ ონიანის "დამსახურებაა", რომ ესპანეთის სასამართლომ გატაცებაში ბრალდებულის ქართული მხარისთვის გადაცემაზე უარი განაცხადა.

აქედან გამომდინარე, ქართველი სამართადამცველები ვარაუდობენ, რომ სამსიანის გათავისუფლებით გავლენიანი პირები არიან დაინტერესებულნი და ყალბი დასკვნის გაცემაც გარკვეულწილად ანგარებით მოხდა.

**"ამიტომ ყველა იმ ექსპერტის ფინანსურ მდგომარეობას შევისწავლით, ვინც, გაფრთხილების მიუხედავად, არაობიექტური დასკვნა გასცა"**, - განაცხადა ქალაქის პროკურორმა.

ამ ეტაპზე თერთმეტივე ექსპერტი მოწმის სტატუსით არის დაკითხული. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ დასკვნა ყალბია, თითოეულ მათგანს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# იმერელი არასამთავრობოები სამართალდამცველებს ნარკოტიკებთან ბრძოლის მეთოდებს უწუნებენ

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ "კანონიერი ქურდებისა" და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მკვეთრად გაუმჯობესდა, თუმცა ზოგიერთ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში არაფერი შეცვლილა. ამის კლასიკურ მაგალითად ქუთაისში ნარკომანიის წინააღმდეგ მოქმედი სამსახური სახელდება, სადაც, მიუხედავად ხელმძღვანელთა ხშირი ცვლისა, საბოლოო შედეგი მკვეთრად არ იცვლება.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

არასამთავრობო ორგანიზაციამ "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრი" ქუთაისის სასამართლოდან ნარკოტიკების შესახებ არსებულ საქმეებზე შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები გამოითხოვა. აღმოჩნდა, რომ 1999 წლიდან დღემდე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს უმნიშვნელო რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება-გასაღების შესახებ აღძრული საქმეები აქვს განხილული.

**"იმერეთში ნარკოტიკების გასაღების წინააღმდეგ არასათანადო ბრძოლა მიმდინარეობს. რის გამოც ჩვენ სასამართლოდან გამოვითხოვეთ სტატისტიკური მონაცემები ყველა იმ საქმეზე, რომელიც ნარკოტიკებს შეეხებოდა. სტატისტიკა შემაშფოთებელია! 1999 წლიდან დღემდე ქუთაისის პოლიციის მიერ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებების რაოდენობა ძალიან მცირეა; მაგალითად, ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ 1085 გრამი მარიხუანაა აღმოჩენილი, ოპიუმი - 75 გრამი, ჰეროინი - 100 გრამი, ნოქსირონი - 9 აბი, ლოქსიმალი - 0.75 გრამი, ტრამალი - 10 კაფსულა, ფენაზეპამი - 20 აბი, ეფედრინი - 10 გრამი, მორფინი - 0.25 გრამი, კოდეინი - 5 აბი. ამ სიაში მარიხუანის დიდი ოდენობა განპირობებულია იმით, რომ ის იაფფასიანი ნარკოტიკული საშუალებაა და ხშირად პოლიცია ეგრეთ წოდებული ჩადებებისათვის ხმარობს,"** - აცხადებს "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი გიგა შუშანია. ამ ფაქტის გამო პროტესტს გამოთქვამენ პოლიციელები. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი სამსახურები აცხადებენ, რომ მათ გაცილებით მეტი ნარკოტიკული ნივთიერებები აქვთ ამოღებული, ვიდრე სასამართლომ განიხილა. პოლიციის კომენტარიდან ვიგებთ, რომ მათ მიერ გამოვლენილმა ნარკოსაქმეებმა სასამართლომდე ვერ მიაღწიეს. სავარაუდოდ, საქმეების დიდი ნაწილი გამოძიებაში საეჭვო ვითარებაში "გაფუჭდა". **"ეს შემაშფოთებელი სტატისტიკაა, რაც ნიშნავს იმას, რომ პოლიცია ან არ აწარმოებს ნარკოტიკების რეალიზატორების წინააღმდეგ ბრძოლას, ან თვითონაა ჩართული ამ საქმეში და ნარკომოვაჭრეებს მფარველობს,"** - განმარტავს შუაშანია. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საქმეების შეჩერება პროკურატურასა და პოლიციაში ხდება. **"ჩვენი მოთხოვნაა, დათხოვნილი იქნეს სამსახურიდან ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელიც ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებებს ხელმძღვანელობს. ისინი ან ვერ ახორციელებენ სათანადო ბრძოლას ამ კუთხით, ან თვითონ მფარველობენ ნარკოტიკების რეალიზატორებს,"** - აცხადებს გიგა შუაშანია. "დემოკრატიის ხელშემწყობ ცენტრს" ყველაზე შემაშფოთებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ არც რევოლუციის შემდეგ შეცვლილა რამე. 2004 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ამოღებული ნარკოტიკული ნითიერებების რაოდენობამ შეადგენა: მარიხუანა - 95 გრამი; ოპიუმი- 1.8 გრამი, ჰეროინი - 0.25 გრამი. **"მოვუწოდებთ პოლიციის ხელმძღვანელობას, რომ გადადგას გონივრული ნაბიჯები და თვითწმენდა დაიწყოს. ჩვენ აღნიშნულის თაობაზე შესაბამის მიმართვას გავუგზავნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იმერეთის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ჩვენს მოთხოვნებს ადეკვატური რეაგირება მოჰყვება,"** - აცხადებს შუშანია. იმერეთის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობა კი წელს ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობით კმაყოფილია: **"ეს საკმაოდ დიდი ციფრებია. შარშან წყალტუბოში 720 გრამი ოპიუმი აღმოვაჩინეთ, როდესაც გადავიანგარიშეთ, აღმოჩნდა, რომ ამ რაოდენობით 2500 კაცი ერთჯერად მიღებას გაიკეთებდა,"** - აცხადებს სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე ავთო ბესელია და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს სრულ ნდობას უცხადებს.

თუმცა, გიგა შუშანიას კიდევ ერთი ბრალდებით, ბოლო პერიოდში ქუთაისში დაკავებული თითქმის ყველა კრიმინალური ავტორიტეტი და საეჭვო წარსულის მქონე პიროვნება სწორედ აღნიშნული ნივთიერებით დააკავეს.

# საპყრობილეში ბათუმელ სტუდენტსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება მოხდა

თბილისის ორთაჭალის ციხეში მყოფ ბათუმელ სტუდენტს ლაშა ჩახვაძესა და ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებს - აბრამიშვილს, ქევხიშვილსა და მამულაშვილს შორის გუშინ საგამოძიებო პროცედურა - დაპირისპირება უნდა ჩატარებულიყო.

საქმე ისაა, რომ დასახელებულმა პოლიციელებმა რამდენიმე თვის წინათ ჩახვაძე "ბუკიას ბაღის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მხარდამჭერი ორი ბათუმელი სტუდენტი - მერაბ მიქელაძე და ლაშა ჩახვაძე - ვაკე-საბურთალოს პოლიციამ იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავა. ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსის ზურაბ გავაშელაშვილის ინფორმაციით, აბაშიძის მხარდამჭერი სტუდენტების დაკავება ოპერატიული შეტყობინების საფუძველზე მოხდა. **"პოლიციაში დარეკა მოქალაქემ და შეგვატყობინა, რომ ერთ-ერთი მანქანით გადაადგილდებოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ,"** - განაცხადა გავაშელაშვილმა, რომლის თქმითაც, ოპერატიულმა ჯგუფმა შეტყობინების საფუძველზე შემოვლა ჩაატარა და მიქელაძე და ჩახვაძე "ბუკიას ბაღთან" დააკავა. პირადი ჩხრეკის ჩატარებისას ჩახვაძეს - "მაკაროვის" სისტემის იარაღი, ხოლო მიქელაძეს "ნაგანის" სისტემის რევოლვერი აღმოაჩნდა.

გენერალური პროკურატურის გამომძიებლის პაატა ტყეშელაშვილის ინიციატივით, გუშინ ქევხიშვილს-მამულაშვილსა და ლაშა ჩახვაძეს შორის დაპირისპირების პროცედურა დაინიშნა, რათა პოლიციელებს დაედასტურებინათ, რომ დაკავებისას ჩახვაძეს იარაღი ნამდვილად ამოუღეს, თუმცა საგამოძიებო მოქმედება ჩაიშალა. პაატა ტყეშელაშვილის ინფორმაციით, ამის მიზეზი ლაშა ჩახვაძე და მისი ადვოკატი ქეთი ბექაური გახდნენ, ანუ მათ დაპირისპირებაში არ მიიღეს მონაწილეობა - პროცედურა ჩაშალეს. ქეთი ბექაურის განცხადებით, პროკურატურამ დაპირისპირებაზე სამი პოლიციელი მოიყვანა, თუმცა ერთმა მათგანმა - მერაბ აბრამიშვილმა ბრალდებულთან დაპირისპირებაზე უარი თავად განაცხადა. **"ჩემთან კერძო საუბარში მან განაცხადა, რომ ვერ დაუპირისპირდებოდა ჩახვაძეს, რადგან ჩხრეკისას იარაღი მას არ უნახავს. მართალია, ქევხიშვილმა და მამულაშვილმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ ჩვენ უარი ვთქვით დაპირისპირებაზე, რადგან მივხვდით, რომ ეს იყო პროკურატურის მორიგი პროვოკაცია; თანაც, ჩახვაძე დუმილის უფლებას იყენებს და მას ჰქონდა უფლება, რომ საგამოძიებო მოქმედებაში არ მიეღო მონაწილეობა",** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ქეთი ბექაურმა.

მისივე თქმით, საქმეში არსებულ იარაღს ჩაუტარდა ბალისტიკური ექსპერტიზა და, ექსპერტთა დასკვნით, იარაღზე ლაშა ჩახვაძისა და მასთან ერთად დაკავებული მერაბ მიქელაძის თითის ანაბეჭდები და მიკრონაწილაკები არ აღმოჩნდა, რაც დაკავებულების უდანაშაულობას ამტკიცებს.

იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებულ ბათუმელ სტუდენტებს ადვოკატი "სინდისის პატიმარს" უწოდებს და გენპროკურატურას პროვოკაციულ ქმედებებში ადანაშაულებს. მისი თქმით, როდესაც ჩახვაძეს იარაღის ტარების ფაქტი არ დაუმტკიცდა, პროკურატურა ბრალდების ხელოვნურად გამყარებას ცდილობს. მისივე განცხადებით, ვინაიდან საქმეში ისეთი მტკიცებულება აღარ არსებობს, რომელზეც დანაშაულის კვალია დარჩენილი, ამიტომ ჩახვაძის მიმართ აღძრული საქმე დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ადვოკატი ამ მოთხოვნით უახლოეს ხანში საქართველოს ახალ გენერალურ პროკურორსაც მიმართავს.

*24 საათი*

# ფინანსურმა პოლიციამ ძაღლის საჭმლით დამზადებული პროდუქცია ამოიღო

ფინანსურმა პოლიციამ თბილისში, ვაგზლის მოედნის ბაზრობაზე მდებარე ერთ-ერთი საწყობიდან დიდი რაოდენობით კონსერვები და ძეხვი ამოიღო. საწყობის მეპატრონე ჯერ ეწინააღმდეგებოდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს, რის გამოც სპეცღონისძიების გამოყენება - კარის იძულებითი შემტვრევა გახდა საჭირო. ბაზრობის ტერიტორიაზე ატეხილი აურზაურის საქმეში ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი ჩაერთო.

ფინანსური პოლიციის ოპერატიული ინფორმაციით, საწყობში შენახული კონსერვები და ძეხვი ფალსიფიცირებულია და, რაც მთავარია, სავარაუდოდ, ძაღლის საჭმლით არის დამზადებული. საწყობიდან მარაგდებიან ბაზრობაზე მყოფი მოვაჭრეები თუ სხვა მაღაზიები და, საბოლოო ჯამში, უვარგის საკვებს თბილისელთა დიდი რაოდენობა მოიხმარს, მათ შორის - ბავშვებიც.

საწყობიდან ამოღებულია დაახლოებით 2 ტონა სხვადასხვა დასახელების კონსერვები, როგორც ხორცის ("კუსოვსკაია", "გოვიადინა", "რუსსკაია"), ასევე თევზის ("კილკა", "სელდი", "სარდინელა") წარწერიანი თუ უწარწერო ძეხვები. ამავე საწყობში წარწერისა და ეტიკეტის გარეშე აღმოჩნდა ხუთასამდე კონსერვი და ხუთასზე მეტი თხუთმეტიოდე დასახელების ეტიკეტი. ერთ-ერთი ვერსიით, კონსერვები კუსტარულად მზადდება და მათზე სხვადასხვა ცნობილი ფირმის ეტიკეტებს საწყობში აწებებდნენ.

აღნიშნული ძეხვეული და თევზისა თუ ხორცის კონსერვები საწყობში მაცივრის გარეშე ინახებოდა. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ მოქალაქე ლამზირა პეტროსიანი ამ "მეწარმეობას" ყოველგვარი სამეწარმეო რეგისტრაციისა და სახელმწიფოსთან ანგარიშწორების გარეშე ახორციელებდა.

ამოღებული პროდუქცია ექსპერტიზას გადაეგზავნება, ხოლო სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძვრება. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსური პოლიცია, ჯერჯერობით, მოკვლევას ატარებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უკვე 31-ე დღეა, რაც მსჯავრდებული ნოდარ გარსევანოვი შიმშილობს. მას შეხვდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი გიორგი თევზაძე. "გარსევანოვი გეგუთის კოლონიიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ვადაზე ადრე გათავისუფლება ეკუთვნოდა. შიდა კომისიის გადაწყვეტილებით, იგი არ გაათავისუფლეს," - აცხადებს თევზაძე. მსჯავრდებული მოითხოვს, კომისიამ ხელახლა განიხილოს მისი საკითხი და გაათავისუფლოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გიორგი თევზაძემ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას თხოვნით უკვე მიმართა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა რუსთავის სტაციონალური საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე მამაკაცი დააკავეს, რომელსაც პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებითი დიდი ოდენობით - 31,8 გრამი "ჰეროინი" აღმოაჩნდა. დაკავებულია კიდევ ორი მამაკაცი, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალის მოსახლეობამ ამავე სოფლის მკვიდრის ოთარ ჯაფაროვის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ოთარ ჯაფაროვის საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცველები არასწორ ინფორმაციას ფლობენ და მისი დაკავება უკანონოდ მოხდა. სპეცოპერაციის დროს, ოთარ ჯაფაროვთან ერთად აიყვანეს მისი სამი შვილიც. შეგახსენებთ, რომ ოთარ ჯაფაროვი 29 მაისს, სოფელ ფონიჭალაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს აიყვანეს. სპეცოპერაცია მიზნად ისახავდა კონტრაბანდასთან ბრძოლას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს გლდანის რაიონში მცხოვრები ორი მამაკაცი.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ერთ-ერთ დაკავებულს აღმოაჩნდა "აკმ"-ის სისტემის ავტომატი, ხოლო მეორეს "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა და "აკმ-ის" სისტემის ავტომატი 30 საბრძოლო ვაზნით. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ დაკავებულები თბილისში მოქმედი ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წევრები არიან. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის ვაკე-საბურთალოს სამსახურმა აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზესტაფონის პოლიციამ ზესტაფონში, ს/ს "ფეროს" საცურაო აუზიდან მზის სისტემის გამათბობელის ალუმინის დეტალების ქურდობის ბრალდებით დააკავა არასრუწლოვანები - 14 წლის ლაშა მანაგაძე და 16 წლის მალხაზ გუნიავა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, არასრულწოვანთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე ზესტაფონის პროკურატურამ აღძრა.

თბილისის პოლიციამ თბილისელი, 15 წლის ნიკოლოზ ინაური ძარცვის ბრალდებით მეტროს სადგურ "სამგორში" დააკავა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ინაურს ბრალი ედება მოქალაქე თამარ გუგეშაშვილისთვის ზემოხსენებულ სადგურში მობილური ტელეფონის წართმევაში. ინაურის მიმართ აღძრულ საქმეს თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა იძიებს.**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთში დააკავეს ძებნილები, რომელთაც ბრალად ედებათ ძალადობის მუქარით ავტომანქანის გატაცება. შს სამინისტროს ცნობით, დაკავებულებს გამოძიება ბრალს დებს ფოთში, ჟვანიას ქუჩაზე, 34 წლის გოდერძი ჩუბინიძეზე თავდასხმაში, რომლის დროსაც ჩუბინიძეს წაართვეს ავტომანქანა "ვაზ-2106". პოლიციელებმა ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნეს. დაკავებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ფოთის სამსახურმა აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო კრწანისთან, მტკვარში აღმოაჩინეს 30-40 წლის მამაკაცის გვამი, რომლის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გვამს გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა. ამ ფაქტზე მოკვლევას ატარებს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა, რომელმაც გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა. **მედია-ნიუსი**

# არავითარი ხალხი, არავითარი ქვეყანა

## დღგ-ს ენაცვალოს ყველა და ყველაფერი...

*აი, ამ ლოზუნგით მართულს ჰგავს ის პროცესები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში 7 წელიწადის განმავლობაში ხდებოდა და ჩანს, ინერციით ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ავადსახსენებელ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი შაგრენის ტყავივით გაილია. პოლიტიკისა და ეკონომიკის მმართველი ელიტის შეგნებაში და მის მიერ შექმნილ კანონებში აღარ დარჩა აღარაფერი, რაც მართლა წმინდაა ზოგადად ადამიანისათვის. გაუფასურდა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა პატიოსნება, სამართლიანობა, უდანაშაულობის პრეზუმპცია, ღირსება, ადამიანის სიცოცხლე, ბოლოს და ბოლოს და ყველაფრის ნაცვლად წარმოიშვა ახალი "წმინდა" ღირებულებები: "დღგ" და "ბიუჯეტის შესრულებაზე ლაპარაკი".*

სოსო სიმონიშვილი

უნდა ითქვას, რომ 1989 წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე საქართველოს ყველა ხელისუფლებამ და ყველა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკას, ანუ თავად ქვეყანას, ზუსტად იმდენი ავნო, რამდენიც მოასწრო. სამწუხაროდ, მთავრობათა მავნე ქმედების კოეფიციენტი მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის ნგრევის ძალზედ ეფექტური იარაღი "დღგ" მოიპოვეს.

"დღგ" საერთოდაც ძალიან საშიში იარაღია, მაგრამ ის განსაკუთრებით საშიში ხდება საბჭოური სოციალიზმის კატეგორიებით მოაზროვნე ეკონომიკისა და საგადასახადო თეორიის უმეცართა ხელში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას კი ძირითადად ასეთები მართავდნენ შევარდნაძის ეპოქაში.

ჯერ იყო და, როცა უცხოელმა "მეგობრებმა" ჩვენთან დასანერგად ეს მოდელი შემოგვთავაზეს, რომელიც ქვეყნისთვის შავი ჭირის ეპიდემიაზე უარესი აღმოჩნდა, არავის გაუპროტესტებია, რადგან არავინ იცოდა, რომ სხვა მოდელებიც არსებობდა. მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, როცა არცოდნა არცოდვაა. ჩვენი ეკონომიკის მამა-პაპანი ვალდებულნი იყვნენ, სცოდნოდათ, რომ ეს მოდელი ასევე "მეგობრებმა" 1994 წელს იაპონიასაც შესთავაზეს და მიუხედავად იმისა, რომ იაპონელები პირველ ევროპელობაზე ნამდვილად არ დებენ თავს, ამ ევროპელთა გამოგონებული გადასახადის თაობაზე მათ ბევრად მეტი ინფორმაცია აღმოაჩნდათ. მაინც რა უცნაური ხალხია ეს იაპონელები, "მეგობრებს" სიტყვაზე კი არ დაუჯერეს, მიდგნენ, მოდგნენ, იკითხეს, ზოგიერთი რამ წაიკითხეს კიდეც და გაარკვიეს, რომ ეს შეჩვენებული "დღგ" "წარმოების ზრდის" ანუ ქვეყნის გამდიდრების ყველაზე მეტად შემაფერხებელი გადასახადი ყოფილა. რამდენი არ უჩიჩინეს "მეგობრებმა" იაპონელებს, აქაოდა დიდებული გადასახადიაო, მთავრობას შეუძლია, მხართეძოზე წამოწვეს და ფული თავისით წამოვა ხაზინისკენო, "დღგ" მთავრობის ხელიაო, რომელიც მას მუდმივად ხალხის ჯიბეში აქვს ჩაყოფილიო, ამ უცნაურ იაპონელებს ვერაფერი შეასმინეს. უფრო მეტიც, იაპონელებს არც მხართეძოზე წამოწოლილი მთავრობის იდეა მოეწონათ და, რაც ყველაზე გასაოცარია, არც ხალხის ჯიბეში მუდმივად ხელების ფათურისა. ბოლოს კი "დღგ"-ს მოწინააღმდეგე იაპონელებმა ყველაზე მძიმე არგუმენტად ის მოიყვანეს, რომ იაპონიაში ინფორმატიკა ისე მძლავრად არ არის განვითარებული, რომ ასეთი რთული გადასახადის ადმინისტრირება შევძლოთო - თქვეს და "მეგობრები" თავისი "დღგ" პროექტებიანად თავისი "ამომავალი მზის ქვეყნიდან" დაიფრინეს. თუმცა, ბოლოს, იმისათვის, რომ არც მწვადი დაეწვათ და არც - შამფური, მაინც მიიღეს "დღგ", მაგრამ სულ - 3 პროცენტიანი განაკვეთით. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

სულ სხვა საქმე იყო მზიური საქართველო და შევარდნაძის მთავრობა. ჯერ ერთი, რომ "მეგობრების" რჩევის სისწორის გადამოწმებას ესენი არც "მეგობარს" აკადრებდნენ და არც ისეთი უჩვეულო გარჯით შეიწუხებდნენ თავს, როგორიც წიგნის გადაშლა და მეტადრე მისი წაკითხვა გახლავთ. მეორეც, შევარდნაძის რომელი მინისტრი იტყოდა უარს ან მხართეზოზე წამოწოლაზე, ან ხალხის ჯიბეში ხელების ფათურზე. ცხადია, იაპონელებივით უცნაურადაც არავინ მოიქცეოდა ჩვენში და იმის ძიებას არავინ დაიწყებდა, ჰქონდა თუ არა ჩვენს ქვეყანას ამ ურთულესი გადასახადის ყველაზე უფრო რთული მე-4 მოდელის ადმინისტრირების პოტენციალი. ამას დიდი კვლევაც არა სჭირდებოდა - ცხადია, რომ არა ჰქონდა, იაპონიაზე ასჯერ მეტად არა ჰქონდა. მაგრამ იაპონიის პარლამენტის წევრებმა ქვეყნის გამდიდრება მთავრობის (წევრების) გამდიდრებაზე უფრო მნიშვნელოვან ღირებულებად მიიჩნიეს. ქართველებმა კი... აბა, სად ეცალათ ქართველ დეპუტატებს ასეთ წვრილმანებზე საფიქრალად. თანაც ხალხის ჯიბეში ხელების ფათურის კიდევ ერთი შესაძლებლობის მიღებაც მეტისმეტად მაცდური და მომხიბლავი იყო.

მივიღეთ "დღგ".

გააკეთა "დღგ"-მ თავისი ბინძური საქმე.

გააღატაკა ქვეყანა და გაამდიდრა მთავრობა (მისი წევრები).

და რაკი მავრმა უკვე გააკეთა თავისი ბინძური საქმე,

### იქნება დროა, მავრი წავიდეს?

- ჩემი აზრით, დიდი ხანია, დროა. ეს უკეთური მე-4 მოდელი ჯერ ხომ თეორიულადაც ყველაზე რთული და კოშმარულია და ჩვენი (ყოფილი) კორუმპირებული მთავრობების ხელში სულ მთლად გადაგვარდა.

მოკლედ ასეა, "დღგ" დამატებული ღირებულების გადასახადს ნიშნავს, მაგრამ ამ მოდელს თავად დამატებული ღირებულება ოდნავადაც არ აინტერესებს. ამ მოდელის შესაბამისი ჩვენი კანონის მიხედვით გადასახადის გადამხდელმა ყოველთვიურად უნდა დააჯამოს მის მიერ გაყიდული საქონლისა და მომსახურების ფასად მიღებული შემოსავალი და ამ თანხას 20 პროცენტი "დღგ" დაარიცხოს. ამის შემდეგ მას უფლება აქვს, მიღებულ თანხას გამოაკლოს ის თანხები, რომლებითაც მან ამავე პერიოდში სხვის მიერ წარმოებული საქონელი და მომსახურება "დღგ"-ს ანგარიშფაქტურების გამოყენებით იყიდა. რაც დარჩება, ის მისი გადასახდელი "დღგ" იქნება.

მაგალითად, თუ ღვინის საწარმომ გლეხისგან (დღგ-ს არგადამხდელი) 1000 ლარად 1000 ლიტრი ღვინომასალა იყიდა, დააკუპაჟა და საკუთარი მარნიდან მთლიანად 1500 ლარად გაყიდვა გადაწყვიტა, ჩვენი უგუნური კანონით იგი ასე უნდა მოიქცეს: ნაყიდი ღვინის ყოველ ლიტრს 10 თეთრი უნდა დაარიცხოს, რაც ჯამში 100 ლარს შეადგენს და ღვინის ფასში შეიტანოს. შემდეგ 1600 ლარს მისი 20 პროცენტი, ანუ 320 ლარი უნდა დაარიცხოს ზემოდან და მიღებული ღვინო 1920 ლარად უნდა გაყიდოს. მაგრამ, რადგანაც ჩვენში 1 ლიტრი ღვინო ლარნახევარზე მეტად არ იყიდება, ის იძულებული იქნება, ღვინო მაინც 1500 ლარად გაყიდოს და "დღგ"-ც ამ თანხიდან გამოიანგარიშოს, რაც 267 ლარი იქნება და აქციზისა (100) და "დღგ"-ს (267) თანხები ამ 1500 ლარიდან გადაიხადოს. ოღონდ მანამდე საგზაო გადასახადიც უნდა იანგარიშოს, რაც ჩვენ შემთხვევაში 15 ლარი იქნება. ანუ, უნდა ჩატარდეს ასეთი მარტივი არითმეტიკული გამოთვლა: 1500-100-267-15=1118. ამის შემდეგ მას უფლება აქვს, დარჩენილ 1118 ლარს გამოაკლოს ის 1000 ლარი, რომლითაც მან ღვინომასალა იყიდა, რათა დარჩენილი 118 ლარიდან მოგებისა (20 პროცენტი) და დივიდენდის (10 პროცენტი) გადასახადები გადაიხადოს, რომლებიც ამ თანხისთვის 33 ლარს შეადგენს. ახლა გამოვაკლოთ ეს თანხა დარჩენილ 118 ლარს და მივიღებთ 85 ლარს.

გამოვიდა, რომ 1000 ლარის "საქმეში ჩადებით" სულ 500 ლარი (დამატებული ღირებულება) ვიშოვეთ, სადანაც 415 ლარი გადასახადებში გადავიხადეთ და ჩვენ, გადასახადის გადამხდელებს სულ 85 ლარიღა დაგვრჩა. ანუ 83 პროცენტი წაილო გადასახადებმა და 17 პროცენტი წავიღეთ სახლში ჩვენ, მშრომელმა ადამიანებმა.

ასეთი ველური დაბეგვრა საქართველოში არ დაუწესებია არც მურვან ყრუს და არც თემურ ლენგს. არა მგონია, ასეთ ძარცვაგლეჯას განათლებულ და ცივილიზებულ მსოფლიოში ანალოგი მოეპოვებოდეს. იმისათვის, რომ მოყვანილი მაგალითი უფრო რელიეფურად გამოჩნდეს, პირდაპირ ციფრები ჩამოვწეროთ:

1500 ლარი ერთობლივი შემოსავალი, აქედან 1000 ლარი ხარჯია და 500 ლარი - დამატებული ღირებულება, რომელსაც აკლდება გადასახადები, კერძოდ - 100 ლარი აქციზი; 267 ლარი "დღგ"; 15 ლარი საგზაო გადასახადი; 33 ლარი მოგებისა და დივიდენდის გადასახადები და 85 ლარი დაგვრჩა გადასახადის გადამხდელებს 500 ლარი დამატებული ღირებულებიდან ანუ **415 ლარი - ხაზინას და 85 ლარი - ხალხს, ანუ 83 პროცენტი - ხაზინას და 17 პროცენტი - ხალხს.**

და ეს სულ ოთხი გადასახადის ჯამით. მაშინ, როცა ჩვენი მოქმედი კოდექსი 14 გადასახადის სახეობას ითვლის. აი, ასეთი არითმეტიკაა.

თუ კარგად დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ განხილულ მაგალითში ოთხ გადასახადს შორის "დღგ"-ს ლომის წილი უკავია და ამ შემთხვევაში ის, ფაქტობრივად, ბრუნვის გადასახადს წარმოადგენს.

ასეთი, თუმცა ძალიან ტიპური მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ "დღგ"-ს ჩვენებური დამცველები არ შეგვკამათებოდნენ, აქაოდა "დღგ" რა პრობლემაა, ჩაითვლიო. ეს რებუსი კი აი რას ნიშნავს. თუ მეღვინემ საკუპაჟე ღვინომასალა იყიდა არა გლეხისგან, არამედ "დღგ"-ს გადამხდელი ღვინის ქარხნისგან, ღვინის გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს "დღეგ"-ს ანგარიშფაქტურა გამოუწეროს, სადაც ღვინის ფასი - 833.,3 ლარი და '"დღგ"-ს თანხა - 166,7 ლარი განცალკევებით იქნება ჩაწერილი. შემდეგ, როცა მეღვინე ღვინოს დააკუპაჟებს, ლიტრს 1.5 ლარად გაყიდის და 1000 ლიტრზე 267 ლარი "დღგ" ექნება გადასახდელი, მას უფლება ექნება, ღვინის ფასთან ერთად გადახდილი "დღგ" - 166,7 ლარი გამოაკლოს ამ თანხას და 100,3 ლარი გადაიხადოს. **ანუ ეს ყბადაღებული "ჩათვლა" ფაქტობრივად "დღგ"-ს გადასახადის ორ ნაწილად გაყოფას ნიშნავს;** ნაწილს ხარჯების გაწევისას იხდი და ნაწილს - შემოსავლის მიღების შემდეგ. ეს არის და ეს.

ცხადია, რომ ასეთი დაბეგვრა არა მარტო ამორალურია, არამედ ანტიკონსტიტუციურიც არის, რადგან კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა ვალდებულია, ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას, ხოლო ამგვარი მაგალითების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ჩვენი საგადასახადო კოდექსი, ფაქტობრივად, კრძალავს მეწარმეობას, ანდა კრძალავს ლეგალურ მეწარმეობას და ქვეყნის საქმიან ადამიანებს მხოლოდ ჩრდილოვან ეკონომიკაში საქმიანობის შესაძლებლობას უტოვებს.

ხელისუფლებამ, რომელიც განიზრახავს, რომ მოსპოს კორუფციის წარმოშობის ეკონომიკური საფუძვლები, უნდა გაიაზროს, რომ ჩვენებური კორუფციის ინკუბატორი ძირითადად საგადასახადო კოდექსი და კერძოდ "დღგ" გახლავთ. თუ მთლიანად "დღგ"-ზე უარის თქმა ვერ გაბედა ხელისუფლებამ, მაშინ "დღგ"-ს მოდელი მაინც უნდა შეიცვალოს.

სამწუხაროდ, პრეზიდენტის და ხანდახან პრემიერ-მინისტრის ზეპირი გამოსვლების გარდა, აწინდელი ხელისუფლება ჯერჯეროზით არ ამჟღავნებს განზრახვას, რომ ის მართლა აპირებს, საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციის გზით ქვეყნის სისტემური ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა დაიწყოს.

საქმე პირიქითაც კი არის. ახალი ადმინისტრაცია, არა თუ არ გვთავაზობს ახალ ლიბერალურ საგადასახადო კოდექსს, თვით იმ მწირი უფლებების გამოყენებაზეც კი უარს ეუბნება გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც მოქმედ კოდექსში ჯერ კიდევ შემორჩა.

### ჩვენ აღარ გაგძარცვავთ, ჩვენ აღარ შეგიშლით ხელს

უთხრა პრეზიდენტმა ბიზნესმენებს კახეთში ორიოდე დღის წინ. სინამდვილეში კი ბიზნესისთვის ძალიან სერიოზული პრობლემების შექმნას საქართველოს მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურები აქტიურად განაგრძობენ. მათ შორის კვლავინდებურად გამოირჩევა საგადასახადო დეპარტამენტი.

ისევ ამ ჩვენი დამაქცევარი "დღგ"-ს კანონის მიხედვით "დღგ"-ს გადამხდელი როცა რაიმე საქონელს "დღგ"-ს ანგარიშფაქტურით იყიდის, ამ ანგარიშფაქტურაში საქონლის ფასი და მასზე კუთვნილი "დღგ"-ს თანხა ცალ-ცალკე უნდა იყოს ჩაწერილი. მყიდველი ორივე თანხას უხდის გამყიდველს. ხოლო გამყიდველი ვალდებულია, "დღგ"-ს თანხა ბიუჯეტში შეიტანოს. საამისოდ საერთონომრიანი ოთხფურცლიანი "დღგ"-ს ანგარიშფაქტურის ორი ფურცელი მყიდველს რჩება, ხოლო ორი - გამყიდველს მიაქვს. როცა გამყიდველი მყიდველის მიერ გადახდილ "დღგ"-ს თანხას ბიუჯეტში შეიტანს, თან ანგარიშფაქტურის იმ ორი ფურცლიდან ერთ-ერთს გაატანს. იმის დასადასტურებლად, რომ მას ფასთან ერთად ნამდვილად აქვს გადახდილი "დღგ"-ს თანხა და მასზე ჩათვლა ეკუთვნის, თავისი ორი ფურცლიდან ერთ-ერთს მყიდველიც ჩააბარებს საგადასახადო უწყებას. ანუ ამით უფლება აქვს, ჩასათვლელი თანხები საანგარიშო პერიოდში გადასახდელი "დღგ"-ს თანხებს გამოაკლოს, როგორც უკვე გადახდილი. როცა ეს ორი ერთნაირნომრიანი ანგარიშფაქტურის ფურცლები ისევ ერთმანეთს შეხვდება საგადასახადო უწყებაში, ანუ "დაწყვილდება", საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ, გადაამოწმონ, "დღგ"-ს გადამხდელის ბუღალტერიამ რამდენად სწორად იანგარიშა "ჩასათვლელი" და გადასახდელი თანხები.

**1989 წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე საქართველოს ყველა ხელისუფლებამ და ყველა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკას, ანუ თავად ქვეყანას, ზუსტად იმდენი ავნო, რამდენიც მოასწრო.**

ეს, კანონით. რეალურად კი საგადასახადო უწყების თანამშრომლებს, რომლებსაც საგადასახადო კოდექსი ფაქტობრივად არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებს, ძალიან ხშირად ეკარგებათ ეს ანგარიშფაქტურები ან მათი ნომრების კომპიუტერში შეტანის დროს უშვებენ შეცდომებს, ან დენი გამოერთვებათ და მთელი გვერდები ეკარგებათ და ...ყველა ეს შეცდომა გადასახადის გადამხდელის ხარჯზე მოსდით. ანუ, იმის შემდეგ, რაც "დღგ"-ს გადამხდელი საგადასახადო უწყებაში წარადგენს საანგარიშო პერიოდში მის მიერ გადასახდელი "დღგ"-ს გამოთვლას და ფასთან ერთად უკვე გადახდილი "დღგ"-ს დამადასტურებელ ანგარიშფაქტურებს, ერთ მშვენიერ დღეს მას საგადასახადო ატყობინებს, რომ მას ესა და ეს ნომერი საგადასახადო ფაქტურები გაუუქმეს, ანუ გაუუქმდა ჩათვლა შესაბამის თანხაზე და იმავე თანხაზე წარმოეშვა დავალიანება. ანუ ის ვალდებულია, ერთხელ უკვე გადახდილი თანხები ხელახლა გადაიხადოს.

აღწერილი სიტუაცია სავარაუდო და გამოგონილი არ გეგონოთ. ამ წუთსაც საგადასახადო დეპარტამენტში ამ დეპარტამენტის მიერვე "დაჩაგრული და გაძარცული" 300-მდე გადასახადის გადამხდელის წერილი დევს, რომელშიც ისინი მიუთითებენ კონკრეტული საგადასახადო ანგარიშფაქტურების კონკრეტულ ნომრებს, ცალსახად ასაბუთებენ, რომ ანგარიშფაქტურები ნამდვილად "დაწყვილებულია", რომ თანხები ნამდვილად შესულია ხაზინის შესაბამის ანგარიშებზე (თუმცა, მყიდველის არც საქმეა და არც კომპეტენცია, გააკონტროლოს, გამყიდველმა შეიტანა თუ არა ბიუჯეტში ის თანხა, რომელიც საქონლის ფასთან ერთად "დღგ"-ს ანგარიშფაქტურით გადაუხადეს). ამაოა ყველა არგუმენტი და მტკიცებულება. გადამხდელებს არა თუ არ უთვლიან უკვე გადახდილ თანხებს, წერილზე პასუხსაც არ სცემენ და ამით საგადასახადო კოდექსის გარდა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსაც უხეშად არღვევენ.

და ამის შემდეგ რაღა ფასი აქვს გადასახადის გადამხდელებისათვის ანუ ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელებისათვის პრეზიდენტის დაპირებას -

### ჩვენ მოგაცილებთ წურბელებს და გამჭვირვალე მუშაობის საშუალებას მოგცემთ-ო

ხშირად, როცა ზოგიერთ მინისტრსა და სხვა დიდმოხელეს უსმენ, განსაკუთრებით იმათ, ვინც შევარდნაძის დროსაც პრეზიდენტის ერთგული დიდმოხელე იყო, შეიძლება ისევ შევარდნაძის ეპოქაში გეგონოს თავი. იქნება ფიქრობენ, რომ ისიც მხოლოდ სიტყვით არის პატიოსნებისა და წესიერების მომხრე, მხოლოდ პოზაა, როცა ხალხს ანუ გადასახადის გადამხდელებს ჰპირდება, თქვენი ყველაზე დიდი დამცველი მე ვიქნებიო. სინამდვილეში კი...

სინამდვილეში საგადასახადოდან მხოლოდ ის ინფორმაცია გამოდის, რომ დეპარტამენტის უფროსსა და მის მოადგილეებს ეშინიათ, ხელი მოაწერონ პასუხს წერილზე ან უკანონოდ გაუქმებული ანგარიშფაქტურა აღუდგინონ გადასახადის გადამხდელს. ეშინიათ, რომ ხალხის კანონიერი უფლების აღდგენისათვის მათ სამსახურიდან მოხსნიან. აქედან კი გამოდის, რომ ის, ვისაც პრეზიდენტისა არ სჯერა და ისევ ბიზნესის დაჩაგვრას ცდილობს, საგადასახადო დეპარტამენტზე ზემოთ უნდა ვეძებოთ. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ არის პრემიერ-მინისტრი. და თუ ეს ასეა, გამორიცხვის წესით ფინანსთა მინისტრთან მივედით.

ისე, დიდი კვლევა-ძიება არც იყო საჭირო საამისოდ. ნოლაიდელი რომ ისე უყურებს გადასახადების გადამხდელებს, როგორც ტროცკი - კულაკებს, ეს ყველასთვის ცნობილია. ვისაც მისთვის მოუსმენია, მან კარგად იცის, რომ ნოლაიდელის აზრით ამ ქვეყანაში არის კარგი მთავრობა და კარგი პენსიონერები, ხოლო სხვა დანარჩენი კლასობრივი მტერია და მხოლოდ იმისათვის აქვთ ნოლაიდელისაგან ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მიცემული, რომ რაც ფულს იშოვნიან, ხაზინაში შეიტანონ და ნოლაიდელს გაანაწილებინონ; რომ ქვეყნის გამდიდრება და წარმოების ზრდა მისთვის ფუჭი სიტყვებია, რომ სახელმწიფო მისთვის მხოლოდ მთავრობაა, ხოლო ვინც მთავრობაში არ მუშაობს, ის მთავრობას უნდა ემსახუროს.

მოკლედ საქმე ასეა, კანონის ანუ საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ვისაც სხვადასხვა მიზეზთა გამო დღგ-ს ზედმეტად გადახდა მოუხდა, საგადასახადო უწყებამ მას ეს თანხა 20 დღის ვადაში უნდა დაუბრუნოს ან სხვა გადასახადების ანგარიშში ჩაუთვალოს.

სინამდვილეში კი სახელმწიფო მოხელეების ნაწილი, ეტყობა, ფიქრობს, რომ კანონი იმისთვის არსებობს, რომ დაარღვიო და საამისო შემთხვევას ხელიდან არ უშვებს. მით უმეტეს, თუ კანონის დარღვევა იერარქიულ კიბეზე უფრო მაღლა მდგომი მოხელეების კეთილგანწყობის მონადირებაშიც ეხმარება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სახელმწიფო მოხელეების ძირითად საზრუნავად, დღესაც, ანუ შევარდნაძის ეპოქის დამთავრების შემდეგაც, საკუთარი ინტერესების დასაცავად და უფროსობის საამებლად, კანონების დარღვევა რჩება.

ახლა კი მოდით, ის ვნახოთ, სააკაშვილისა და ჟვანიას მთავრობის რომელ დიდმოხელეებს ანიჭებს სიმოვნებას მათი ქვეშევრმდომების მიერ კანონების დარღვევა და რატომ.

### ინერცია?!

ხშირად, როცა ზოგიერთ მინისტრსა და სხვა დიდმოხელეს უსმენ, განსაკუთრებით იმათ, ვინც შევარდნაძის დროსაც პრეზიდენტის ერთგული დიდმოხელე იყო, შეიძლება ისევ შევარდნაძის ეპოქაში გეგონოს თავი. ისევ ის უცოდინრობა, სახელმწიფო ინტერესებად ისევ საკუთარი მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების გასაღება, ქვეყნის მომავლის ისევ ფეხებზე დაკიდება და, რაც მთავარია, კანონების სრული უგულებელყოფა.

ლუი მეთოთხმეტემ თქვა, სახელმწიფო ეს მე ვარო;

შევარდნაძემ თქვა (როცა რწმუნებულების ინსტიტუტის შემოღების ბრძანებულებას ხელი მოაწერა) - ვიცი, რომ კანონს ვარღვევ, მაგრამ ამას მაინც გავაკეთებ და ვისაც უნდა, სადაც უნდა, იქ მიჩივლოსო.

ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ მაინც საქართველოს დიდმოხელეები კანონის პატივისცემას შეეჩვეოდნენ. ხოლო თავად პრეზიდენტი, რომელიც თავად არის იურისტი, რომელიც ქვეყნის სასამართლო რეფორმის მთავარი მესვეურიც იყო, და რომელიც იუსტიციის მინისტრიც გახლდათ, კანონების დასარღვევად არ წაახალისებდა საკუთარი გუნდის წევრ დიდმოხელეებს. ფაქტობრივად კი, ნახეთ, რა ხდება.

### კანონის შესრულება-არშესრულება განყოფილების გამგის ხელმოწერაზეა დამოკიდებული

დაუგროვდა ორგანიზაციას ზედმეტად გადახდილი დღგ-ს თანხები საგადასახადო ბარათზე. სულ ცოტა ხნის წინ კანონი რაიმე თვითშემოქმედების უფლებას არ აძლევდა საგადასახადო დეპარტამენტის მოხელეს. 20 დღეში ეს ფული მის პატრონს უნდა დაბრუნებოდა, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ხშირად არც მაშინ უბრუნდებოდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა... უარესობისაკენ. ახლა საერთოდ აღარ უბრუნდება. საქმე ის არის, რომ 2004 წლის 24 თებერვალს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელმაც "დღგ"-ს ზედმეტად გადახდილი თანხების სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანა ან დაბრუნება თითქმის შეუძლებელი გახადა. ამ ცვლილების შედეგად საგადასახადო კოდექსის 118-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ადგენს, რომ "დღგ"-ს გადამხდელებს ზედმეტად გადახდილი თანხები ჩაეთვლებათ მომავალი პერიოდის გადასახადებში ან უბრუდებათ ამ კოდექსის 240-ე მუხლით დადგენილი წესით. თავად 240-ე მუხლი კი აი, როგორ "უზრუნველყოფს" ჩათვლას ან დაბრუნებას.

**"მუხლი 240**

1."გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფისათვის საგადასახადო ორგანოების მიერ ადმინისტრირებადი შემოსავლებიდან ბიუჯეტის შემოსულებობების ერთიან ანგარიშზე ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების არა უმეტეს 3 პროცენტისა ირიცხება საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე. ამ ქვეანგარიშზე თანხებს ბიუჯეტის შემოსულებობების ერთიან ანგარიშზე ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების პროპორციულად რიცხავს სახელმწიფო ხაზინა." - ამ ნაწილიდანვე ცხადი ხდება, რომ მთავრობა არც ჩაუთვლის და არც დააბრუნებს იმ ზედმეტად გადახდილ თანხებს, რომლების ჩათვლასა და დაბრუნებას ეს 3 პროცენტი ვერ გასწვდება. მაგრამ გადასახადის გადამხდელების კანონიერი უფლებების შელახვას კოდექსის ეს ახალი შესწორება ამით არ ამთავრებს.

"2. ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე ჩასარიცხი თანხის პროცენტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით." - ანუო, ეს ნაწილი გვეუბნება, 3 პროცენტი დასაშვები მაქსიმუმიაო, თორემ ფაქტობრივად რა თანხები ჩაირიცხებაო, ესაო, ფინანსთა მინისტრის ნებასურვილზეა დამოკიდებულიო. ანუ, თუ მისი ნება არ იქნება, შეიძლება კაპიკიც ვერავინ მიიღოსო. მოკლეთაო, ამიერიდან ამ საკითხს ამ კანონის ნაცვლად მინისტრის სუბიექტური გადაწყვეტილებები დაარეგულირებსო. და ბოლოს, ხალხს რომ თავისი ფულის მიღების რაიმე ილუზიაც არ შერჩენოდა, ახალი ცვლილებები ბოლო მეხუთე ნაწილით ადგენს:

"5. ბიუჯეტის შემოსულებობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშიდან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესს და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა..." ესეც ასე, თუკი მოხდა სასწაული და ფინანსთა მინისტრმა გადასახადების გადამხდელებისთვის კანონის უვარგისობის გამო ზედმეტად წართმეული თანხების რაღაც ნაწილის დაბრუნება გადაწყვიტა, მის ამ შეცდომას მთავრობა გამოასწორებს და "დაბრუნების წესისა და ვადების" ისეთ ლაბირინთს აღგიმართავს წინ, როგორიც ამ ცვლილებისა და მთელი საგადასახადო კოდექსის ანტისახელმწიფოებრივ სულისკვეთებას ეკადრება.

ეს ცვლილება ამა წლის 5 აპრილიდან ამოქმედდა.

რატომ? - ჩვენი აზრით იმიტომ, რომ შესაბამის მოხელეს ეშინია, რომ "ზემოთ" სწორად ვერ გაუგებენ. რამოდენიმე თვის წინ, "დიდი ბაბუს" ეპოქაში, ასეთი რამ მხოლოდ ორ შემთხვევაში კეთდებოდა, ან იმას უბრუნებდნენ, ვინც კაი ფულს გადაიხდიდა, რომლის ნაწილიც "ზემოთაც" უნდა მისულიყო, ან იმას, ვინც პირდაპირ "ზემოთ" ან "თლა ზემოთ" იყო შეკრული. ახლა კი კუთვნილი ფული იმას რომ დაუბრუნოს მოხელემ, ვინც არც ფულის გადახდას აპირებს და არც "ზემოთ" და, მით უმეტეს, არც "თლა ზემოთ" არის შეკრული, ცხადია, რომ ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას დაემსგავსება..

ამიტომაც დღგ-ს ზედმეტობის პატრონს წვრილმოხელე უაზროდ დაარბენინებს აქეთ-იქით, აქაოდა "ფაქტურები არა წყვილდებაო", როცა დაუმტკიცებენ, რომ "ფაქტურები ნამდვილად დაწყვილებულია", მერე რაიონის საგადასახადოში აგზავნიან, იმან მოგვწეროსო, იქით რაიონის საგადასახადო გაჯიქდება, დეპარტამენტმა შეკითხვა გამოგზავნოს და მერე ვუპასუხებთო და ასე არბენინებენ მანამდე, სანამ ან ვირი არ მოკვდება, ან - ვირის პატრონი. ანუ ჩვენს შემთხვევაში მანამდე, სანამ ან ფულს ინფლაცია არ შეჭამს, ან სანამ მის პატრონს ინფარქტი არ წააქცევს.

და ეს ყველაფერი ხდება იმის მიუხედავად, რომ კანონში ცალსახად წერია, აქვს ზედმეტობა? - უნდა დაუბრუნდესო.

ახლა თქვენ იტყვით, კი მაგრამ, კანონი ხომ კანონიაო და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას იფიქრებსო... - კი, ბატონო, ცამდე მართალი ხართ, ამას რომ ამბობთ, მაგრამ ამას თქვენ ამბობთ - საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ თქვენს ნათქვამს რა ფასი აქვს მოხელისათვის? - არც არავითარი. აი პრეზიდენტმა რომ უთხრას, ან პრემიერ-მინისტრმა რომ უთხრას, ან ფინანსთა მინისტრმა მაინც რომ უთხრას, სულ სხვა საქმე იქნებოდა. და, რატომ არ ეუბნებიან, თქვენ როგორ გგონიათ?

**ხშირად, როცა ზოგიერთ მინისტრსა და სხვა დიდმოხელეს უსმენ, განსაკუთრებით იმათ, ვინც შევარდნაძის დროსაც პრეზიდენტის ერთგული დიდმოხელე იყო, შეიძლება ისევ შევარდნაძის ეპოქაში გეგონოს თავი.**

### ქართული კინო ფოტოგრაფიამ შეიფარა

თავიდან ცოტანი იყვნენ კისერზე ფოტოაპარატჩამოკიდებულები. სულ მალე კი მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ანუ ყველამ განურჩევლად ასაკისა თუ სქესისა, ფოტოაპარატი ხელში აიღეს და თბილისის ქუჩებს მოედვნენ.



B2

### კრიტიკა უფრო ჯანმრთელია, ვიდრე კომპლიმენტები

მერაბ ნინიძეს სტალინის როლში ვიხილავთ



B3

### დემეტრაძე "სატურნში"?

საქართველოს ნაკრების ფორვარდს გიორგი დემეტრაძეს რუსეთის ჩემპიონატში დაბრუნება შესთავაზეს.



B4

# სეზამ, გაიღე!

სოფიო თოდუა

ასეთი წიგნი ჩამივარდა ხელში – "საუკუნის ქურდობები". ერთ რამედ ღირს. განსაკუთრებით მომეწონა, როგორ ჩახსნეს ვაგონი გაქანებული მატარებლიდან. იმ წიგნში ქართველები მოხსენიებული არ არიან, მაგრამ ამ ტიპის სხვა გამოცემები თუ დაისტამბება, მაგალითად, "საუკუნის პრივატიზირება" ან "საუკუნის გაქირავება", ჩვენ უეჭველად მოვხვდებით. გვირაბის გაქირავება გაგიგიათ? ახლა გაიგებთ. ამ ამბავს სამი მოქმედი პირი ჰყავს: გამქირავებელი, დამქირავებელი და ხალხი. ეს ისტორია დღეს და გუშინ არ დაწყებულა – უკვე სამი წელია, სოლოლაკის მაცხოვრებლები (და არა მარტო ისინი) ბოტანიკურ ბაღში გვირაბით ვეღარ შედიან და დარწმუნებულები არიან, რომ დიდი ბოქლომი რკინის კარებზე მათთვის არასოდეს აიხსნება.

## ხალხი

ერთ დროს ამ უნიკალურ ბაღში შესაღწევად არსებობდა გვირაბი ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ქუჩაზე. ეს გვირაბი, მიწისქვეშა გადასასვლელების არ იყოს, ყოველთვის მოუვლელი იყო, მეტადრე ბოლო დროს, მაგრამ მაინც გვირაბი ერქვა და ბაღში მოსახვედრად შემოვლითი გზის ძებნა საჭირო არ იყო. ბოტანიკურ ბაღს ოდესღაც სამი შესასვლელი ჰქონდა: ასათიანის ქუჩიდან, კომკავშირის ხეივნიდან და მეიდნიდან. დღეს აქ მხოლოდ მეიდნიდან თუ მოხვდებით, ისიც უმანქანოდ, რადგან ვიწრო აღმართზე ტრანსპორტის ამ სახეობის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. თუ ვინმე ავტობუსით მოინდომებს ბოტანიკურში მოსწავლეების ექსკურსიაზე მიყვანას, თავიდანვე უნდა შეეგუოს, რომ მძღოლი ბავშვებს შუა გზაში ჩამოსხამს.

ადგილობრივ მოსახლეობას მჭიდროდ დასახლებული უბანი სხვაგან დასვენების შესაძლებლობას არ აძლევს და ერთი ხელის გაწვდენაზე გაშენებული წალკოტი მისთვის ისევე შორსაა, როგორც ალექსანდრეს ან ვერის ბაღები. რაც მთავარია, სოლოლაკელები დარწმუნებულნი არიან, რომ გვირაბი გაიყიდა და ამიერიდან მათ იქ აღარ შეესვლებათ. გვირაბი მხოლოდ რამდენიმე საათით იხსნება დილას და საღამოს, ისიც ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებისთვის. იგი ბოტანიკურ ბაღს არ ეკუთვნის და, ბუნებრივია, ბაღის ადმინისტრაცია ზედმეტი კომენტარებისაგან თავს იკავებს. რა პრობლემები აწუხებთ ბოტანიკურში, ეს ცალკე თემაა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ 128 ჰექტარს 4 პოლიციელი სათანადოდ ვერ დაიცავს. აქედან გამომდინარე, დირექციას "ზედმეტი ხვრელების" ამოქოლვა ხელს აძლევს. რაც შეეხება შორი გზიდან, მაგრამ სამსახურში მშვიდობით მისულ თანამშრომლებს, ალბათ, გაცნობიერებული აქვთ, რომ ყოველდღიური მოციონი სასარგებლოა, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ერთი ხანშიშესული ქალბატონი მიდგას თვალწინ, აღმართს წყევლა-კრულვით რომ მიუყვებოდა და გვირაბის ახალ მეპატრონეს ტკბილად მოიხსენიებდა.

## კერძო პირი

აქამდე გვეგონა, რომ გვირაბი ასათიანის ქუჩაზე ხალხს ეკუთვნოდა. ჩვენი დამოკიდებულება სახალხო ქონების მიმართ ზუსტად აისახა ამ გვირაბის მდგომარეობაზე - სიბინძურე, წკვარამი და მიმოფანტული ერთჯერადი შპრიცები. ახლა უკვე ვიცით, რომ გვირაბს ახალი მეპატრონე ჰყავს, თანაც კერძო პირი და სინათლეს გვირაბის ბოლოს ან დავინახავთ, ან - არა. თუ ეს ვინმეს შვებას მოჰგვრის, ამთავითვე დავძენ: გვირაბი არ გაყიდულა, მხოლოდ ათი წლით გაქირავდა. კერძო პირს, ანუ დამქირავებელს, ანუ დავით ტაბიძეს, კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებს და ჯერაც ჩაბნელებულ მიწისქვეშეთში ახალგაზრდებისთვის გასართობი კომპლექსის გახსნას აპირებს. 2400 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე იქნება საბილიარდო, ბარი, რესტორანი, დისკოთეკა და, რაც მთავარია, კინოთეტრი, სადაც მხოლოდ იმ ფილმებს გაუშვებენ, რომლებიც კარგა ხნის შემდეგ მოხვდება კინოგაქირავებაში. ადგილი კარგია, იდეა - უკეთესი, მაგრამ სამი წლის თავზე




უნიკალურ ბაღში შესაღწევი გვირაბის კარი ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ქუჩიდან.



კარი გვირაბის ბოლოს. ბოტანიკურ ბაღში.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები.

მხოლოდ ესტრადისა და რესტორნის სავარაუდო ადგილმდებარეობის განსაზღვრა შევძელი. გამოგიტყდებით, ჩაბნელებულ გვირაბში მთლად სასიამოვნო განცდა არ დამეუფლა, მაგრამ გულით მინდა დავიჯერო, ქართულ ანდერგრაუნდს ბოტანიკურ ბაღთან სიახლოვე დიდად წაადგება. იმ კერძო პირისა არ იყოს, მეც გამიხარდება, თუ აქ კარგი საკონცერტო დარბაზი გაიხსნება, თანაც ისეთი, მაჟორულ განწყობას გულში რომ არ ჩაგიკლავს და ფეხის აყოლების შესაძლებლობას მოგცემს. ჩემი ბედისა რა ვთქვი! მონაკოს პრინცესა თუ არა, ბადრი პატარკაციშვილის ნათესავი მაინც ვყოფილიყავი, ვიქირავებდი აშმორებულ მიწისქვეშა გადასასვლელებს, ზოგან თანამედროვე ბიბლიოთეკას გავხსნიდი, ზოგან - საპარიკმახეროს, იქნებ, მუზეუმზეც მეფიქრა.

ამ ეტაპზე ჩაკეტილი გვირაბი ახალ მეპატრონისთვის, ცხადია, უპრიანია, რადგან გახსნის შემთხვევაში ქვა-ქვაზე აღარ დარჩება და იქაურობა ისევ ნაგვით აივსება. რა იქნება დარჩენილი შვიდი წლის განმავლობაში? ვერსია პირველი: გვირაბი გაიხსნება, რადგან ბოტანიკური ბაღის კონტინგენტი გასართობი კომპლექსის პოტენციური კლიენტიცაა. ვერსია მეორე: არ გაიხსნება, რადგან რომელიმე დედიკოს სულაც არ ეპიტნავება წაბლის შესაგროვებლად მიმავალ ბაღლთან ერთად გზად მოცეკვავე წყვილებს ან მადისაღმძვრელ სუფრას გადაეყაროს. დროის ოპტიმალურად განაწილების შემთხვევაში იქნებ სადავოც არაფერი იყოს - დღის საათები ფლორის მოყვარულებს დაეთმოს, საღამოს - გართობის მსურველებს, თუმცა ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ალბათ იმიტომ, რომ დრო ფული ღირს, ფულის დაკარგვა კი არავის უნდა.

## სახელმწიფო

გამქირავებელი, იგივე სახელმწიფო, იგივე სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, იგივე საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველო. მაგრამ, სახელმწიფო - ეს ჩვენც ვართ და სახელმწიფო ქონების ნაწილი თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის. ქონების მართვის სამმართველო დღეს აღარ არსებობს და აქა-იქ შემორჩენილ თანამშრომლებს ჟურნალისტებისთვის არ ცხელათ, თუმცა ის კი მითხრეს, რომ გვირაბი კონტროლის პალატის მოთხოვნით დახურულა. გჯერათ ახლა ამის? სამაგიეროდ დაიჯერებთ, თუ გეტყვით, რომ სანამ ეს სტრუქტურა არსებობდა, თქვენს და ჩემს ქონებას ჩვენგან დაუკითხავად უშურველად ასხვისებდა და აქირავებდა. ხსენებული გვირაბი ათი წლით გაქირავდა წელიწადში 7 000 ლარად. ქირის საფასურს, რასაკვირველია, შესაბამისი წესით ადგენენ, მაგრამ წესებს ადამიანები იგონებენ. ამ შემთხვევაშიც ეჭვი მღრღნის: სანამ გვირაბში სამუშაოები მიმდინარეობს, ეს თანხა იქნებ სოლიდურიც კია, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქაურობა გაიხსნება და კინო, რესტორანი თუ დისკოთეკა ამუშავდება, ეს შვიდი ათასი, მომკალით და, მეცოტავება.

საგანგებო სიტუაციების სამმართველოში, რომლის ბალანსზედაც ირიცხება გვირაბი და გაქირავების შემთხვევაში მათი თანხმობა აუცილებელია, ირწმუნებიან, რომ ფორსმაჟორის შემთხვევაში იგი კვლავინდებურად სტრატეგიული დანიშნულების გახდება (სამჯერ დააკაკუნეთ). ჯერჯერობით კი ამ ობიექტის სტრატეგიულობა იმაში ვლინდება, რომ სამხედრო კათედრების მასწავლებლებს სემესტრის ბოლოს აქ სტუდენტები მოჰყავთ და თეორიულ ცოდნას პრაქტიკულად უმყარებენ. არადა, კომუნისტების დროს კულუარებში ჩურჩულებდნენ, რომ ომიანობისას სწორედ ამ გვირაბით გაიტანდნენ ყველაფერს, რაც ფასეული იყო თბილისში. ისედაც, როცა დედაქალაქში გვირაბი გაქვს, რომლის ერთი ბოლო სახელისუფლებო დაწესებულებების ყურის ძირშია, მეორე კი ტყეში გადის, ღირს კი ასეთი გვირაბის გაუქმება, თუნდაც დროებით?

რამდენ ხანს გასტანს გვირაბის რეკონსტრუქცია, არავინ იცის. ვერც სახელმწიფო სტრუქტურები და ვერც დავით ტაბიძე ზუსტ დროს ვერ ასახელებენ. რადგან გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს, ისევ ჯადოსნური სიტყვები ხომ არ გაგვეხსენებინა? იქნებ გაჭრას.





# აფიშა

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამით:
მოსკოვის სტას ნამინის მუსიკისა და დრამის თეატრი
"სერობა"
რეჟ. ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"ჰარი პოტერი. ასკაბანის ტყვე"
დას: 10:00, 13:00, 16:00, 19:00 სთ.
"ტროა"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
ნიკო ცეცხლაძის ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვის (ფერწერა) გახსნა

**"ჰობი"**
ლევან ლონდარიძის სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
პარასკევს, 11 ივნისს, 19:00 სთ-ზე
ვოკალური ანსამბლი "უნივერსიტეტი" მეგობრებთან ერთად



# ქართული კინო ფოტოგრაფიამ შეიფარა

თეონა ჭაფარიძე

რაღაც სხვანაირი ბუმი გამოიწვია თბილისში დათო ცხადაძის ფოტოსკოლამ. (ყველა ასე ეძახის – ცხადაძის სკოლა, თორემ ოფიციალურად მას ფოტოსტუდია "სეპია" ქვია.) ეს ყველაფერი ექვსი წლის წინ დაიწყო. თავიდან ცოტანი იყვნენ კისერზე ფოტოაპარატჩამოკიდებულები. სულ მალე კი მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ანუ ყველამ განურჩევლად ასაკისა თუ სქესისა, ფოტოაპარატი ხელში აიღეს და თბილისის ქუჩებს მოედვნენ. ასე მოიქცა ერთი ჩემი ნაცნობიც: მან, ფაქტობრივად, 40 წლის ასაკში აიღო ხელში პირველად ფოტოაპარატი და სტუდია "სეპიაში" გაკვეთილზე წავიდა. ფოტოსკოლის შემდეგ კი, ცხოვრებაში პირველად ხატვას მიჰყო ხელი. ფაქტობრივად, 90-იანი წლების ბოლოს გაჩენილმა ამ ფოტოსკოლამ მედიტაციური როლი ითამაშა თბილისური საზოგადოების ცხოვრებაში. მთავარი კი ისაა, რომ ფოტოსკოლის მოსწავლეებმა ფირზე აღიბეჭდეს ყველაფერი: ადამიანები, ქუჩები, ვიტრინები, სადარბაზოები, ორნამენტები, ხალიჩები, მიტინგები, თბილისური სახლები, სარკმელები და კედლებიც კი. სწორედ ასეთი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებით სტუდია "სეპიის" ბაზაზე თბილისის ბოლო წლების მასშტაბური დოკუმენტური ფოტო შეიქმნა.

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა, როცა გუშინ გოეთეს ინსტიტუტში სტუდიის დაარსებიდან დღემდე შექმნილი ფოტონამუშევრები, ანუ "სეპიას" არქივი ერთად ვიხილე გამოფენილი. "არქივს კი ვამბობთ, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს მხოლოდ ძველი ფოტოებია. აქ გუშინდელი ფოტოებიცაა გამოფენილი, მაგრამ უკვე ისიც ქრონიკაა. გამოფენაზე ჩვენი მასალის მცირე ნაწილი გამოვიტანეთ: - 89 მოსწავლის ორ-ორი ფოტო. არქივში ბევრი გვაქვს კატმანდუსა თუ ამერიკაში შექმნილი ფოტოები, მაგრამ გამოფენაზე მხოლოდ ის მანუშევრები გამოვიტანეთ, რომლებზედაც თბილისი და საქართველოა აღბეჭდილი. იმიტომ რომ, ხაზგასმულად გვეჩვენებინა, როგორ ვგრძნობთ ყოველდღიურად ჩვენი ქვეყნის მაჯისცემას და გვინდოდა, თქვენც გეგრძნოთ ეს." – მეუბნება დათო ცხადაძე.



*ფოტოგრაფია საქართველოში პოპულარული ხდება.*



*თიკო გამრეკელის ნამუშევარი.*

ბესო გულაშვილის ფოტოები

კიდევ ერთი მკაფიო მოსაზრება, რაც გამოფენის დროს ჩამომიყალიბდა ისაა, რომ ფოტოგამოფენამ ახალი ქართული კინო დაგვანახა და კიდევ ის თაობა, თუ კონკრეტული სახელები, რომლებიც ამ კინოს შექმნიან. ანუ გაჩნდა იმედი, რომ ქართული კინო კი არ მოკვდა, არამედ კინოწარმოება. ფოტოთი კინოს კომპენსაციაზე დათო ცხადაძეც მესაუბრა:

"პირადად მე ლევან ზაქარეიშვილის სტუდენტი გახლდით და ოპერატორობას ვეუფლებოდი მოსკოვში. მინდოდა დოკუმენტურ კინოზე მემუშავა. შემდეგ ეს სკოლა შევქმენით. ჩვენი სკოლის ტენდენცია დოკუმენტური ფოტოგრაფია გახლავთ. მართალია, სტუდიურ მუშაობას და სტატიკური ფოტოს კეთებასაც ვასწავლით აქ თანაც დიდი დოზით, მაგრამ ისევ იმისათვის, რომ შემდეგ ეს ცოდნა დოკუმენტური ფოტოსათვის გამოიყენონ. გაითვალისწინეთ, რომ დოკუმენტური ფოტო განსხვავდება ჟურნალისტური ფოტოსაგან და ის უფრო ახლოს დოკუმენტურ კინოსთან დგას. ამბის შერჩევა, კორექცია, რედაქცია – ეს ხომ იგივე მონტაჟის პრინციპია. ამიტომ მეც მჯერა, რომ დღეს დოკუმენტური ფოტო კინოს ჩაენაცვლა."

გოეთეს ინსტიტუტში გამოფენილი 200-მდე ფოტონამუშევარი ერთმანეთისაგან აშკარა ინდივიდუალურობით გამოირჩევა; " ჩვენი სწავლების მეთოდის სპეციფიკა ის გახლავთ, რომ ინდივიდუალურად ვუდგებით ყოველ მოსწავლეს, ინდივიდუალურად ვურჩევთ დავალებებს, რომ თითოეულმა მათგანმა საკუთარი თავი იპოვოს. ამიტომ იმის საშიშროება ნამდვილად არ არის, რომ ისინი ერთმანეთს დაემსგავსებიან." – ამბობს პედაგოგი.

გოეთეს ინსტიტუტში გამოფენილ უამრავ ფოტოს გუშინ უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. ცალკეული დეტალები თუ ამ დეტალებით შექმნილი ხასიათები თუ ატმოსფეროები ერთიან, დიდ, რეალისტურ სურათს ქმნიდა და მართლაც ძალიან გავდა ისეთ დოკუმენტურ კინოს, ოცდამეერთე საუკუნეში რომ იქმნება.

შეგახსენებთ: გამოფენა ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამის ნაწილია.

# წელს პენ-მარათონში მონაწილეობის 219 მსურველი დაფიქსირდა

თამარ სუხიშვილი

ჩვენში უკვე გახმაურებული ლიტერატურული კონკურსის – PEN მარათონის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო მასალები – გამოუქვეყნებელი პროზაული ნამუშევრები წარმოადგინეს. მარათონის პირველი ეტაპის სტატისტიკური მონაცემები ასეთია: წელს საკონკურსოდ 219 განაცხადი ანუ 219 მოთხრობა შემოვიდა. ამ მოთხრობის ავტორთაგან 118 მამაკაცია, 101 – ქალი. 24-საათიან ლიტერატურულ შეჯიბრში მონაწილეობის ყველაზე პატარა მსურველი 8 წლისაა, ყველაზე ხანდაზმული კი - 74 წლის. საკონკურსო მასალები უკვე გადაეცა ჟიურის, რომლის წევრებს ახლა დიდი ჯაფა დაადგებათ. 219 მოთხრობის წაკითხვა-შეფასება, თანაც სულ მცირე დროში (სულ რაღაც ათიოდე დღეში) ხუმრობა ხომ არ არის...

შეგახსენებთ, რომ ლიტერატურული კონკურსის მეორე ეტაპი 19 ივნისს დაიწყება. 19 და 20 ივნისს სამი წლის PEN მარათონ-2004-ს, რომლის ორგანიზატორები არიან გამომცემლობა "დიოგენე", ღვინო "ძველი თბილისი" და "ჯორჯია ონლაინი", გონიოს ციხე და "ბარვილ ჯორჯია" უმასპინძლებს. უკვე ჩამოცხა და მარათონის ორგანიზატორებმა შეჯიბრის ადგილად წელსაც ზღვა აირჩიეს, ოღონდ ამჯერად არა გაშლილი ზღვის სივრცე, არამედ შედარებით უფრო მყუდრო ზღვის სანაპირო. ასე რომ, მარათონელებს ზღვის ავადმყოფობის შიში აღარ უნდა ჰქონდეთ.

გონიოს ციხეში გამართულ ლიტერატურულ პაექრობაში მაქსიმუმ 23 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. მონაწილეთა შორის სპეციალური მიწვევით შარშანდელი I, II და III პრემიების ლაურეატებიც იქნებიან.

გამარჯვებულთა დაჯილდოება და 10 საუკეთესო ნაწარმოებისაგან შემდგარი კრებულის პრეზენტაცია წელსაც, ისევე როგორც შარშან, მარათონის გენერალური სპონსორის, "საქართველოს ბანკის" ცნობილ დარბაზში გაიმართება.

# სამყარო, სადაც ყველა ვიცხოვრებდით

ნინო ჭანიშვილი

ზედმეტი ცერემონიისა და მიპატიჟების გარეშე თავი იკა ახვლედიანის მიკრო სამყაროში ამოვყავი. მისი ოთახი მე-19 საუკუნის სულითა და თანამედროვე მუსიკითაა გაჯერებული. აქ არ არსებობს ზედმეტი, ან უფუნქციო ნივთი....

**- ეს ქოქოსი ირიბად გადახერხე, ალბათ ზარდახშა გამოვა... ნახე ზღარბს გავს... "ლობზიკი" არ გატეხო!.. ასი ინსტრუმენტის ნაცვლად, ათი მაქვს... ეს გემი ადრე მანდოლინა იყო, მეგობარმა მომიტანა... სულ ერთად ვართ და მასაც ჩემი სენი გადაედო, აი ამნაირი "დუპლექსის" ვარიანტის გაკეთება უნდოდა, გადაჭრა, რაღაცეები უჩალიჩა და მერე მომიტანა, კედელთან მიადგა, რამე უქენიო, ცოტა ხანი ვუყურე და დაწოლილი გემი იყო...**

იკამ გემი პირველად გააკეთა. უმეტესად კი საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან პატარა "სახლებს" და "ბიბლიოთეკებს" აკეთებს. გამოუსადეგარი, თავმოტეხილი ლურსმნები, სათვალის ჩარჩო ან ნებისმიერი გადასაგდებად გამზადებული ნივთი ახალ, მხატვრულ და საიდუმლოებით მოცულ სიცოცხლეს იწყებს იკას სამყაროში.

ამასწინათ "წიგნის სახლში" ორსართულიანი მინიატურული "ბიბლიოთეკა" შემოიტანეს და დიდ მაგიდაზე დადგეს. ატყდა ერთი ჩოჩქოლი და თვალიერება. მაღაზიის გოგოებს ვერაფრით გადაეწყვიტათ უცნაური ქმნილება კედელზე ჩამოეკიდათ თუ მაგიდაზე დაედგათ.



*იკას ნაკეთობებში თითოეული, უმცირესი დეტალიც კი იუველირული სიზუსტითაა შესრულებული.*

**- ძალიან სწრაფად გავაკეთე... შეკვეთა იყო... ნაცნობმა გამიჩითა... ფული მაშინვე უკვე აღარ მქონდა.**

რამდენიმე წლის წინ ირაკლის ერთი ნამუშევარი "დოიჩე ბანკის" მუზეუმმა იყიდა და ბანკის გალერეაში გამოფინეს.

**- ძმაკაცს ვაჩუქე, გერმანიაში მიდიოდა სამუშაოდ, იქიდან დამირეკა - ყიდვა უნდათ და რა ვქნაო, შენია და შენ იცი მეთქი. "კუშს" იხდიანო... მერე მეც წავედი და იმ ფულით ერთი თვე იქვე ვიგრიალეთ....**

ირაკლის პერსონალური გამოფენა არ გაუკეთებია, ზოგჯერ ჯგუფურ ექსპოზიციებში მონაწილეობს ხოლმე. მისი რამდენიმე ნაკეთობა "მარიოტის" გალერეაშიც იყო გამოფენილი. მაგრამ, როცა ნახა რომ ნამუშევრები მალევე არ გაიყიდა, სახლში გამოაქცუნა.

**- როცა ჩემია, დიდხანს მის გარეშე ვერ ვძლებ, ერთი-ორი დღე, მერე უკან მომაქვს... როცა გავაჩუქებ ან გავყიდი ვიგლეჯ და აღარც ვიხსენებ...**

ირაკლის "სახლებში" რას არ ნახავს კაცი - მინიატურული მაგიდები, ჭაღები, ლამპები, შირმა, უთო, ვიოლინო, გიტარა, ხვეული კიბეები და სხვა ათასგვარი წვრილმანი. ზოგიერთ "სახლში" ადამიანებიც "ცხოვრობენ". წიგნის სახლის "ბიბლიოთეკაში" სავარძელში მოკალათებული მამაკაცი ბინადრობს. იკას ნამუშევრებში ყველაფერს სიძველის სურნელი დაჰკრავს და თავისი ინტიმურობით მე-19 საუკუნის თბილისური სახლების ინტერიერებს მოგვაგონებს.

**- ვიცხოვრებდი სადმე ჰოლანდიაში. მე-19 საუკუნეში? ზუსტია, აი მაგ დროში მინდა ცხოვრება..."**

იკას ნაკეთობებში თითოეული, უმცირესი დეტალიც კი იუველირული სიზუსტითაა შესრულებული. საზღვარგარეთ ამ ტიპის ხელით ნამუშევრები საკმაოდ ძვირად ფასობს და ფუფუნების საგნებს წარმოადგენს. ირაკლის არც დილერი ჰყავს და არც ვინმე მუდმივი კლიენტი, სადმე შემთხვევით მყიდველს თუ გადააწყდება ხოლმე, მაგრამ ნაკეთობებს ადვილად მაინც არ უშვებს ხელიდან.

**- ავსტრიაში ერთ ებრაელთან მიმაგზავნეს, რო მივედი "დუპლექსი" ხელში მეჭირა, ტიპმა რო შეხედა, მითხრა, ყველაფერს ვყიდულობო, ვუთხარი ჯერ სხვებიც ნახე-მეთქი, არ მინდა ისე ვყიდულობ... ავდექი და წამოვედი, ვერ ვიტან მაგისთანა გადამყიდველებს.**

**- მარტო არასდროს არ ვმუშაობ, მარტო ცოტა საშიში ვარ... აკადემია? არც დამიმთავრებია, იქ ასეთ რაღაცეებს არც ასწავლიან... აკადემიაში ეხლა, მემგონი, ჩემი შვილისხელები სწავლობენ.**

ახვლედიანების მემკვიდრეობიდან თითქმის აღარაფერი შემორჩა. ამიტომ იკას ოთახში ელენეს ფერწერების ნაცვლად, მხატვრის გამოფენის აფიშა და ერთი ორი გრაფიკაღა კიდია. მაგრამ ელენე იკას "სახლების" მუდმივ პერსონაჟად იქცა - ელენეს მინიატურული ფოტო, ჩასმული მოვარაყებულ ჩარჩოში, იკას ყველა "სახლში" საპატიო ადგილზე კიდია.



# კრიტიკა უფრო ჯანმრთელია, ვიდრე კომპლიმენტები

## მერაბ ნინიძეს სტალინის როლში ვიხილავთ

ელენე ფარადაშვილი

ქართველი მაყურებლისთვის ყოველთვის სასიამოვნოა თანამემამულის წარმატება საზღვარგარეთ. მსახიობი მერაბ ნინიძე საქართველოდან 12 წლის წინათ გაემგზავრა, თუმცა ხშირად სტუმრობს თბილისს. მართალია, დღეს ინფორმაციის მიღება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ კინოპროდუქციის ჩამოტანა საქართველოს ბაზარზე ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. თბილისში ორჯერ გაიმართა ოსკაროსანი ფილმის - "არსად აფრიკაში" ჩვენება, რომელშიც მერაბ ნინიძე მონაწილეობს. 2003 წელს არალეგალური გზით შესაძლებელი იქნა ამ ფილმის ჩვენება კინოს სახლში. ოფიციალური ჩვენება 2004 წლის 20 მაისს შედგა კინოთეატრ "რუსთაველში". ამ და სხვა ახალი პროექტების შესახებ გვესაუბრება მერაბ ნინიძე.

**- საერთაშორისო ჯილდოს მოპოვება ყველა შემოქმედისთვის დიდი სიხარულია. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი წარმატებით, რა გამოცდილება შეიძინეთ ევროპაში?**

- მე მგონი, დიდი გამოცდილება შევიძინე. თუმცა, პროცესი იმდენად რთულია, რომ ამას თითქოს ვერც აფიქსირებ, სახელს ვერ არქმევ. კმაყოფილება ჩემთვის ცოტა უცხოა. საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ. ვფიქრობ, გამიმართლა. უცხოეთში ჩემი პროფესია არ დამიკარგავს. ეს უკვე დიდი პლიუსია. გამდიდრებული დავბრუნდი, შინაგანადაც და შემოქმედებითადაც. როგორც მსახიობმა, ბევრი რამ ვისწავლე და ამით ბედნიერი ვარ.

**- კინომცოდნეთა ერთი ნაწილის აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული გერმანული კულტურისა და ხელოვნების სფეროში ისტორიის ერთგვარი განწმენდა, კათარზისი მიმდინარეობს. ხომ არ არის ფილმი "არსად აფრიკაში" ამ პროცესების ერთ-ერთი გამოხატულება?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, ეს არის საკუთარი ისტორიის გადამუშავება ასეთი ფორმით. გერმანელები ამას კინოს საშუალებით ახორციელებენ. ერთი მხრივ, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი ფილმები უკვე აღარავის აინტერესებს. მაგრამ, ამას იმდენად გულწრფელად, იმდენად გულში ჩამწვდომად აკეთებენ, რომ შეუძლებელია, თქვენი ყურადღება არ მიიქციოს. ამასთან, ომის თემაზე შექმნილი ფილმები ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა და თანაც თვითკრიტიკული. ამ პროცესში გარკვეულწილად მეც ვიღებ მონაწილეობას. მარტო ფილმს – "არსად აფრიკაში" არ ვგულისხმობ, ბოლო პერიოდი აქტიურად ვმუშაობ გერმანიაში. დღეს მე კამერის წინ ვდგავარ იმ ხალხის გვერდით, ვინც ადრე ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. ერთგვარად სიმბოლურია.

**- საქართველოში ძნელი იყო ამ ფილმის ჩამოტანა?**

- მე ამაში მონაწილეობა არ მიმიღია. ეს გახლდათ ირინე ქურთიშვილის ინიციატივა, კინო "რუსთაველთან" ერთად. მან გადაიხადა ყველანაირი თანხა გაქირავების უფლების მოსაპოვებლად. ყველაფერი ოფიციალურად ნაყიდია. უნდა ითქვას, რომ წელს ამ ფილმის ჩვენება ცოტა დაგვიანებული იყო, რადგან ეს შარშან უნდა მომხდარიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეს ორგანიზატორი არ გამოუჩნდა. მე თვითონ ვერ ავიღებდი საკუთარ თავზე, ცოტა ძნელიცაა, ცოტა – უხერხულიც. სხვათა შორის, რაღაც ეტაპზე უფრო მეტი მაქვს გაკეთებული, ვიდრე ეს ერთი ფილმი. უბრალოდ, ამ სურათს დიდი რეზონანსი ჰქონდა და უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია, მაქვს კიდევ ოცი ნამუშევარი, რაც არაფრით არ ჩამოუვარდება არც ამ ფილმს და არც ჩემს როლს ამ ფილმში. ის კი არა, შეიძლება კიდევ უფრო საინტერესოც იყოს.

**- რამდენ ქვეყანაში იყო ნაჩვენები ეს ფილმი?**

- "არსად აფრიკაში" დღემდე გადის საზღვარგარეთის ქვეყნების კინოთეატრებში. სამოცმა ქვეყანამ მაშინვე იყიდა და მგონი, ახლა შეერთებულ შტატებში გადის ეკრანებზე.

**- რითი მიიპყრო ყურადღება ახალმა ფილმმა – ჰოლივუდური მანერით თუ შინაარსით?**

- მე მგონი, ორივეს სინთეზით.

**- თქვენი გმირი, რომელიც წარმოადგინეთ ქართველი მაყურებლის წინაშე, პოლიტიკურ მოვლენებზე ცოტა მაღლა დგას. თუ პოულობთ რაიმე საერთოს თქვენს გმირთან და რა მოგწონთ მასში?**

- მე მგონი, ჩემს გმირს აქვს რაღაც გამძლეობა, შინაგანი ძალა, რომელიც კაცს აძლევს იმის საშუალებას, რომ არ გატყდეს, ასე ვთქვათ, ჩვრად არ გადაიქცეს, როდესაც გარემო ასე ულმობლად ეპყრობა. ეს არის ჩემთვის შესაშური თვისება. ვცდილობდი, ეს მესწავლა ჩემი გმირისგან და ჩემი როლიც ასეთი შემართებით შემესრულებინა. ეს როლი ცხოვრებაშიც დამეხმარა, ჩემი ემიგრაცია უფრო ადვილად ასატანი და საინტერესო გახდა და შევიძინე უფრო მეტი, ვიდრე დავკარგე.

**- რას აფასებთ პარტნიორში, როგორია უცხოელ პარტნიორთან მუშაობა, მეგობრობა სცენარის შესწავლისთანავე იწყება?**

- მეგობრობა არცთუ ისე ხშირია. ეს არ არის აუცილებელი. მაგრამ არის რაღაც ელემენტარული კოლეგიალობა, როდესაც საოცარ თავისუფლებას აძლევ პარტნიორს, მასთან, ასე ვთქვათ, ძალიან შინაურულად, უშუალოდ იქცევი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფილმის დამთავრების შემდეგ, შინ დაბრუნებისას ერთმანეთს ყოველდღე შეეხმიანებით. ეს უბრალოდ რაღაც წინაპირობაა იმისთვის, რომ კარგი ფილმი გამოვიდეს, იმისათვის, რომ მსახიობმა აბსოლუტური თავისუფლება იგრძნოს. ფილმის შექმნის პროცესში პარტნიორებს შორის გულღია დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დღეს მე კამერის წინ ვდგავარ იმ ხალხის გვერდით, ვინც ადრე ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა.*

**- ევროპაში თეატრშიც მოღვაწეობთ?**

- არა, მხოლოდ კინოში.

**- რომელიმე ფილმს ხომ არ დამისახელებთ?**

- ამ ფილმების სათაურები ალბათ არაფრისმთქმელი იქნება ქართველი მაყურებლისთვის. ისინი ევროპულ ბაზარზე იყიდება, მათ იცნობს ევროპელი მაყურებელი. რამდენიმე ფილმმა ამერიკის ეკრანებსაც მიაღწია, გამოხმაურება ამერიკიდანაც მიმიღია. ამ ფილმებს თავისი ცხოვრება აქვს, მოგზაურობენ, სხვადასხვა ფესტივალებზე პრიზებიც აუღიათ... ახლა ახალ ფილმზე ვიწყებ მუშაობას. ამ ბოლო წლებში, რაც აქ აღარ ვცხოვრობ, ოცამდე მთავარი როლი დამიგროვდა. არ ვიცი, როდის აჩვენებენ საქართველოში ამ ფილმებს. შეიძლება 95 წლის რომ ვიქნები, მაშინ აჩვენონ, თუ ვინმე დაინტერესდა, თუ არადა – ამასაც არა უშავს.

**- რა ცდუნებები არსებობს მსახიობისთვის გადაღების პროცესში?**

- ოოო, ძალიან ბევრი. როდესაც მსახიობი ხარ, სხვა ცხოვრებით ცხოვრობ, სხვისი ცხოვრებით და ბევრი ცდუნებაც არსებობს. ცდუნება არ არის, როდესაც მკვლელს თამაშობ, ან თუნდაც დონ-ჟუანს?!

**- საზღვარგარეთ მუშაობისას თქვენ გარკვეული გამოცდილება შეიძინეთ. მომავალში ხომ არ აპირებთ სარეჟისორო ხაზით მუშაობას?**

- მე მგონი, ყველა მსახიობი თავისთავად რეჟისორია. რეჟისორის პროფესია არ არის შორს მსახიობის პროფესიისგან. მე, უბრალოდ, არა მაქვს იმის ამბიცია, რომ სათავეში ჩავუდგე თეატრალურ დასს. თუმცა, შეიძლება ეს მოხდეს კიდეც, იმიტომ რომ ეს საქმე ძალიან მაინტერესებს. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დავდგა სპექტაკლი, მაგრამ ამას აუცილებლად საქართველოში გავაკეთებ.

**- გიყვართ თუ არა, როდესაც გაკრიტიკებენ? როგორი იღებთ კრიტიკას?**

- ძალიან მიყვარს, ძალიან კარგად ვიღებ იმიტომ, რომ კრიტიკა უფრო ჯანმრთელია, ვიდრე კომპლიმენტების მოსმენა. კრიტიკის მოსმენით შეგიძლია ისწავლო. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი ყველა შენიშვნა მიიღო, მაგრამ უნდა მოუსმინო და გაითვალისწინო. ამასაც გარკვეული ნიჭი სჭირდება.

**- თქვენ რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად გიწევთ მუშაობა...**

- ზოგჯერ მიწევდა, ეს იყო წელიწადნახევრის წინ, როცა საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში პარალელურად ვმუშაობდი.

**- ახლა იწყებთ ახალ პროექტს, რომელიც რუსეთის კინოსტუდიამ შემოგთავაზათ. თქვენ უნდა ითამაშოთ სტალინის როლი. რა არის საინტერესო თქვენთვის ამ პიროვნებაში, რა მოგწონთ მასში და რა არ მოგწონთ?**

- რომ გითხრათ, რომ არ მომწონს, ტყუილს ვიტყვი. ამ როლზე მუშაობა იმით არის საინტერესო, რომ ეს არის არასწორხაზოვანი, არაერთფეროვანი, არაორდინარული პიროვნება. ამ პიროვნების სახე სცენარში ნამდვილი ადამიანური კუთხით არის წარმოჩენილი. თანაც სცენარი ფაქტებზე არის აგებული და, აქედან გამომდინარე, სტალინი უაღრესად რეალისტურ პერსონაჟად აღიქმება. ფილმში ის იქნება წარმოდგენილი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ქმარი, მამა; ძირითადი აქცენტირება მის ოჯახურ ცხოვრებაზეა, პოლიტიკური მოვლენები მხოლოდ ფონია. ძალიან რთულია ამ გახლეჩილი, არასწორხაზოვანი, არაერთგვაროვანი ადამიანის როლის შესრულება. მსახიობი ფსიქოლოგიც უნდა იყოს. მე მგონი, ეს არის ყველაზე საინტერესო როლი, რაც აქამდე შემოუთავაზებიათ.

**- ვინ არის სცენარის ავტორი?**

- სცენარისტი არის ლილია ტადაროვსკაია. იგი პაველ ტადაროვსკის მეუღლეა და თავად არის ამ ფილმის პროდიუსერიც. გადაღებები, ძირითადად, მოსკოვში, კრემლში იქნება.

**- როცა სცენარს ეცნობით, რაიმე ცვლილებების შეტანას ფიქრობთ ხოლმე?**

- არასოდეს. პირდაპირ ვიღებ, როგორც არის. არ მაქვს ამბიცია, რომ რაიმე გადავაკეთო ან მოვიგონო. მიმაჩნია, რომ ამას არანაირი სიკეთე არ მოაქვს. ზუსტად იმ კონცეფციას უნდა მოერგოს მსახიობი, რომელიც რეჟისორს აქვს, თუ აქვს, რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ზოგიერთ რეჟისორს არა აქვს არც კონცეფცია და არც ხედვა.

**- თქვენ თეატრალურ სარდაფში მონაწილეობთ სპექტაკლში "ვენეციელი ვაჭარი". უახლოეს მომავალში ახალ სპექტაკლში ხომ არ აპირებთ მონაწილეობის მიღებას?**

- ეს ბატონ ჭოლას უნდა ჰკითხოთ. თუმცა, ძალიან ბევრი იდეები გვაქვს, ძალიან გვინდა ეს იდეები განვახორციელოთ მომავალში.

**- პირველად, როდესაც სცენაზე გახვედით, თუ არ ვცდები, 14 წლის იყავით...**

- ექვსის. მანამდე გავედი, სანამ "რიჩარდში" ვითამაშებდი, ბაბუაჩემმა დამაყენა პირველად სცენაზე.

**- რას განიცდიდით?**

- პროჟექტორებმა დამაბრმავეს. იმდენად სასიამოვნო იყო ეს შეგრძნება, რომ მინდოდა სულ დაბრმავებულს მევლო...

**- სტუდენტური წლებიდან რას გაიხსენებთ?**

- ჩემს ჯგუფს, უსაყვარლეს მეგობრებს: ნანა შონიას, ლევან წულაძეს, ნინო თარხან-მოურავს, ნანუკა ხუსკივაძეს, გოჩა კაპანაძეს, ლევან კვირიკაშვილს. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, ჩვენი ერთად ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მაშინ ძალიან თბილი იყო თბილისი და ჩვენც. იმ პერიოდში რაღაცის გაკეთება შევძელით. ჩვენი ძველი სპექტაკლები დღესაც კი ახსოვს მაყურებელს, ახსოვს 12 წლის წინ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მიღებული ემოცია. ეს უჩვეულო რამაა.

**- საზღვარგარეთ მსახიობი რამდენიმე ეტაპს გადის, რომ წარმატებას მიაღწიოს. თქვენ გაგიმართლათ. იღბალს მიაწერთ თუ თქვენს შემართებას, ძლიერ ხასიათს, შემოქმედებითი ძიების უნარს?**

- იღბალი არ არსებობს შემართების გარეშე, შემართება არ არსებობს შენი საქმის ერთგულებისა და ამ საქმის სიყვარულის გარეშე, ყველაფერი დროზეა დამოკიდებული, ხოლო თუ უეცრად ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, შეიძლება წარმატებაც გეწვიოს... აი, ასე ხდება. მხოლოდ იღბალი ვერაფერს გიშველის, ვერც მხოლოდ შემართება. მიზნის მისაღწევად ყველაფერი ერთადაა საჭირო.

**- რომელიმე თანამედროვე გერმანულ ფილმს თუ გამოარჩევთ?**

- მე გამოვარჩევდი ტომ ტიკვერს თავისი ფილმებით "გაიქეცი ლოლა, გაიქეცი" და "სამოთხე"; ტახიმ გომბორს - "ინგლისით", რომელშიც მეც ვთამაშობ, და ახალი ფილმით - "რას გაძლევს სიყვარული მხოლოდ ფიქრში", კაროლინ ლინკს (მოხარული ვარ, რომ მასთან მუშაობის ბედნიერება მხვდა წილად, ეს რეჟისორი გერმანული კინოს წინა რიგებში დგას) და კიდევ სხვებს. ამ წუთას არ მახსენდება, სამწუხაროდ.

**- თქვენი აზრით, რატომ არ შემოდის ეს კინოპროდუქცია ჩვენში?**

- იმიტომ, რომ ქართული კინობაზარი დიდი არ არის. საქართველო პატარა ქვეყანაა, თბილისში სულ რამდენიმე კინოთეატრი არსებობს და, რა თქმა უნდა, ამ კინოთეატრებისთვის "ბლოკბასტერებს" არჩევენ; რადგან არ არის იმის გარანტია, რომ ნაკლებად პოპულარულ ფილმებს მაყურებელი ეყოლება. თანაც ეს ყველაფერი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

**- წინასწარ თუ გვიტოვებთ ექსკლუზივის უფლებას თქვენი ახალი როლის წარსადგენად?**

- ყოველთვის, თქვენი გაზეთი ძალიან მიყვარს.

# როგორ წერილს მისწერდა ტარანტინო მალვინას

*ამ დღეებში კინოთეატრ "ამირანში" კვენტინ ტარანტინოს ფილმი "მოკალი ბილი 2" გამოვა. ტარანტინოს შემოქმედების თაყვანისმცემლებს, ახალი საინტერესო გასართობი ელით. რეჟისორის შემოქმედებას თაყვანისმცემელთა მრავალფეროვანი აუდიტორია ჰყავს. ისეთებიც არიან, რომელნიც მასთან სხვადასხვა გზით მიახლოებას ცდილობენ. ზოგი მათგანი საკუთარი შემოქმედებით. ეს უკანასკნელი ამის ნათელი მაგალითია. სრულიად შემთხვევით ერთ საინტერესო წერილს გადავაწყდით, რომელსაც ავტორი უკვდავი ზღაპრის "პინოქიოს" ერთ-ერთ პერსონაჟს, მალვინას წერს. წერილი, რომელიც რეჟისორისთვის დიდი სიამოვნებით სცენარის ფორმას მიიღებდა და შემდეგ მის თაყვანისმცემლებს, კიდევ ერთ სანახაობრივად საინტერესო კინონამუშევარს შესთავაზებდა. მაშ ასე, ტარანტინოს მომავალი მელოდრამატული ფილმის სავარაუდო სცენარის მოკლე ანოტაცია:*





### ძვირფასო დედოფალა მალვინა

ის, რომ თქვენ, ჩემთვის ჭეშმარიტად ძვირფასი ბრძანდებით, ამას იმ დაუვიწყარ დღეს მივხვდი, როდესაც თქვენი მახინჯი და დამპალი მეპატრონის, ყარაბას ბარაბასის ეტლში დაგინახეთ. თქვენ ყველაზე ლამაზი თოჯინა ბრძანდებით, ვინც კი მე ოდესმე შემხვედრია. იმ დღეს ყველაზე ძვირფასი და ლამაზი კაბა გეცვათ, რაც კი მე ოდესმე და სადმე მინახავს. თქვენი მეგობარი თოჯინები კი ისე ფაქიზად დაგფარფატებდნენ თავზე, თითქოს თქვენს ნატიფ სხეულსა და კანს იცავდნენ ამ საშიში და ბოროტი სამყაროსაგან.

ძვირფასო მალვინა, მომიტევეთ ამგვარი დადღაბნილი ნაწერისთვის, ვინაიდან ისევ ძველებურად ცხვირით ვწერ, თავი კი მეორე დღეა, პაპა კარლოს გამო მისკდება და თან ეს უბედური "პახმელიაც" (ჯანდაბა არლეკინოს). სხვათა შორის, როგორ მოგწონთ ჩემი მელნის წითელი ფერი? ხომ რრრომანტიკულია და თითქოს სისხლით ნაწერს ჰგავს? ისე, რომ ვთქვათ, ეს სისხლიც არის. ვინაიდან სახლში მელნის ფულიც კი არ გვქონდა, პაპა კარლოს სისხლის გამოყენება მომიხდა. არა! არ შეგეშინდეთ! მოუხერხებლად შემოვტრიალდი საწოლში (სახლში ერთი ლოგინი გვაქვს და ამიტომ მე და მამას ისევ ერთად გვძინავს). უცაბედად კისერში, მის სიფრიფანა კანში, პირდაპირ არტერიაში გავთხარე ჩემი წვეტიანი ცხვირი. ჩემო ძვირფასო მალვინა, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება და შოკიც კი, როდესაც უცნაური გემოთი პირში გამომელვიძა და პაპა კარლოსგან როგორც შადრევანი, წითელი და ოდნავ მარილიანი სითხე პირდაპირ მე მესხმებოდა. აი, სწორედ მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, თქვენთვის წერილი მომეწერა, ვინაიდან ჩემს მამიკოს უკვე ვერაფერი და ვერავინ უშველის. ოოოჰჰჰ!!! მე უბედური და საწყალი ტარრრანტინო!!!

ძვირფასო და სულზე უტკბესო დედოფალა მალვინა. როგორ განვიცდი, რომ ამდენი ხანია პირადად არ გიცნობ. მე ხომ ვიყავი თქვენს წარმოდგენაზე, იმ დღეს, როდესაც ჩემი უძვირფასესი ანბანი ვიღაც იდიოტ, გაბლენძილს (შეძლებულ კრეტინს) მივყიდე. როგორ არიან შეძლებულები, როდესაც ანბანს, საკუთარი შვილებისათვის პირდაპირ ქუჩაში, ხელზე ყიდულობენ. აი ასე, წარმოდგენაზეც ვიყავი, მაგრამ თქვენ იქ, ჩემდა სამწუხაროდ, უკვე აღარ იყავით. როგორც კულისებში მითხრეს, იმ დღეს, გაურკვეველი მიმართულებით, თქვენს ერთგულ ძაღლთან, არტემონთან ერთად გაიქეცით. ახლა კი, როგორც ეტყობა, მხოლოდ პიერრრრომ იცის, სად შეიძლება თქვენი პოვნა... მე რასაკვირველია ვკითხავ მას, სად გიპოვნოთ, და თუკი ის არ მიპასუხებს... მაპატიეთ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ძვირფასო მალვინა, რრრომმ... მე ვაიძულებ მას, მითხრას ოქროს გასაღების საიდუმლო, რრრომელიც თქვენს შესანიშნავ ოქრრროს გულს აღებს! (მომიტევე ძვირრრფასო მალვინა, მაგრამ მგონი შეტევა დამეწყო და ასო-ბგერა რრრრ-ზე ენა მებმის! იძულებული ვარ წერრრილი დავააასრულო, ვინაიდან პაპა კარლოს მელანიც მთავრდება...)

მაინც არ გემშვიდობები, ძვირრრრფასო მალვინა!

მარრრრად თქვენი
ტარრრრანტინო.

ფეხბურთი

# დემეტრაძე "სატურნში"?

საქართველოს ნაკრების ფორვარდს გიორგი დემეტრაძეს რუსეთის ჩემპიონატში დაბრუნება შესთავაზეს. ფეხბურთელმა, რომელიც თავის დროზე ვლადიკავკაზის "ალანიასა" და მოსკოვის "ლოკომოტივის" ღირსებას იცავდა, შეიძლება ამჯერად მოსკოვის ოლქის "სატურნი" გააძლიეროს.

ზაფხულის დასაწყისი "სატურნმა" დამრტყმელი სასელექციო მუშაობით აღნიშნა. როგორც ჩანს, გუნდი სერიოზულად ფიქრობს, სატურნირო ცხრილში უფრო ზემოთ აინაცვლოს (ახლა ის მეშვიდე ადგილზეა). მას შემდეგ, რაც გააფორმა კონტრაქტი ანდრეი კანჩელსკისთან, "სატურნი" ცდილობს, "პორტუს" ნახევარმცველი დმიტრი ალენიჩევი გადაიბიროს და კონტრაქტი გააფორმოს გიორგი დემეტრაძესთან.

ალენიჩევმა, მოგეხსენებათ, პორტუგალიის "პორტუს" შემადგენლობაში 26 მაისს ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ამის შემდეგ ფეხბურთელზე რუსული კლუბების მხრიდან ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა. პირველად ალენიჩევის პერსონით მოსკოვის "სპარტაკი" დაინტერესდა, ხოლო პორტუგალიაში რუსეთის ნაკრების გამგზავრებამდე ალენიჩევის გადაბირება მოსკოვის ოლქის "სატურნმაც" მოინდომა.

რაც შეეხება გიორგი დემეტრაძეს, ის დღემდე უკრაინის ჩემპიონატში თამაშობდა. კარგი იქნება, თუ მისი საფეხბურთო კარიერის შესახებ მცირე ექსკურსს ჩავატარებთ. თბილისის "დინამოდან" როტერდამის "ფეიენოორდში" გამგზავრების შემდეგ დემეტრაძე ვერ გახდა კლუბის ძირითადი ფეხბურთელი. მან ჰოლანდიაში მხოლოდ რამდენიმე თვე დაყო. შემდეგ კი, 1998 წელს, ვლადიკავკაზის "ალანიაში" ჩაირიცხა. ოსეთში გატარებული ორი სეზონის განმავლობაში დემეტრაძემ 43 მატჩში 35 გოლი გაიტანა და კვლავ დაიბრუნა პერსპექტიული ფორვარდის სტატუსი. სწორედ ამ ხარისხში მიიწვია თავისთან ჯერ კიევის "დინამომ", შემდეგ კი ესპანეთის - "რეალ სოსიედადმა".

როდესაც ბასკური კლუბის ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა, დემეტრაძემ მოსკოვის "ლოკომოტივში" მოსინჯა ძალები, თუმცა, მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობამ დემეტრაძეზე გული აიცრუა. 2002 წლის სეზონის ბოლო პერიოდი დემეტრაძემ "ალანიაში" დაასრულა და 16 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ კი დონეცკის "მეტალურგში" გადავიდა. 2002-2003 წლების არასრული სეზონის განმავლობაში ქართველმა ფორვარდმა 8 გოლი გაიტანა. წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ კი გიორგი დემეტრაძე 16 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.


შესაძლოა, დემეტრაძე რუსეთში დაბრუნდეს.

როგორც ჩანს, დემეტრაძის შვებულება კვლავ ხანმოკლე იქნება. მისი პერსონით ფრიად დაინტერესებულია "სატურნის" მწვრთნელი ბორის იგნატიევი. როგორც კლუბის პრეზიდენტმა ალექსანდრ ჩერნიშოვმა განაცხადა, დონეცკელებთან ტრანსფერის თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა მხოლოდ ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის პირობები დარჩა შესათანხმებელი. ივნისის დასაწყისს "სატურნი" დაძაბულ მზადებაში გაატარებს.

ჯერჯერობით მოსკოვის ოლქის კლუბი რამენსკოეში აღდგენით შეკრებას ატარებს. დღეს გუნდი ამხანაგურ მატჩს გამართავს ყაზანის "რუბინთან", რის შემდეგაც შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრება. ჯერჯერობით ბორის იგნატიევის განკარგულებაში ძირითადი შემადგენლობის 17 ფეხბურთელია, მაგრამ შემდგომში მათი რიცხვი უფრო გაიზრდება.

**გიორგი დემეტრაძის კარიერა:**

**1992-1993. "კახეთი" (თელავი, საქართველო)**
9 მატჩი, 2 გოლი
**1993-1994. "კახეთი" (თელავი, საქართველო)**
22 მატჩი, 14 გოლი
**1994-1995. "დინამო" (თბილისი, საქართველო)**
17 მატჩი, 8 გოლი
**1995-1996. "დინამო" (თბილისი, საქართველო)**
24 მატჩი, 17 გოლი
**1996-1997. "დინამო" (თბილისი, საქართველო)**
26 მატჩი, 26 გოლი
**1997-1998. "დინამო" (თბილისი, საქართველო)**
4 მატჩი, 1 გოლი
**1997-1998. "ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია)**
7 მატჩი, 0 გოლი
**1998. "ალანია" (ვლადიკავკაზი, რუსეთი)**
15 მატჩი, 14 გოლი
**1999. "ალანია" (ვლადიკავკაზი, რუსეთი)**
29 მატჩი, 21 გოლი
**1999-2000. "დინამო" (კიევი, უკრაინა)**
14 მატჩი, 8 გოლი
**2000-2001. "დინამო" (კიევი, უკრაინა)**
12 მატჩი, 8 გოლი
**2000-2001. "რეალ სოსიედადი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი)**
4 მატჩი, 0 გოლი
**2001-2002. "რეალ სოსიედადი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი)**
9 მატჩი, 1 გოლი
**2002. "ლოკომოტივი" (მოსკოვი, რუსეთი)**
6 მატჩი, 0 გოლი
**2002. "ალანია" (ვლადიკავკაზი, რუსეთი)**
16 მატჩი, 6 გოლი
**2002-2003. "მეტალურგი" (დონეცკი, უკრაინა)**
15 მატჩი, 8 გოლი
**2003-2004. "მეტალურგი" (დონეცკი, უკრაინა)**
25 მატჩი, 16 გოლი

# ჩვენ მაგრები ვართ

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები მიიჩნევენ, რომ ისინი პირველ რიგში გუნდური თამაშით არიან ძლიერები, ხოლო ერთადერთი უსიტყვო ლიდერი გუნდის კაპიტანი რაულია.

ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა ნახევარმცველმა ხოაკინ სანჩესმა გაზეთ "მარკას" განუცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ თავს დამაჯერებლად გრძნობს. იწყება ყველაზე მთავარი და ყველაზე საინტერესო მატჩები და ახლა ყველა დეტალი მნიშვნელოვანია", - ამბობს ხოაკინი. შეგახსენებთ, რომ სასტარტო მატჩს ესპანელები 12 ივნისს რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

"ბეტისის" 22 წლის ნახევარმცველისთვის ეს უკვე მეორე დიდი ტურნირია საფეხბურთო კარიერის განმავლობაში. ხოაკინმა ორი წლის წინათ კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა. "ევრო 2004 ჩემთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ჩემს საფეხბურთო კარიერაში პირველი იყო. პორტუგალიაში გამგზავრებასთან დიდი იმედები მაკავშირებს", - განაცხადა ხოაკინმა.

ხოაკინის თქმით, ბოლო დროს დაცვაში თამაშისას მან მნიშვნელოვნად მოუმატა, მაგრამ იქვე წამოსცდა, რომ ნაკრებში არიან ფეხბურთელები, რომლებიც დაცვით ფუნქციებს მასზე უკეთ ასრულებენ. "მე დაცვაში ვერასოდეს ვითამაშებ ისე კარგად, როგორც პუიოლი, მარჩენა, ხუანიტო ან სეზარი თამაშობენ. ჩემი ფუნქცია მინდორზე სხვაა, მაგრამ, ვცდილობ, თამაში დაცვაშიც დავხვეწო", - ამბობს ხოაკინი. საერთოდ, ხოაკინს შეუძლია ითამაშოს ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც მწვრთნელი ინიაკი საესი დააყენებს. მთავარია, ამან გუნდს სარგებელი მოუტანოს.

ხოაკინის აზრით, ესპანეთის ნაკრების მთავარი ძალა გუნდური თამაშია. თანაგუნდელს ეთანხმება 20 წლის ფორვარდი ფერნანდო ტორესიც: "მატჩში იმარჯვებს გუნდი და არა რომელიმე ფეხბურთელი ერთპიროვნულად. გუნდისთვის მე ყველაფერზე მზად ვარ, - აღიარა მადრიდის "ატლეტიკოს" ფორვარდმა, - ფეხბურთელი უნდა მოერგოს იმ თამაშის მანერას, რომელსაც მწვრთნელი სთავაზობს და არა პირიქით. საესს კონკრეტული მოთხოვნები აქვს ყველა ფეხბურთელის მიმართ და ვფიქრობ, ამ მოთხოვნებს მივესადაგები".

თუმცა, ტორესის აზრით, გუნდს ჰყავს შეუვალი ავტორიტეტის მქონე ფეხბურთელი - ეს რაულია. ესპანეთის ნაკრების კაპიტანი გუნდის ნამდვილი ლიდერია და ძირითად შემადგენლობაში მისი თამაში ეჭვს არ იწვევს. ფერნანდო ტორესი კი შეეცდება, მასთან წყვილში შემტევი დუეტი შექმნას. "რაული ესპანეთის ნაკრებისთვის იგივეა, რაც ზიდანი საფრანგეთისთვის ან ტოტი იტალიისთვის", - განაცხადა ტორესმა.

ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად ტორესს უაღრესად სერიოზული კონკურენტები ჰყავს. ფერნანდო მორიენტესმა "მონაკოში" შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და კვლავ მადრიდის "რეალში" მიიწვიეს. ამასთან, ტორესის ნაცვლად მინდორზე გასვლა "დეპორტივოს" ნახევარმცველ ხუან ვალერონსაც შეუძლია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმ სქემაზე, რომელსაც კონკრეტული მატჩისთვის მწვრთნელი ინიაკი საესი აირჩევს.

"ვალენსიას" ნახევარმცველი ვისენტეც მიიჩნევს, რომ მთელი განაცხადიდან მხოლოდ რაულს აქვს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაჯავშნილი. დანარჩენებს კი მისთვის ბრძოლა მოუწევთ. "რაული უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. შეიძლება ახლა რთული პერიოდი აქვს, მაგრამ მას ბევრი გოლი გააქვს და შეუძლია, მატჩის ბედი მარტომ გადაწყვიტოს", - ამბობს ვისენტე.

ფეხბურთელის აზრით, ესპანეთის ნაკრებს შეუძლია, ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწიოს. ამისთვის მას ყველაფერი აქვს - შემსრულებლებიც ჰყავს და საკუთარი თავის რწმენაც გააჩნია. ჯგუფურ ტურნირში კი საესის გუნდს მართებს, პირველ-მეორე ადგილი პორტუგალიასთან მატჩამდე გაინაღდოს. თუმცა, ვისენტე მიიჩნევს, რომ პირველ მატჩში რუსებთან გამარჯვება იოლი არ იქნება.

"დეპორტივოს" ნახევარმცველი ხუან ვალერონი ესპანეთის ნაკრებში ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია. ის 28 წლისაა და ნაკრებში 40 მატჩი აქვს ჩატარებული. "მე სხვაზე მეტი გამოცდილება მაქვს და პასუხისმგებლობაც მეტი მეკისრება. თუმცა, ამის შესახებ არ ვფიქრობ და ყველასთან ერთად ვარჯიშის სიმძიმეს თანაბრად ვინაწილებ. ჩემთვის მთავარია, გუნდს დავეხმარო. ჩვენს გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა და ყველაფერი ძალიან კარგად მიდის", - ამბობს ვალერონი.

ვალერონს მიაჩნია, რომ ნებისმიერ ტურნირზე მნიშვნელოვანია წარმატებული სტარტი. "პირველი მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ამის შემდეგ გამოჩნდება, რეალურად რისი იმედი შეიძლება გვქონდეს. მასზე კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ. შემდეგ კი ნაბიჯ-ნაბიჯ გავემართოთ წინ", - განაცხადა ხუან ვალერონმა.

# გრონკიაერი პირველ მატჩებს გამოტოვებს

ოჯახური პირობების გამო დანიის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" შემტევი ნახევარმცველი იესპერ გრონკიაერი ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩებს გამოტოვებს. ეს უკვე მესამე ნახევარმცველია დანიის ნაკრებში, რომელიც მწყობრიდან გამოვიდა.

დანიის ნაკრები პორტუგალიაში ორშაბათს გაემგზავრა. ის ტურნირში 14 ივნისიდან ჩაერთვება. იესპერ გრონკიაერი კი დელეგაციაში სხვა ფეხბურთელებთან ერთად არ იმყოფებოდა.

არცთუ ისე შთამბეჭდავი სეზონი, რომელიც გრონკიაერს წლეულს "ჩელსის" შემადგენლობაში ჰქონდა, შეიძლება ისევე დასრულდეს, როგორც დაიწყო. ფეხბურთელმა, რომელიც 2000 წლიდან იცავს "ჩელსის" ღირსებას, წლევანდელი სეზონი ვერ დაიწყო ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში. ამის მიუხედავად, ის მინდორზე რეგულარულად ჩნდებოდა და ძირითადად შეცვლაზე გამოდიოდა. შემდგომში კი, როცა აბრამოვიჩის გუნდში ტრავმირებულთა რიცხვი გაიზარდა, ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს ცვლიდა.

სეზონის ბოლოს მაშინდელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ირწმუნა გრონკიაერის შესაძლებლობები და ის ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. შედეგად, დანიელი ნახევარმცველი ათამაშდა და პრემიერლიგის ბოლო ორ მატჩში თითო გოლი გაიტანა. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ის კარგ გუნებაზე იყო. მაგრამ აქ ახალმა სიურპრიზმა იჩინა თავი: მძიმე ავადმყოფობა შეეყარა გრონკიაერის ერთ-ერთ უახლოეს ნათესავს.


გრონკიაერი ევროპის ჩემპიონატზე ჩასვლას არ ჩქარობს.

"ცხოვრებაში არის ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი შემთხვევები, - ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარს დანიის ნაკრების მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა, - მე გრონკიაერს ვესაუბრე და ძალიან კარგად მესმის მისი სურვილი, ოჯახში დარჩეს მანამ, სანამ არ მიხვდება, რომ მზად არის, ნაკრებს პორტუგალიაში შეუერთდეს".

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მორტენ ოლსენს კიდევ აქვს იმედი, რომ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი შემტევი ნახევარმცველი მას ჩემპიონატის მსვლელობისას შეუერთდება. ჯერჯერობით არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ გრონკიაერი ჩემპიონატის დასრულებამდე შეუერთდება გუნდს. თუმცა, დანიის ნაკრების მწვრთნელები მზად არიან, თუნდაც მთელი ჩემპიონატი 23-ის ნაცვლად 22-კაციანი შემადგენლობით ჩაატარონ და გრონკიაერის ნაცვლად არავის დამატებას არ აპირებენ. ამასთან, მათ პრესის წარმომადგენლებს მოუწოდეს, ფეხბურთელთან კონტაქტს მოერიდონ.

საგულისხმოა, რომ გრონკიაერის გარდა, მორტენ ოლსენს უდინეზელი მარტინ იორგენსენისა და ევერტონელი ტომას გრავესენის გარეშე მოუწევს თამაში. იორგენსენმა სასტარტო მატჩამდე 10 დღით ადრე ტრავმა მიიღო, ხოლო გრავესენი ბოლო ამხანაგურ მატჩში გაძევების გამო სასჯელს იხდის.

ამრიგად, 14 ივნისს იტალიის წინააღმდეგ პირველ მატჩში დანიის ნაკრები მოედნის ცენტრში, სავარაუდოდ, კლაუს და დანიელ იენსენებს, კრისტიან პოულსენსა და დენის რომედალს გამოიყენებს.

ავტოსპორტი

# ესლა აკლდათ

თუ აქამდე კორას მეუღლის – "უილიამსის" პილოტის რალფ შუმახერის გულშემატკივრობა უწევდა, რამდენიმე დღის წინათ ცოლქმარმა ფუნქციები გაცვალა – ამჯერად მაყურებლისა თუ მხარდამჭერის როლში თავად რალფი მოგვევლინა. "BMW-უილიამსის" მესაჭე ლაუზიტცრინგში ცოლის სადებიუტო ასპარეზობას ადევნებდა თვალყურს. ასპარეზობა კი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ კორა შუმახერიც საჭესთან იჯდა. "Mini Challenge" სერია – ეს არის ის, სადაც კორას დებიუტი შედგა. რბოლის შემდეგ რალფი მეუღლის ოსტატობით ფრიად კმაყოფილი დარჩენილა - ყოველ შემთხვევაში, დებიუტის კვალობაზე.

"კორამ ბრწყინვალედ იასპარეზა! – ცოლისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს უმცროსი შუმახერი. – რბოლის ცქერით უდიდესი სიამოვნება მივიღე".

საკუთარი თავით კმაყოფილება ეტყობოდა თავად კორასაც. რატომაც არა. პირველივე რბოლაში 12 მრბოლს გაუსწრო. გაითვალისწინეთ ისიც, რომ კორას კაცები ჩამორჩნენ.

შეჯიბრება კი, რომელზეც შუმახერიანთ რძალმა იასპარეზა, "Mini Challenge" სერიათა მეორე ეტაპისა იყო.

რაც შეეხება მესამე ეტაპს, ის 12 ივნისს "ნორდშლიაიფ ნიურბურგრინგზე" შედგება. ეს ეტაპი კი, როგორც ირკვევა, მსოფლიოში ყველაზე რთული ტრასა ყოფილა და იქ საასპარეზოდ დიდი გამოცდილებაა საჭირო. მართალია, კორას ამგვარ ასპარეზობებში ჭიპი არა აქვს მოჭრილი, მაგრამ ირკვევა, რომ ყველაფერთან ერთად რალფის მეუღლე მამაცი გულის პატრონიც ყოფილა. რა კარგია, რომ ჩემი მესამე რბოლა ამგვარ ტრასაზე გაიმართებაო.

ამდენი საუბრის შემდეგ, ბუნებრივია, შედეგიც დაგაინტერესებდათ. 26 მონაწილეს შორის კორამ მეთოთხმეტემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი!

რბოლის შემდეგ შუმახერს უყურადღებოდ ვინ დატოვებდა და უმალ ინტერვიუსთვისაც მოიხელთეს.

**- უსწრაფეს წრეზე რბოლის საუკეთესო შედეგის მქონე DTM-ის ყოფილ პილოტს ტომას იაგერს სამი წამით ჩამორჩით. არ გაგიკვირდათ?**

- მერე როგორ! საერთოდ, კარგად ვუსწრებ. ასე არაა?

**- სტარტზე რას გრძნობდით?**

- მუხლებში ძალა გამომეცალა. ტანზე ცივმა ოფლმა დამასხა. აი, თურმე რა დღეშია რალფი. ამის მერე უფრო ვამაყობ მისით. რბოლა კი სულ უფრო მეტად მიზიდავს.

**- თქვენს შვილს, დევიდს, რა რეაქცია აქვს – ახლა ხომ დედამისიც მრბოლია?**

- ჩაიხითხითა და თქვა: "სუპერდედიკო, მიდი, მიაწექი გაზს!"

**- გახდება თუ არა დევიდი დიდი "შუმი"?**

- ვისურვებდი, რომ ასე იყოს.



კორა შუმახერი კოკპიტით მოიხიბლა.

თუმცა, იგივე წარმატება შეიძლება ვუწინასწარმეტყველოთ მეფუნთუშეობაში და მეხანძრეობაშიც. ჩვენ კი ნებისმიერ შემთხვევაში დავეხმარებით.

**- ყოველთვის სექსუალურად გამოიყურებით. სარბოლო კომბინეზონში თავს როგორ გრძნობთ?**

- საშინლად გამოვიყურები! სარბოლო კომბინეზონი სულაც არაა სექსუალური.

**- კომბინეზონის შიგნით რას ატარებენ ქალი მრბოლები?**

- სპორტულ აკვალანგს და კარლსონებს. ჩემთვის მთავარია კომფორტის შეგრძნება.

**- რბოლისას გრძელი ფრჩხილები არ გიშლით ხელს?**

- რომ მიშლიდეს, მოვიჭრიდი. რბოლისას დასამაგრებელი ფრჩხილები მაქვს.

**- ჩვეულებრივ, რა მანქანას ატარებთ?**

- რალფის BMW X5-ს ვმართავ. და, რა თქმა უნდა, Mini-ს.

**- ავარიაში ხომ არ მოხვედრილხართ?**

- სერიოზულ ავარიაში - არასდროს. მხოლოდ რამდენჯერმე და ისიც - ავტოსადგომზე.

**- ახლა შეიძლება ყველაზე სწრაფ "შუმად" ჩაითვალოთ...**

- ალბათ, "შუმის" ყველაზე სწრაფ მეუღლედ. თუ რალფი პენსიაზე გავა, ფულისთვის რბოლას მეც შევძლებ.

ფეხბურთი

# მე მიყვარს ჩემი ქომაგი

დალი კუპრავა

*"ფეხბურთის გამო უფროს ვაჟთან იმდენი წინააღმდეგობა მქონდა, რომ მეორეს ველარ შევებრძოლე და დავთანხმდი - ფეხბურთზე შევიყვანე. შედეგი შესანიშნავია, მთელი ოჯახი დაგვამეგობრა. ეს საფეხბურთო აკადემია "ოლიმპისა" და კლუბ "თბილისელის" დამსახურებაა", - ქალბატონმა ნანამ უფრო კონკრეტულად გვიამბო კლუბ "თბილისის" შესახებ.*

ერთხელ, და ისევ ჩვენს გაზეთში ვწერდი, რომ, ვინ იცის, კლუბ "აიაქსში" როდის მოვხვდები-მეთქი და მერე, კმაყოფილმა, საფეხბურთო აკადემია "ოლიმპზე" გიამბეთ. ახლაც იგივეს გავიმეორებ და, "რეალის" ფანკლუბის წევრი გავხდები თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ კლუბ "თბილისის" წევრობას წინ აღარაფერი უდგას. ამ ბოლო დროს ჩემი რამდენიმე ნაცნობი და ახლობელი დედა "თბილისის" ფეხბურთის ისეთი ფანი გახდა, რომ, ქმრებმა კი არა, მათი არჩევანის გამო ლამის მეც ვიეჭვიანო. რაკი ჩემს ახლობლობაში ისეთი ტენდენციაა, მეგობრები რომ არ დავკარგო, "თბილისის" ფანობას მეც ვერ ავცდები, ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე და "იქაურობას" გავეცანი. გულწრფელად რომ ვთქვა, სიტყვა "ფანი", ისე რა, მომწონს, "გულშემატკივარი" და "ქომაგი" მირჩევნია, მაგრამ გემოვნებაზე არ დავობენ, მთავარი კი მაინც შინაარსია, რომელსაც ამა თუ იმ სიტყვაში ვდებთ. კლუბის "ქომაგიც", "გულშემატკივარიც" და "ფანიც" ის ადამიანია, რომელიც გულშემატკივრობს, ქომაგობს და, ბოლოს და ბოლოს, ფანიც არის. ეს კი ძალიან კონკრეტულად გვერდით დგომას ნიშნავს ყველგან და ყოველთვის.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ნიკა დოლიძის სამუშაო კაბინეტის ფანჯრიდან ჯანსაღი კლუბი მოჩანს.*

რამდენჯერ მომიკრავს თვალი და ყურიც განაწყენებული მაყურებლისთვის, რომელიც ცხელ გულზე ზოგადად ქართულ ფეხბურთს ლანძღავს, რადგან "ვიღაცამ", სულ ცოტა, ისე ვერ ჩააწოდა, ან სულაც, გუნდმა თამაში წააგო. რამდენჯერ განაწყენებული ადამიანი გვერდით მომჯდომია და, სხვა მსმენელი რომ არ ჰყოლია, ჩემთვის გადმოულაგებია კონკრეტული მატჩის ის ალტერნატიული ტაქტიკა, რომელიც გუნდს უეჭველად გაამარჯვებინებდა, თუმცა, ნაღდად გრძნობდა, რომ ჩემთან ამაზე საუბარი, წყლის ნაყვასთან ერთად, უბრალოდ, დარდის გაქარვება იყო. გამიგონია, მომისმენია და მერე მიფიქრია კიდეც – ქომაგებს ასპარეზი სჭირდებათ-მეთქი, ვინ იცის, რამდენ სასარგებლოსაც ამბობს, ან თუნდაც მისნაირების თავშეყრა მაინც რომ შეიძლებოდეს და ჩემნაირებთან უაზროდ არ იხარჯებოდეს-მეთქი, მიფიქრია, მაგრამ, იქვე დამვიწყებია - რომელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მე ვიყავი!

პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ზაზა გომართელმა და კლუბ "თბილისის" სხვა მესვეურებმა კი გამოიცნეს ის, რაც სჭირდება ფეხბურთის გულშემატკივარს, ქომაგს, რომ მისი ჯანმრთელობა სტაბილური იყოს, ანუ გუნდი იყოს წარმატებული და დადებითი ემოციის მომგვრელი. ფეხბურთის გუნდი "თბილისი" თავის ქომაგებზე ზრუნავს.

"ჩვენც გუნდის ქომაგები ვართ ისევე, როგორც კლუბის დანარჩენი წევრები. უბრალოდ, ჩვენს თავზე ავიღეთ გულშემატკივრობის კოორდინაცია, რასაც საზოგადოებასთან ურთიერთობას ვეძახით", – განაცხადა საფეხბურთო კლუბ "თბილისელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ზაზა გომართელმა.

ქართულ საფეხბურთო სინამდვილეში კლუბი "თბილისი" უნიკალური საზოგადოებრივი გაერთიანებაა ასაკის, სქესის, სოციალური წარმომავლობისა და მატერიალური აწმყოსგან დამოუკიდებლად.

კლუბის საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა ორგზის სოროსის საზოგადოებასაც შეშურდება: ქომაგები მშვიდად მსჯელობენ, ცხარედ კამათობენ, ნებისმიერ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებათ... – ქომაგია, ფანია და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

გამოდის ნაბეჭდი ბიულეტენიც. ის, ვინც ფიზიკურად ვერ ესწრება შეხვედრებს, მათ შესახებ ბუკლეტით და საიტით შეიტყობს. იქვეა გუნდის განრიგიც, ფინანსური ინფორმაცია, გაწეული ხარჯები და სამომავლო საჭიროებები. საიტზე მოხვდება ნებისმიერი ქომაგის ნააზრევი და წინადადება, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია - ახალი მოედანია მოსაწყობი, აუზია შესაკეთებელი...

ხშირად იმართება სპორტული "ტუსოვკები", გამოფენები თუ სიმღერის პრემიერა...

"მე მიყვარს ჩემი გულშემატკივარი", – ეს კლუბის ფეხბურთელთა დევიზია. გულშემატკივრები სხვადასხვა ასაკის არიან, მათ შორის ბევრია დედა, რომელთა შვილები საფეხბურთო აკადემიის მოსწავლეები არიან. "ფეხბურთის თამაშიც რომ არ ესწავლა, ამ ერთიანობის შეგრძნებამ, უფროსი ფეხბურთელებისა და ქომაგების ურთიერთდამოკიდებულებამ, მოწაფეების განათლებით მწვრთნელების დაინტერესებამ ცხოვრება გამიიოლა, აღარ ვღელავ, რომ გზას არ ასცდეს", - გვეუბნება დედა და იქვე ამაყად ამატებს: "ჩვენ უეფაზე გავედით" - მომავალი კვირიდან "თბილისი" ევროპის საკლუბო ფეხბურთის მარათონში ჩაებმება.

მახსენდება უფროსი თაობა, ნამდვილი გულშემატკივრები, რომლებსაც უყვარდათ ფეხბურთი და ქართულ ფეხბურთს უყვარდა ისინი. ჩვენს მეზობლად უკვე ასაკოვანი ბორია პაიჭაძე რომ მოდიოდა სტუმრად, ეზოს ბიჭებს დღესასწაული ჰქონდათ, ვინ უფრო კარგად შეათვალიერებდა და რას დაიმახსოვრებდა. თუ ვინმეს გამოელაპარაკებოდა, ის ხომ ეზოს გმირად იქცეოდა.

"იცით, რა არის ქომაგობა? - როცა შენი გუნდის გვერდით დგახარ ყველგან და ყოველთვის, როცა დაუნდობელი არ გახდები, არ გალანძღავ, სტადიონს არ დაუცარიელებ და სტვენით არ აიკლებ. ფეხბურთი ორი კომპონენტის ერთიანობაა - ფეხბურთელისა და გულშემატკივრის", - ამბობენ "თბილისის" პრეზიდენტი ნიკა დოლიძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ზაზა გომართელი.

ფეხბურთის გუნდში რომ თერთმეტი კაცი თამაშობს, მეტოქის კარში გოლის გატანა რომ კარგია და ბურთი მრგვალია, ეს ხომ ყველამ ვიცით.

მოკლედ

## SOS! - ატლანტიკიდან

31 მაისი აფროსნობაში იმით იყო საინტერესო, რომ რუსმა სექს-ბომბა-ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ ინგლისის პლიმუტის ნავსაყუდლიდან ყველაზე ძვირად ღირებულ ტრანსატლანტიკურ რეგატას ამერიკის ბოსტონამდე გზა დაულოცა. რეგატაში მონაწილეობს გემთმშენებლობის ორმოცი სუპერთანამედროვე იახტა, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება 70 მილიონი დოლარია. რეგატაში წარმოდგენილია მსოფლიო სააფროსნო სპორტის მთელი თანავარსკვლავედი. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ დიდია ინტერესი ატლანტის ოკეანეში გასული ფლოტისადმი. პლიმუტიდან გასული რეგატა ორშაბათამდე მშვიდად მიირწეოდა ატლანტის ტალღებზე, მაგრამ... სენტ-ჯონსიდან (კანადის პროვინცია ნიუფაუნდლენდიდან და ლაბრადორიდან) ჩრდილო-აღმოსავლეთით, 700 კილომეტრის დაშორებით, ცნობილი შვეიცარიელი შკიპერის ბერნარდ შტამის იახტის გემბანიდან სპეციალური შუქურის მეშვეობით განგაშის სიგნალი გაისმა.

ვიდრე 39 წლის ცნობილ ზღვაოსანს ბერნარდ შტამს მიაგნებდნენ და უბედურებისგან იხსნიდნენ, რამდენიმე საათის განმავლობაში ის იახტის წყალგაუმტარ განყოფილებაში შეყუჟულიყო. შტამის იახტას კილი დაუზიანდა, რის გამოც მოგვიანებით იახტა გადაბრუნდა. შტამმა არ დააყოვნა და, როგორც უკვე ვთქვით, სპეციალური შუქურიდან შეტყობინება – SOS გაუშვა. 15-მეტრიანი ნავიდან გაშვებული სიგნალი კანადის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავმა "ჰერკულესმა" შენიშნა. ბუნებრივია, "ჰერკულესის" ეკიპაჟმა განსაცდელში ჩავარდნილი ზღვაოსნის კოორდინატები გამოითვალა და შესაბამისი შეტყობინება შტამის იახტასთან ყველაზე ახლოს მყოფ ნავთობის ტანკერ "ემას" აცნობა. როგორც კი ტანკერზე შვეიცარიელის გასაჭირი შეიტყვეს, დასახმარებლად მაშველი რაზმი გაგზავნეს. ერთი სიტყვით, ახლა ბერნარდ შტამი სამშვიდობოსაა, რეგატა კი გზას აგრძელებს.

შვეიცარიელი პირველად არ მოგზაურობდა უკიდეგანო სივრცეში. იახტით მას არაერთხელ გადაულახავს ატლანტის ოკეანე. 2002 წლის სექტემბერში კი მსოფლიო რეკორდი დაამყარა - ნიუ იორკის ყურიდან ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით, ლიზარდის კონცხამდე, მარტომ ერთკორპუსიანი იახტით მარშრუტი 10 დღეში, 11 საათში, 55 წუთსა და 19 წამში გაიარა.

თავად რეგატაზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა, ხოლო მარშრუტი ინგლისსა და აშშ-ს შორის გაჭიმულ ათასობით საზღვაო მილზე გადის. მარშრუტის რეკორდი 9 დღესა და 23 საათს ითვლის. იგი ეკუთვნის ფრანგ ზღვაოსანს ფრანს ჟოინს, რომელმაც 2000 წელს გამოიჩინა თავი.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 9 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: კონი ჰოუკინსი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1985. ფინალი. "BOSTON CELTICS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-6 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. მატჩი მე-3 ადგილისთვის. პორტუგალია – შვედეთი
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ - "აიაქსი"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "გამჟღავნება"
17:30 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. ფინალი. იტალია – სერბეთი და მონტენეგრო
19:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:45 "დარტყმა გოლისთვის"
20:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ნიუკასლი"
21:40 თავისუფალი დარტყმა
21:55 მოლდავეთის ჩემპიონატი. "შერიფი" – "ნისტრუ". პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:55 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" – "ბენფიკა"
01:40 "დარტყმა გოლისთვის"
01:55 01:55-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES LAKERS" - "DETROIT PISTONS". მე-2 მატჩი

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:20, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "Montreux Volley Masters" შვეიცარია. რუსეთი – გერმანია
13:10 "საუკუნის ათლეტები". "სპორტული ატლანტიდა". ნაწილი პირველი
14:35 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
15:45 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
16:15 ცხენოსნობა. "The Oaks"
17:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი". ქალთა ფინალი
19:30 "Power week – NHL-ის კვირა"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 "საუკუნის ათლეტები". "სპორტული ატლანტიდა". ნაწილი მეორე
21:00 "ათენის გზაზე"
22:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES LAKERS" - "DETROIT PISTONS". შესვენებისას (22:30) პრესცენტრი
00:45 "Power week – NHL-ის კვირა"
01:15 ახალი ამბები
01:30 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series" ესპანეთში

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ჩემპიონთა თაობა
12:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
12:30 მულტისპორტი
12:45 ფეხბურთი. ევრო 2004. ჩემპიონთა თაობა
13:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
15:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:30 მძლეოსნობა. გრან-პრი ჩეხეთში
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი დიდ ბრიტანეთში
21:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
22:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
22:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
23:45 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი შვეიცარიაში
00:45 გოლფი. ევროპული ტური უელსში
01:15 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
02:15 აფროსნობა
02:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:00 ახალი ამბები
03:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ჩემპიონთა თაობა
03:45 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
04:15 ახალი ამბები

ფრენბურთი

# ფრენბურთელებმა წილი ყარეს

- პირველი აშშ. აბა, ვნახოთ ვინ იქნება მეორე.
- მაშ ასე, მეორე ჩინეთია.

გადაწყვეტილი ამბავია - ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ფრენბურთელთა შეჯიბრებას ამერიკისა და ჩინეთის ქალ ფრენბურთელთა ნაკრებების მატჩი გახსნის. ეს გუშინწინ ათენში ჩატარებულ წილისყრაზე გაირკვა.

ქალთა და ვაჟთა შორის 12 მონაწილე ორ ქვეჯგუფად დაიყო. ვაჟთა შორის A ჯგუფში მოხვდნენ ტუნისი, არგენტინა, სერბეთი, პოლონეთი, საფრანგეთი და მასპინძელი საბერძნეთი. B ჯგუფში კი მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილია, ევროპის ჩემპიონი იტალია, ჰოლანდია, აშშ, რუსეთი და ავსტრალია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ გუნდების უმეტესობა მსოფლიო ლიგაში გამოდის და ოლიმპიადამდე დარჩენილ მატჩებს თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად გამოიყენებს. თუმცა, ზოგს მხოლოდ ლიგაში თამაში არ ჰყოფნის. ბრაზილიელები იტალიაში აპირებენ გამგზავრებას, სადაც ორკვირიან შეკრებას გაივლიან და ორ ან სამ მატჩს ითამაშებენ. იგივეს აპირებს რუსეთის ნაკრებიც, ოღონდ რუსები ამას აშშ-ში აპირებენ. ვაჟთა შეჯიბრება 15 აგვისტოს დაიწყება. პირველ მატჩში მასპინძლები და ტუნისელები შეხვდებიან ერთმანეთს.

რაც შეეხება ქალ ფრენბურთელებს, ისინი თამაშებს ერთი დღით ადრე დაიწყებენ. A ჯგუფში საბერძნეთი, კორეა, იაპონია, ბრაზილია, იტალია და კენია ითამაშებენ, ხოლო B ჯგუფში – ჩინეთი, კუბა, რუსეთი, დომინიკის რესპუბლიკა და გერმანია.

კაცებისა არ იყოს, ქალებიც ათენში წასვლამდე გვარიანად გავარჯიშებას აპირებენ. ყველას ამბავი გარკვეული არაა, მაგრამ რუსი გოგონები გერმანიასა და იტალიაში აპირებენ შეკრების მოწყობას. შესაბამისად, მათთან გაჯიბრების საშუალება მიეცემათ მასპინძლებს. ბრაზილიელები აზიაში, კერძოდ, იაპონიაში აპირებენ წასვლას, საბერძნეთში კი ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ჩავლენ.





## დიდი რაგბი საქართველოში!

მსოფლიოს გამორჩეული, NBA-სა და ჩემპიონთა ლიგის ბადალი ხარავბო სუპერტურნირის - "ზე-12"-ის სუპერკლუბი თბილისში.

**სიურპრიზი გულშემატკივარს!**

პრეტორიელი "ლურჯი ხარები" საქართველოს საკლუბო, "ა" და ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ.

**12 ივნისს - 14 საათზე**
თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს კლუბების ნაკრები**

**16 ივნისს - 18 საათზე**
რუსთავის "მეტალურგის" სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს "ა" ნაკრები**

**20 ივნისს - 18 საათზე**
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს ეროვნული ნაკრები**

არ გამოტოვოთ, ცოცხლად იხილეთ აფრიკელი "ქურციკებისა" და ქართველი "ლელოების" შერკინება.

12 და 13 ივნისს, "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის თბილისის ეტაპი. მონაწილეობენ საფრანგეთის, შოტლანდიის, რუმინეთის, უკრაინის, ანდორის, შვეიცარიის, ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.
რაგბის ქომაგებს საშუალება გექნებათ იხილოთ თავბრუდამხვევი ტემპითა და შემართებით გაჯერებული ლაღი, სხარტი ბურთაობა.
და კიდევ, 12 ივნისს, იქვე, "ლოკომოტივზე" შედგება სამხრეთაფრიკული "ბლუ ბულზის" მატჩი საქართველოს კლუბების ნაკრებთან.
ქართველ მორაგბეებს თქვენი მხარდაჭერის იმედი აქვთ, ძვირფასო გულშემატკივრებო.

**მატჩების დასაწყისი:**

**12 ივნისს - 16 საათზე**
**13 ივნისს - 10 საათზე**

## სოფლის კუდიანი



XVI-XVII საუკუნეებში კათოლიკურსა და პროტესტანტულ ევროპას ქარიშხალივით გადაუარა კუდიანებზე ნადირობის ტალღამ. ამ მოვლენამ მოგვიანებით მრავალი სხვადასხვანაირი ახსნა წარმოშვა. მაგრამ ეს ახსნები უფრო მათ ავტორებზე მეტყველებდა, ვიდრე თვით ასახსნელ ფენომენზე. ამბობდნენ, მაგალითად, რომ აქ ფეოდალიზმის ნგრევის შედეგად კლასობრივი ბრძოლა გამჟღავნდა. სხვები კიდევ ამტკიცებდნენ, რომ ინდუსტრიალიზაციის გარიჟრაჟზე ევროპა ემშვიდობებოდა საკუთარ სოფლურ წარსულს.

ასეა თუ ისე, კუდიანებზე ნადირობის პროცესები ათასობით უდანაშაულო ქალის სიცოცხლე, ტანჯვასა და ამაზრზენ სიკვდილს ნიშნავს. თანაც სასამართლო ინკვიზიციისაგან მიღებული გამოცდილებით სარგებლობდა: მთავარი იყო ყველა ხერხით მოეპოვებინათ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება. ჩვეულებრივ [illegible] "მეცნიერულ" მეთოდს: ბრალდებულს სხეულზე პარსავდნენ ბალანს და ეძიებდნენ ნიშნებს, [illegible] ადგილებს, სადაც ტკივილი არ იგრძნობოდა. ასეთი ადგილების არსებობა მიჩნეული იყო ეშმაკთან კავშირის უტყუარ მტკიცებად — სწორედ ეშმაკი [illegible] ადამიანის ტკივილის გრძნობას. გარდა ამისა, არსებობდა "ცრემლების გამოცდაც": [illegible] კუდიანად. ამ გამოცდას ვერ გაუძლო, მაგალითად, დიდი ასტრონომის, **იოჰან კეპლერის** დედამ.

1644 წელს საფრანგეთის ქალაქ დიჟონში გამოჩნდა ვინმე გიჟი, რომელიც ამტკიცებდა, რომ გარეგანი დათვალიერებით შეეძლო ეშმაკის მსახურის გამოჩენა. მისი ისმინეს და [illegible] მის მიერ დასმენილთა უმრავლესობა კოცონზე დაწვეს.

კუდიანების დევნამ იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ გერმანელი იეზუიტი, **ფრიდრიხ შპეე** 1631 წელს წერდა: "კიდევ ვის არ ესმის, რომ ასე უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს? [illegible] წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იძულებული იქნებიან კოცონზე დაწვან თავიანთი ნათესავები, საკუთარი თავი და მთელი ქვეყნებიც". სხვათა შორის, ფრიდრიხ შპეე ერთ-ერთი პირველი ევროპელი [illegible] ლაპარაკი.

დღეს უკვე ისტორიკოსებმა უარი თქვეს პროცესების მსხვერპლთა ზუსტი რიცხვის დადგენაზე. შესაბამისი მონაცემები არ მოიპოვება. სასამართლო ოქმების დიდი ნაწილი დაიკარგა, ბევრი საბუთი კუდიანთან ერთად დაიწვა ცეცხლში: კუდიანის შესახებ ყოველგვარი ხსოვნა უნდა წაშლილიყო. მეორე მხრივ, ზოგი მოსამართლის მოწმობა, თითქოს მათ ათასობით კუდიანი აიყვანეს კოცონზე, უბრალო ტრაბახია. ამგვარი მკვეხარა იყო, მაგალითად, ფრანგი მოსამართლე **ნიკოლა რემი**, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს 1576-დან 1612 წლამდე სამი ათასამდე კუდიანი დასაჯა. ამგვარი მონათხრობი უფრო ფსიქოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე სტატისტიკურს. [illegible] განმანათლებლობის დროს შეიქმნა (ცნობილია **ვოლტერის** გამოთქმა "ასი ათასი კოცონი") — ყველაზე სავარაუდო რიცხვი რამდენიმე ათეული ათასია. მაგრამ მსხვერპლთა რაოდენობრივი შეფასების შემცირება სულაც არ ამცირებს ფანატიზმის საშინელებას.

მაგრამ ფანატიზმი თავისთავად არ წარმოიშობა. [illegible]

ერთი სიტყვით, საჭირო იყო განტევების ვაცი, რომელიც თავის თავზე აიღებდა [illegible] სოფლელ კუდიანი ყველაზე ხელსაყრელი ფიგურა აღმოჩნდა ამისთვის. [illegible]

ერთი მხრივ, კუდიანის მოშორება [illegible] სასამართლო მანქანის უკონტროლო ამუშავების შედეგად ყველა შეიძლებოდა მოულოდნელად აღმოჩენილიყო ეჭვქვეშ.

კუდიანის კოცონზე დაწვას სოფლის ყველა მცხოვრები უნდა დასწრებოდა. [illegible]

ზოგი მკვლევარი ცდილობდა კუდიანთა პროცესების მიმდინარეობა შესაბამისობაში მოეყვანა სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებთან. [illegible]

[illegible]

# ინკვიზიცია IV

### განაჩენი

გამოძიება და დაკითხვა დასრულდა. ინკვიზიციამ ან გაიმარჯვა, ან დამარცხდა: პირველ შემთხვევაში ბრალდებულმა ცდომილება აღიარა და მოინანია, მეორეში — უარი თქვა სინანულზე. სასამართლოს საკადრისად უნდა დაესაჯა ერთიც და მეორეც.

პაპი ინოკენტი III წერდა, რომ თუ საერო ხელისუფლება მოღალატეებს სიკვდილსა და ქონების კონფისკაციას უსჯის, ერეტიკოსთა სასჯელი გაცილებით უფრო სასტიკი უნდა იყოს, რადგან ღვთის ღირსება მეფის ღირსებაზე დიდია. მართალია, ამგვარი შედარება თავისთავად უკვე ღმერთზე საკმაოდ მიწიერი შეხედულების მაჩვენებელია, მაგრამ 1199 წელს პაპი ამაზე ვერ დაფიქრდებოდა.

ტრიდენტის საეკლესიო კრების (1545 – 1563) დადგენილება შემდეგნაირად მოუწოდებდა ეპისკოპოსებს: "ახსოვდეთ ეპისკოპოსებსა და სხვა პრელატებს, რომ ისინი მწყემსები არიან და არა ჯალათები, მართონ თავიანთი ქვეშევრდომები არა ძალით, არამედ სიყვარულით, როგორც ძმები და შვილები ... მაგრამ თუ ისინი არ მოინდომებენ გამოსწორებას, დაე, მათი სასჯელი გამაჯანსაღებელ მაგალითად მოევლინოს სხვებს". XVI საუკუნეში, როცა მთელს ევროპაში ინკვიზიციის კოცონები ენთო, არც ამ განცხადების ცინიზმს ამჩნევდა ვინმე.

ინკვიზიტორის ძალაუფლება აღემატებოდა უბრალო მღვდლის შესაძლებლობებს, რადგან ამ უკანასკნელს არ ჰქონდა გადაწყვეტილების განსახორციელებლად აუცილებელი საშუალებები. მღვდლის ეპიტიმია უარეს შემთხვევაში მხოლოდ მარხვასა და ლოცვას აღნიშნავდა, ინკვიზიტორის რისხვას კი უკვე ცეცხლის სუნი უდიოდა.

მართალია, ბრალდებულს დაცვის უფლებაც ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ნომინალურად. ესპანეთში, მაგალითად, დამცველს თვით ინკვიზიცია ნიშნავდა. იეზუიტი მკვლევარი ბერნარდინო ლიორკა განმარტავს, რომ ადვოკატის მიზანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეკლესიის მიზნისაგან განსხვავებული. ამიტომ, როგორც კი სასამართლო გადაწყვეტდა, რომ ბრალი დადგენილია, დაცვაც წყდებოდა. თანაც ადვოკატი ყველაზე ხშირად იმას ურჩევდა ბრალდებულს, უსიტყვოდ ეღიარებინა თავი ერეტიკოსად.

ბრალდებულს არც სარწმუნოებრივი უმეცრება იხსნიდა: ბერნარდ გის აზრით, უცოდინარი ადამიანი ეშმაკის, ანუ "სიცრუის მამის" შვილია, რის გამოც სასჯელს იმსახურებს. ოდნავ ამსუბუქებდა ბედს ბრალდებულის ფსიქიკური ავადმყოფობა ან სიმთვრალე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მას უნდა ეღიარებინა თავი მწვალებლად. ბრალდებულის თვითმკვლელობა დანაშაულის აღიარებად ითვლებოდა.

XIV საუკუნის დასაწყისში ფრანგმა ფრანცისკელმა, **ბერნარ დელისიემ** საფრანგეთის მეფის, **ფილიპე მშვენიერის** წინაშე საჯაროდ განაცხადა, რომ არსებული სისტემის წყალობით ინკვიზიციას შეეძლო ერესში ბრალი დაედო თვით პეტრე და პავლე მოციქულებისთვის. დელისიე ამბობს: "როგორ შეძლებდნენ ისინი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას, თუ ყოველი მათი დამცველი მაშინვე ეჭვის ქვეშ ჩავარდებოდა?".

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ინკვიზიცია არ სარგებლობდა არანაირი დაწერილი კანონმდებლობით. ერთადერთი კოდიფიცირებული დოკუმენტი გამოძიებისა და პროცესის წარმართვის პრაქტიკული ინსტრუქცია იყო. ბრალის წაყენებაც და განაჩენის გამოტანა სხვადასხვა, ერთმანეთთან ხშირად შეუთანხმებელი საეკლესიო განჩინებებისა და კრებების დადგენილებების საფუძველზე ხდებოდა. ასე ინკვიზიციას მოქმედების დიდი თავისუფლება ეძლეოდა, მაგრამ, განსხვავებით საერო სასამართლოებისაგან, განაჩენები (თუ საქმე არ ეხებოდა სიკვდილით დასჯას) მეტად გაურკვეველ ხასიათს ატარებდა.

რას უსჯიდა ბრალდებულს ინკვიზიცია? "მსუბუქი" ან "შეურაცხმყოფელი" ეპიტიმიები, ჩვეულებრივი ან მძიმე პატიმრობა, მძიმე საკატორღო სამუშაოები და, საბოლოოდ, ბრალდებულის ეკლესიისაგან განკვეთა და საერო ხელისუფლებისათვის გადაცემა კოცონზე დასაწველად. ყოველ ამ სასჯელს თან ახლდა ბრალდებულის გაშოლტვა და მისი ქონების კონფისკაცია.

არ არსებობდა არანაირი შემამსუბუქებელი გარემოება. 1244 წელს გამართული ნარბონის საეკლესიო კრების დადგენილებით ინკვიზიციას არ უნდა შეებრალებინა ქმარი ცოლის გამო, ცოლი ქმრის გამო, მამა შვილების გამო, თუმც იგი მათი ერთადერთი მარჩენალი ყოფილიყო. არც ასაკი და არც მძიმე სნეულება არ უნდა გამხდარიყო განაჩენის შემსუბუქების საბაბი.

თვით ბრალდებულის გარდა ისჯებოდა მისი ოჯახი და შთამომავლობა მესამე თაობამდე. მათ ერთმეოდა არა მარტო ქონება და მემკვიდრეობა, არამედ სამოქალაქო უფლებებიც.

ინკვიზიტორი, **ნიკოლაუს ეიმერიკი** წერდა: "ერეტიკოსის შვილებისადმი სიბრალულმა, თუმც მათ მათხოვრობით თავის რჩენა ელოდეთ, არ უნდა შეარბილოს სიმკაცრე, რადგან ღვთაებრივი და კაცობრივი კანონების თანახმად, შვილები პასუხს აგებენ მშობლების დანაშაულზე. ერეტიკოსთა შვილები, თუმც კი ჭეშმარიტი სარწმუნოებისანი იყვნენ, ამ წესიდან გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მათ არ უნდა დაუტოვონ მამის ქონებიდან ისიც კი, რაც ბუნებითი სჯულით ეკუთვნით".

XIII საუკუნეში ძალიან პოპულარული სასჯელი იყო იძულებითი გაგზავნა ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მაგრამ ეს ზომა მალე გააუქმეს იმის შიშით, რომ ერეტიკოსები ჯვაროსნებს გადაიბირებდნენ. თვით ყველაზე მსუბუქი სასჯელი, მარხვა, ლოცვა და წმიდა ადგილების მონახულება უმძიმეს ტვირთად აწვებოდა ბრალდებულს: ეპიტიმია წლების განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოო გაკოტრებამდე მიჰყავდა მისი ოჯახი.

კიდევ უფრო მძიმე იყო "შეურაცხმყოფელი" სასჯელი. ჩვეულებრივ ეპიტიმიას ამ შემთხვევაში ემატებოდა დამამცირებელი ნიშნების ტარება, რომელიც 1208 წელს შემოიღო **წმ. დომინიკემ**. ეს ტანსაცმელზე მიკერებული ზაფრანის ფერის ქსოვილის ჯვრის ფორმის დიდი ნაჭრები იყო. ესპანეთში მას ცვლიდა ყვითელი უსახელო პერანგი ზედ გამოსახული ეშმაკებითა და ცეცხლის ენებით. თავზე მსჯავრდადებულს ტაკიმასხარას ჩაჩი უნდა დაეხურა.

ამგვარი ნიშნების მატარებელი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მოიხსნიდა მას. პირიქით, გაცვეთისა და დაძველების შემთხვევაში ქსოვილი ახლით უნდა შეეცვალა. ინკვიზიტორთა გულის მოსაგებად მას ყველანი დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ. ასე ქრისტიანობის უწმინდესი ნიშნის, ჯვრის ტარება უსასტიკეს მორალურ სასჯელად იქცა.

საჯარო გაშოლტვა სრულდებოდა პერიოდულად მთელი ცხოვრების განამვლობაში. მსჯავრდადებულს შოლტავდა მღვდელი ღვთისმსახურების შემდეგ ეკლესიაში.

სამუდამო პატიმრობა უდიდეს წყალობად ითვლებოდა და ის სამი სახისა იყო: უმკაცრესი (murus strictissimus) — განმარტოებულ საკანში შებორკილი ხელ-ფეხით ყოფნა, მკაცრი (murus strictus durus arctus) — განმარტოებულ საკანში კედელს მიბორკილი ყოფნა, ჩვეულებრივი — ბორკილთა გარეშე საერთო საკანში ყოფნა. ყველა შემთხვევაში პატიმარი მხოლოდ პურითა და წყლით იკვებებოდა.

XIII საუკუნეში განაჩენის გამოტანის შემდეგ ინკვიზიტორების ბრძანებით მსჯავრდებულის სახლს ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ინკვიზიცია ქონების მითვისებას ამჯობინებდა. ესპანეთსა და პორტუგალიაში მსჯავრდებულებს ხშირად იყენებდნენ მონებად კოლონიებსა და მონასტრებში. ზოგჯერ აგზავნიდნენ ნიჩბებიან ხომალდებზე, გალერებზე, სადაც ტუსაღები სკამს იყვნენ მიბორკილნი და ისე უსვამდნენ ხოფებს.

ინკვიზიცია ასამართლებდა არა მარტო ცოცხლებს, არამედ გარდაცვლილებსაც. ამ შემთხვევებში განაჩენი შემდეგი იყო: ნეშტის ამოღება საფლავიდან და მემკვიდრეთა ქონების კონფისკაცია. ეს უკანასკნელი ინკვიზიციის მთავარი მიზანი იყო, რადგან მისი საქმიანობა დატაცების ნამდვილ ქარიშხალში მიმდინარეობდა. ბრალდებულის ქონების სეკვესტრი ავტომატურად მოსდევდა მის დაპატიმრებას და კონფისკაცია მისთვის გარდაუვალი იყო. ქონებას იყოფდნენ ინკვიზიტორი, ქალაქის მთავრობა და ეპისკოპოსი.



აუტოდაფე მოედანზე

სამხრეთ საფრანგეთში ერეტიკოსთა მასობრივ დევნასა და სტალინურ რეპრესიებს ერთი საერთო ნიშანი აქვთ: ორივე შემთხვევაში სატუსაღო პატიმრის სახსრებითა და ფიზიკური ძალებით იგებოდა.

ინკვიზიციის განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

### აუტოდაფე და კოცონი

მოუნანიებელ ერეტიკოსებსა და იმათ, ვისაც განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანეს და მერე კი დააპატიმრეს, ინკვიზიცია "ეკლესიისაგან განკვეთდა და ათავისუფლებდა".

ეს სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა. გათავისუფლება იმას ნიშნავდა, რომ ეკლესია უარს ამბობდა მისი ცხოვნებისთვის ზრუნვაზე. ამგვარად მიღებული "თავისუფლება" ნიშნავდა არა მარტო კოცონზე მტანჯველ და სამარცხვინო სიკვდილს, არამედ ჯოჯოხეთში მარადიულ წარწყმედასაც. ამ სასჯელის სისასტიკეს თეოლოგებიც აღიარებდნენ, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ ეშმაკს დამორჩილებული ადამიანი არ იმსახურებს ქრისტიანულ ლმობიერებას.

და მაინც, ეკლესიას არ შეეძლო თვითონ მოეყვანა სისრულეში ასეთი განაჩენი. ფორმალურად მას საერო ხელისუფლება ასრულებდა. მაგრამ გაუგებარია, რატომ შეეძლო ეკლესიას ყოველგვარი ქენჯნის გარეშე ყველაზე ბარბაროსული წამების გამოყენება, ხოლო საბოლოო ნაბიჯის გადადგმა კი ეთაკილებოდა. ყველაზე სავარაუდო ახსნა ისაა, რომ ეკლესია გაუცნობიერებლად ესწრაფოდა, საერო ხელისუფლება თავის თანამზრახველად ექცია.

XIII და XIV საუკუნეებში საერო ხელისუფლება ხშირად უარს ამბობდა სასიკვდილო განაჩენის ბრმად აღსრულებაზე, რადგან არ სურდა ინკვიზიციის ვასალი გამხდარიყო. მოგვიანებით საერო მთავართა ურჩობა თვით პაპის მკაცრ რეაქციას იწვევდა და ისინიც დათმობაზე მიდიოდნენ.

ზოგჯერ საბოლოო განაჩენის გამოტანისას ინკვიზიცია ითხოვდა მსჯავრდებულისთვის განსაკუთრებული მოწყალების გამოჩენას. იგულისხმებოდა, რომ ის კოცონზე ასვლისა და ბოძთან დაყენების შემდეგ საგანგებო საბელით უნდა დაეხრჩოთ, ან კისერზე დენთით გატენილი "საყელო" ჩამოეცვათ ტანჯვის შესამოკლებლად.

მაგრამ ინკვიზიტორებისთვის მოქცეული ერეტიკოსი და მომავალი თანამშრომელი უფრო სასურველი იყო, ვიდრე დანახშირებული გვამი. ბევრი ფანატიკურად განწყობილი ერეტიკოსი თვითონ ესწრაფოდა კოცონზე გმირულ სიკვდილს. ინკვიზიტორები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მისი სული გაეტეხათ და, ყოველ შემთხვევაში, მისი სიკვდილისათვის გმირული ელფერი არ მიეცათ. თვით საბოლოო "გათავისუფლების" შემდეგაც კოცონზე დაწვას ერთი დღით გადადებდნენ ხოლმე, რომ მსჯავრდებულს აღიარების შესაძლებლობა ჰქონოდა. მაგრამ ამ დროისთვის ეს უკვე ძალიან იშვიათად ხდებოდა.

სიკვდილით დასჯის მრავალი აღწერა შემორჩა. თანდათანობით ამის თავისებური რიტუალი ჩამოყალიბდა. კოცონზე დაწვა საყოველთაო დღესასწაულზე ხდებოდა. მოსახლეობას მოუწოდებდნენ დასასწრებად. ამ მოწვევაზე უარი ეჭვს აღძრავდა. კოცონის ანთებას წინ უსწრებდა ეგრეთ წოდებული აუტოდაფე, ანუ საგანგებო სადღესასწაულო ღვთისმსახურება და განაჩენის საჯარო კითხვა. ჩვეულებრივ ცერემონია ქალაქის მთავარ მოედანზე იმართებოდა წელიწადში რამდენჯერმე და მასზე ხშირად რამდენიმე ათეულ მსჯავრდებულს სჯიდნენ. აუტოდაფე ერთი თვით ადრე ცხადდებოდა და ყველა დამსწრეს ორმოცდღიან ინდულგენციას ჰპირდებოდნენ.

ქალაქი დროშებითა და ყვავილების გირლანდებით იყო მორთული, აივნებზე ნაირფერ ხალიჩებს ფენდნენ. ცენტრალურ მოედანზე აშენებდნენ საკურთხეველსა და ლოჟებს საპატიო სტუმრებისათვის. რადგან აუტოდაფე ზოგჯერ მთელი დღე გრძელდებოდა, იქვე აგებდნენ საზოგადოებრივ საპირფარეშოებს.

წინადღით ეწყობოდა აუტოდაფეს გენერალური რეპეტიცია. ქალაქის მთავარ ქუჩებში იმართებოდა მრევლის პროცესია, რომელსაც წმ. პეტრე მოწამის კონგრეგაციის წევრები ხელმძღვანელობდნენ. პეტრე იტალიელი ინკვიზიტორი იყო, რომელიც 1252 წელს მისი ზედმეტი სისასტიკის გამო ამბოხებულმა ხალხმა მოკლა. ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და ინკვიზიციის ზეციურ მფარველად გამოაცხადა. სწორედ ამ კონგრეგაციის წევრები აგებდნენ კოცონებს.

გამთენიისას ინკვიზიციის ციხეში ჩოჩქოლი იწყებოდა. მსჯავრდებულებს, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რა ელოდათ, ბანდნენ, პარსავდნენ, სუფთა თეთრეულს აცმევდნენ და კარგი საუზმით უმასპინძლდებოდნენ. ამის შემდეგ კი კისერზე თოკის მარყუჟითა და შეკრულ ხელებში მწვანე სანთლით განწირულებს ჯორებზე სვამდნენ და ეგზეკუციის ადგილისკენ მიჰყავდათ.

პროცესია მოედნისკენ ნელა მიემართებოდა. ინკვიზიციის წევრები სამგლოვიარო ჰიმნებს გალობდნენ და მოჰქონდათ მანეკენები, რომლებიც გარდაცვლილ ან გაქცეულ ერეტიკოსებს განასახიერებდნენ. ამასობაში კი მოედანზე მაყურებელთა ურიცხვი ბრბო გროვდებოდა. აქ მსჯავრდებულებს სამარცხვინო სკამებზე სვამდნენ და სამგლოვიარო წირვის შემდეგ განაჩენებს კითხულობდნენ. ტექსტი ლათინური იყო და თვით მსხვერპლს, ჩვეულებრივ, არაფერი ესმოდა. ეს პროცედურა რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

ამის შემდეგ იწყებოდა საკუთრივ კოცონზე დაწვა. მართალია, თვით კოცონს ისე ალაგებდნენ, რომ ადამიანი მთლიანად დამწვარიყო, ეს ყოველთვის არ ხერხდებოდა. მაშინ ჯალათები ნაწილ-ნაწილ შლიდნენ სანახევროდ დამწვარ გვამს, ამსხვრევდნენ ძვლებს, ანაწევრებდნენ ხორცს და ნაწილებს ხელახლა დებდნენ ცეცხლზე. ფერფლი საგულდაგულოდ გროვდებოდა, რომ ნათესავებსა და მიმდევრებს არაფერი დარჩენოდათ დასაკრძალავი ან თაყვანსაცემი.

რაც შეეხება შესაძლო სასამართლო შეცდომებსა და უსამართლოდ დასჯილ ადამიანებს, ამ საკითხზე ნიკოლაუს ეიმერიკი შემდეგს მოგვახსენებს: "თუ უდანაშაულო ადამიანი დასაჯეს უსამართლოდ, მან არ უნდა უსაყვედუროს ეკლესიას, რომელმაც თავისი განაჩენი საკმარის მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოიტანა, და რომელსაც არ შეუძლია ბრალდებულის გულში ჩაიხედოს, თუ ეს უკანასკნელი ცილისწამების მსხვერპლი გახდა. მან მაინც მადლიერებით უნდა მიიღოს განაჩენი და უნდა უხაროდეს, რომ სიმართლისთვის სიკვდილის შესაძლებლობა მიეცა".



ინკვიზიტორი ლოჟაში

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*




# დიზაინერი კრისტინა აგილერა


კრისტინა აგილერას სახელით დაპატენტებული პროდუქციის რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

მომღერალი კრისტინა აგილერა ვარსკვლავ-კოლეგებს არ ჩამორჩა და "დიზაინერის" ტიტულის მოპოვება გადაწყვიტა. ამ რამდენიმე დღის წინ მან ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო უწყებას მიმართა თხოვნით, მისცენ მას საკუთარი სახელის გამოყენების უფლება ქალის თეთრეულის დიზაინისათვის. მომღერალმა უკვე მომავალი წლისთვისაც დააწყო გეგმები. ის აპირებს გამოუშვას შარვლები იარლიყით – "კრისტინა აგილერა". აგილერა აღარ ხუმრობს. მისი სახელით დაპატენტებული პროდუქციის რაოდენობა დღითიდღე იზრდება. უკვე გამოშვებულია 451 დასახელების პროდუქცია, რომელიც მის სახელს ატარებს. ესაა თვალის ფანქრები, ბადმინტონის კომპლექტები, კონტაქტური ლინზები, მექანიკური სათამაშოები და მრავალი სხვა, თვით ხელბორკილებიც კი. გასაკვირი ისაა, რომ ჯერჯერობით მომღერლის პატენტთა ნუსხაში არ შესულა ქალის ხელჩანთები. არადა, კრისტინა აგილერა ხელჩანთებს მთელი ცხოვრება აგროვებს და საკმაოდ მდიდარი კოლექციის პატრონიცაა.

# ჩოგბურთის გაკვეთილი 25 ათას დოლარად

ცნობილმა იტალიელმა დიზაინერმა დონატელა ვერსაჩემ 25 ათასი დოლარი გადაიხადა ჩოგბურთის ერთსაათიან გაკვეთილში. მისი მასწავლებელი მრავალგზის ჩემპიონი სერენა უილიამსი გახლდათ. ვერ გეტყვით, რა აითვისა ამ ერთ საათში იტალიელმა დიზაინერმა, თუმცა ის კი კარგად ცნობილია, რომ ამ გაკვეთილზე დასწრების უფლება დონატელამ შიდსით დაავადებულთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე (ეს აუქციონი კანის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა) მიიღო, უფრო სწორად, კი არ მიიღო, შეიძინა და საკმაოდ სოლიდურ თანხადაც. ამავე აუქციონზე მონიკა სელეშის გაკვეთილიც გაიყიდა. სელეშის მოსწავლე ბრიტანელი ექიმი გახდა.

## სკანვორდი



N134-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

## TV პროგრამა

9 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "უფსკრულთან შეჯახება". მთ. რ-ში: რობერტ დიუვალი, ტეა ლეონე (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **13.15** რეზისტანსი. დოკ.ფილმი. **17.30** ჩემი ოცნებების მამაკაცი. მხ.ფილმი. კომედია. რეჟისორი ჟორჟ ლოტნერი.1994. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.25** ალჟირი. დოკ.ფილმი. **24.00** გენერალ ლუის საოცარი ბედისწერა. **05.20** მისი აქ არ ყოფნის აღსანიშნავად. მხ.ფილმი. რეჟისორი პეტერ ჰანდკი. 1992.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.20** დოკ. სერიალი "მაიმუნის ნიშნის ქვეშ" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ჩრდილოეთის ვარსკვლავი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ჯაშუში" (ედი მერფი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გაń.) **20.00** მხ. ფილმი "ძვლების მტვრეველი" (ვინი ჯონსი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე" (კურტ რასელი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "სენტიმენტალური ამბები" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "ლარა კროფტი სამარხების მძარცველი" (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ბარნუმი" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "დანა წყალში" (ლეონ ნემჩუკი) (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "საბუდარელი ჭაბუკი"(გ)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**06.00** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **08.30, 13.15, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **09.00** "იმედის" დილა **10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.30** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "დომინოს პრინციპი" (გ) **01.35** არტ-ბულვარი.

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ისინი და სხვანი" () **19.40** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "შემოდგომის ზღაპარი" (12)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.30, 19.50 Сериал "Клон" 12.30** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.10** Ростислав Янковский в фильме **"Человек из черной "Волги" 15.00 Сериал "Женщины в любви" 16.20 Сериал "Театральный блюз" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Прогулки с чудовищами". Док. сериал **20.50** "Стирка на миллион" **21.00** Алиса Фрейндлих в детективе **"Женская логика-2". 1-я с. 22.00, 00.30** Время **23.40** Спецназ. "Под залог жизни" **00.50** Искатели. "В поисках снежного человека" **01.20** "Большой взрыв" **01.50** "Форганг" **02.35** Джо Пеши в триллере **"Фотограф" 04.05** Джек Николсон в фильме **"Граница" 06.05** "Подводный мир Андрея Макаревича"

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Кулинарный поединок: Данко - Игорь Шурупов. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15** "Сегодня" **13.30** Ольга Гаспарова в фильме "**ХЛЕБ, ЗОЛОТО, НАГАН". 15.00** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Семья, которая жила со слонами". **19.35** Протокол. **20.40 Детектив "СЫЩИКИ-3: ШЕРШЕ ЛЯ БАБУ". 21.45 Сериал "ЖЕЛАННАЯ".** 3-я серия. **23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 6-я с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3".**

# სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებზე ხელმოწერა ჩატარდება 2004 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე. გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.



მისამართი: თბილისი, შ რუსთაველის 42, მე-3 სართული, ტელ.:95-30-84, (899) 55-15-84


## განცხადება

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით იწყება დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიმართულია მცირე მეწარმეთა და რეგისტრირებულ უმუშევართა სამეწარმეო საქმიანობის დასახმარებლად.

პროგრამა განხორციელდება ტენდერში გამარჯვებული კომერციული ბანკის მიერ შეღავათიანი, უპროცენტო სესხების მეშვეობით.

სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიზნით პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ 2004 წლის 20 ივნისამდე დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ უმუშევრებს. პროგრამაში მონაწილეობისათვის უმუშევრებმა მიმდინარე წლის 3 ივლისამდე უნდა შეიტანონ განცხადებები დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებში (რომლებიც მდებარეობს რაიონული გამგეობის შენობებში). მიმდინარე წლის 14 ივლისს ჩატარდება უმუშევართა შერჩევა ტესტირების მეშვეობით, რის შემდეგ ისინი გაივლიან სწავლების სპეციალურ კურსს. პროგრამის შემდეგ ეტაპზე განხორციელდება:

*-უმუშევართა შერჩევა მიღებული ცოდნისა და ბიზნესიდეების მიხედვით, დასაქმების პროექტის შემუშავება და წარდგენა.*

საკუთარი ბიზნესის გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ მოქმედ მცირე მეწარმეებს.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ დასაქმების სახელმწიფო სამსახურს. ტელ: 69-54-19**




ავიაკომპანია "არკია ისრაელის ავიახაზები"

თბილისი - თელ-ავივი
ახალი რეისი 23 ივნისიდან, ყოველ ოთხშაბათს

e-mail: gvantsa@arkia.ge anna@arkia.ge

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა "მშენებლობა"

Georgia Build 2004

შერატონ მეტეხი პალასი
9-11 ივნისი
თბილისი, საქართველო
შესვლა უფასოა

ორგანიზატორები: ITE GROUP PLC, ITECA
ოფიციალური მხარდაჭერა:

Tel.: +995 32 552130 Fax: +995 32 552190
E-mail: office@ite.cdn.ge

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემის ინჟინერია, ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950 სასწავლო წლის 16.

BA (Hons) £ 6950.

£ 1000

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩანჩალეიშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8 (46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.


## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


VALENTINI
ვალენტინი

ავეჯის სახლი "ვალენტინი" გამოფენის ტერიტორიიდან გადავიდა წერეთლის 116

-10% -20% -40%



საოფისე ავეჯი



ბავშვის ოთახი



აბაზანის ავეჯი

სამზარეულო და სასადილო გარნიტურები | სამეულები | საძინებელი გარნიტურები | ალუმინის შეკიდული ჭერები | მეტალოპლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯარა ვიტრაჟები | გათბობის სისტემები

მისამართი: ა.წერეთლის №116 ტელ: 34 73 20